# საერთო გაზეთი

№26 (338) ● 9 სექტემბერი, 2015 წელი ● გამოდის ოთხშაბათს ● WWW.SAERTOGAZETI.GE ● ფასი 1 ლარი



**დენიზა სუმბაძე:**

## ვინ არის იციკ შავითი და რატომ უნდა აშენდეს „ახალი გეთსამანია“ და „ახალი იერუსალიმი“ მცხეთაში?

## „მიდი, ჯოფრეი, მიდიიი!“



**ზურაბ ხონელიძე:**

## ბედისწერით ნარკარნახევი საქართველოს არჩევანი

## მამუკა ხაზარაძის სახით აჩრდილი დადის ანაკლიაში, აჩრდილი სააკაშვილისა!

ესენი არიან საბოტაჟნიკები და აფერისტები — რაში ადანაშაულებს დენის დავითაშვილი თამარ სანიკიძეს?

## თბილისში უცხოელი ინვესტორების „გატყავების“ კარგად შემუშავებული სქემა მოქმედებს

სამეგრელოში დღეს „ქართული ოცნების“ აქტივისტებად ისეთებიც გვხვდებიან, რომლებსაც ივანიშვილის დასახიჩრება ჰქონდათ დავალებული!..

**24 სექტემბერს პრეზიდენტის რეზიდენციასთან ვაწყობთ აქციას საქართველოს ნეიტრალიტეტის მოთხოვნით**

## მგალობელი შაშვის კინოენა და რეჟისორის უჩვეულო თავგადასავალი

**საერთო გაზეთი – გაზეთი მოაზროვნე მკითხველისთვის**

# რა საერთოა ლიბერალებისა და „ისლამური სახელმწიფოს“ იდეოლოგიას შორის?



ვახტანგ ხარჩილავა

ერთი შეხედვით, თითქოსდა რა საერთო უნდა ჰქონდეთ ლიბერალებს და „ისლამური სახელმწიფოს“ წარმომადგენლებს?

ეს უწყინარი და მშვიდობისმოყვარე ლიბერალები, სასტიკი და დაუნდობელი ისლამური სახელმწიფოს წარმომადგენლებისგან განხსვავებით, თავებს არ აჭრიან ადამიანებს, არ აფეთქებენ შენობებს, არ კლავენ, არ ანადგურებენ სოფლებს და ქალაქებს, პირიქით, ლიბერალები დემოკრატიაზე, ადამიანის უფლებებზე, ჰუმანურ ფასეულობებზე ღაღადებენ დღედაღამ, თუმცა, გაგიკვირდებათ და, მიზანი, რომლისთვისაც ეს ორი ძალა იბრძვის, ერთი და იგივეა, უბრალოდ, ამ მიზნის განხორციელების ფორმებია სხვადასხვა.

ვფიქრობ. მათ ერთი პატრონი, ერთი დამფინანსებელი, ერთი გეზის მიმცემი ჰყავთ...





აქამდე არსებული ყველა ცივილიზაციის, ზოგადად მთელი კაცობრიობის სულიერი თუ მატერიალური ღირებულებების წინააღმდეგ გალაშქრებული ამ ორი ძალის გზები სადღაც კვეთს ერთმანეთს — ერთი თუ ფიზიკურად ანადგურებს, მეორე სულიერად სპობს და აჩანაგებს, შედეგი კი იქაც და აქაც ერთი და იგივეა.

# ori WaWia da erTi saqarTvelo

— მომავალს წელს რუსეთიდან დაუბრკოლებლად შემოვა დიდი ფული, რომ საპარლამენტო არჩევნებში პრორუსულმა ძალებმა გაიმარჯვონო — აცხადებს სანდრო ჭაჭია, ძე ალექსანდრესი და იქვე რუსეთის ფავორიტად ნინო ბურჯანაძეს ასახელებს, რომელზეც რუსეთი თურმე მთავარ აქცენტებს აკეთებს.

ტყუილია ეს ყველაფერი. პუტინის შორეული „ნათესავი“ ნინო ბურჯანაძე კი არა პუტინის „ტიოშა“ რომ მოგვევლინოს ქვეყნის მეთაურად, ხოლო საქართველოს პარლამენტი პუტინის ბიძაშვილ-მამიდაშვილდეიდაშვილებით რომ გაივსოს, საქმეს მაინც არაფერი ეშველება — ერთ-ორ თვეში პუტინის „ტიოშაც“ ნატოსა და ევროკავშირის ძახილს დაიწყებს, ხოლო გაპარლამენტებული პუტინის ნათესაობა თაქთაქიშვილს და კანდელაკს ააყოლებს ხმას და თავს თავდადებულ პროდასავლურ ძალად გამოაცხადებს.

რატომ შეიძლება ეს მოხდეს?

იმიტომ, რომ ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკური სიტუაციის მძევლები ვართ ჩვენ და თუ ისე არ მოვიქცევით და იმას არ ვიტყვით, რასაც „ზედამხედველები“ ზემოდან გვიკარნახებენ. დიდ უსიამოვნებებს გადავეყრებით.

სულ ახლახან ევრაზიული კონტინენტი ახსენა ახალმა საგარეო საქმეთა მინისტრმა და მერე თვითონ მინისტრი და მთელი მთავრობა იმის განმარტებას იძლეოდა, რომ ევრაზიული კონტინენტი მაინცდამაინც ევრაზიულ კავშირს არ ნიშნავს.

თუნდაც რომ ნიშნავდეს, ჩვენ რა, მარჯვნივ ან მარცხნივ გახედვის უფლება არ გვაქვს და კისერგაშეშებულმა მხოლოდ წინ უნდა ვიყუროთ ნათელი მომავლისკენ ანუ „ახალი კომუნიზმისკენ“ — ნატოსა და ევროკავშირისკენ?

აი, ასეთ დღეში ვართ ჩვენ და ნინო ბურჯანაძე იქნება თუ მაყვალა ტორონჯაძე, ხელისუფლებაში რომ მოვა, იძულებული გახდება, თავზე ევროატლანტიკური შლაპა დაიხუროს და პუტინს და რუსეთს მტერი და ოკუპანტი უძახოს.

არ მოიქცევა ასე და შეიძლება ძალაუფლებაც დაკარგოს, თავიც დაკარგოს და შლაპაც ზედ მიაყოლოს.

სანდრო ჭაჭია, რომელიც პრორუსულ ძალებს და პრორუსულ შეთქმულებას „ააშკარავებს“, მამამისს, ცნობილ პოლიტიკოსსა და ანალიტიკოსს, ალექსანდრე ჭაჭიასაც არ ინდობს — საქართველოს პატრიოტია, მაგრამ პუტინის მეგობარიაო.

მთავარია, საქართველოს პატრიოტი რომ ყოფილა ბატონი ალექსანდრე, თორემ ვინ ვისი მეგობარია, მაგას პოლიტიკაში დიდი მნიშვნელობა არ აქვს, ძვირფასო სანდრო.



ბოდიშს ვიხდი, თუ ვცდები, მაგრამ ახალგაზრდა ჭაჭია „ნაციონალების“ და მათი პატრონების დაქოქილი მგონია და მისი მოულოდნელი გამოჩენა ასპარეზზე ერთ მთავარ მიზანს ემსახურება: ბიძინა ივანიშვილი პროდასავლური ორიენტაციის ორგულობაში და რუსეთის ინტერესების ერთგულებაში ამხილოს.

ს. ჭაჭიას ინფორმაციით, ივანიშვილს რუსეთიდან დავალება აქვს მიღებული, საქართველოს პროდასავლური კურსიდან გადაახვევინოს და კვლავ რუსულ ორბიტაზე დააბრუნოს.

ეს ათასჯერ მოსმენილი და უკვე ყელში ამოსული იდიოტიზმი, პოლიტიკურ ტექნოლოგიებში აბსოლუტურად გაუცნობიერებელი და უვიცი დემაგოგების და ფარისევლების მიერ შეთხზული და გაპიარებული სიცრუე, ბიძინა ივანიშვილის დისკრედიტაციისა და მისი სახელის გასატეხად გამოგონილი, ფაქტობრივად, არ მუშაობს, რადგან საქართველოს მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს სულაც არ მიაჩნია კომპრომატად ის, რასაც ივანიშვილს მისი პოლიტიკური ოპონენტები ბრალდებად უყენებენ...

ასეთია რეალობა, რომელსაც არაფერი აქვს საერთო იმ მოდელირებულ, ვირტუალურ „რეალობასთან“, რომელსაც ვიღაც-ვიღაცები თავიანთ კონტროლს დაქვემდებარებული საინფორმაციო საშუალებებით ხატავენ და თვალში ნაცარს გვაყრიან.

ტერმინებმა „პროდასავლური“ და „პრორუსული“ კარგა ხანია მნიშვნელობა დაკარგეს — შეიძლება მავანს და მავანს პროდასავლელი ერქვას და ამ დროს რუსეთისთვის უძგერდეს გული ან პირიქით — რუსეთუმე გვეგონოს და ამ დროს დასავლეთის შტატიანი აგენტი იყოს.

ასე რომ მთავარი სახელი კი არ არის, მთავარი ისაა, გულწრფელად და უანგაროდ გიყვარდეს შენი ქვეყანა, ასეთი სიყვარული კი აუცილებლად მიგიყვანს სწორ არჩევანამდე...

„საერთო გაზეთი“
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, აღმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით.
შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს.
ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება
შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირისვადაში.
შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „გამომცემლობა სამშობლოში“; ტელ.: 599 95 31 90

◆ ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

# „არ გათეთრდების ყორანი...“

განვლილმა სამმა წელმა ნათლად გვაჩვენა, რომ აბსოლუტურად სწორია ძველი ქართული ანდაზა: „არ გათეთრდების ყორანი, რაც უნდა ხეხო ქვიშითა“.

ხეხეს, ნელსაცხებლებიც ბლომად აპკურეს, ვარდის წყალშიც აბანავეს, ბულბულის ენაზეც ამეტყველეს, მაგრამ მაინც არაფერი გამოვიდა აქედან — ყორნები ისევ ყორნებად დარჩნენ და „ქართულ ოცნებას“, ჩვეულებისამებრ, ავად დაყრანტალებენ თავზე.

აი, ამ მოურჯულებელი ყორნების ხელახლა ხეხვა და გათეთრება კვლავ თუ დაიწყო „ქართულმა ოცნებამ“, ვფიქრობ, ეს ექსპერიმენტი ამჯერადაც მარცხით დამთავრდება.

ბიძინა ივანიშვილს საყვედურობენ ხოლმე, რომ ის ძველ, ხშირ შემთხვევაში, დაბალრეიტინგიან პოლიტიკურ პარტიებს და საკმაოდ გაცვეთილ და სახელგატეხილ პოლიტიკურ პერსონებს დაეყრდნო.

კი, მაგრამ, ჰქონდა მას სხვა არჩევანი?

არა, არ ჰქონია!

ის იძულებული იყო ასე მოქცეულიყო და იმ რესურსით დაკმაყოფილებულიყო, რაც რეალობაში არსებობდა.

სამწუხაროდ, გასული საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში, დამოუკიდებლობის მოპოვებიდან სულ მცირე ხანში, ხელისუფლებაში ძველი კომუნისტურ-კომკავშირული ნომენკლატურის დაბრუნებამ სერიოზულად შეაფერხა პოლიტიკაში ახალი კადრების, ახალი სახეების, პოლიტიკოსთა ახალი პლეადის გამოჩენა და დამკვიდრება.

ფაქტობრივად, 25 წელიწადია, ქართული პოლიტიკური თეატრის სცენაზე, ადამიანთა ერთი და იგივე ჯგუფი ტრიალებს, რომელიც შეგნებულად ან გაუცნობიერებლად, უკვე მოკავებული სამოქმედო და საარსებო სივრცის დაცვის ეგოისტური ინსტინქტების კარნახით, საშუალებას არ აძლევს პოლიტიკოსთა ახალ თაობას ასპარეზზე გამოჩნდეს და აქტიურად ჩაერთოს პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ასე შეგვრჩა ხელთ გაცვეთილი, დაშტამპული, ულიმღამო და უინტერესო პოლიტიკური ფიგურები, რომლებიც ხელთათმანივით იცვლიან პარტიებს, იცვლიან ლიდერებს, იცვლიან პოზიციებს.

პოლიტიკური სპექტრის ეს მუდმივი მეტამორფოზები,



ეს გადაადგილებები და გადმოადგილებები დინამიურობის შთაბეჭდილებას ტოვებს — თითქოს პოლიტიკური ცხოვრება დუღს და გადმოდუღს. თუმცა ყველაფერი ეს მოჩვენებითია.

არადა, ქართულ საზოგადოებაში არსებობს საკმაოდ სერიოზული ინტელექტუალური რესურსი, აქამდე მწირი და ერთფეროვანი პოლიტიკური ცხოვრების გასაახლებლად.

უდავოა, რომ ქვეყანას აუცილებლად სჭირდება ახალი პოლიტიკური კადრები, ახალი აზროვნებით, ახალი პოლიტიკური სინტაქსით, ახალი ინიციატივებით, რომლებიც ქვეყნის აწმყოსა და მომავალს უკეთესობისკენ შეცვლიან.

ამის გაკეთებას, ცხადია, დიდი ფინანსური ინვესტიცია და ორგანიზებული მუშაობის ჩატარება სჭირდება.

ერთადერთი კაცი არსებობს საქართველოში, ვისაც ამის გაკეთება შეუძლია.

თუმცა ისიც ხომ საკითხავია, შერჩა კი ამ საზოგადოების ერთი ნაწილის უმადურობით გაკვირვებულ ადამიანს იმის ხალისი და სურვილი, სრულიად ახალი პოლიტიკური გუნდი შეკრას და მის მიერ ნაცებისგან გათავისუფლებული ქვეყანა პოლიტიკური ბალასტის თავხედობისა და თვითნებობისგანაც გაათავისუფლოს?..

# ინგა გრიგოლიას ადგილი „რუსთავი-2“-შია!



მივესალმები იმ ფაქტს, რომ ინგა გრიგოლიას რეაქციული გადაცემა „რეაქცია“ ახალი სეზონიდან ეთერში არ გავა.

სულ ტყუილად ირჯებიან მავანნი და მავანნი და სულ ტყუილად ასაღებენ ამ სასიხარულო ამბავს სიტყვის თავისუფლების და დემოკრატიული ღირებულებების შელახვად.

გრიგოლიას გადაცემას რომ ვუყურებდი, სულ ვფიქრობდი, აი, ახლა დაერევიან ერთმანეთს წამყვანის მიერ წაქეზებული ადამიანები და პირდაპირ, ღია ეთერში შეიძლება სამოქალაქო დაპირისპირებას გამოვკრათ ხელი-მეთქი.

იმდენად დაძაბული ატმოსფერო იყო აუდიტორიაში და გრიგოლია, ისე ოსტატურად სწევდა მაღლა ურთიერთაგრესიით დამუხტულ ისედაც მაღალ ტემპერატურას, ჩემი შიში სულაც არ იყო საფუძველსმოკლებული.

მოდით, თავი დავანებოთ ფარისევლობას, თავი დავანებოთ დემოკრატიით და სიტყვის თავისუფლებით სპეკულირებას და პირდაპირ ვთქვათ: ინგა გრიგოლიას „რეაქცია“ იყო აშკარად ანტისახელმწიფოებრივი გადაცემა, რომელიც ქვეყნისთვის სასიკეთო საერთო მიზნის გარშემო კი არ აერთიანებდა, არამედ ხლეჩდა და ერთმანეთს აპირისპირებდა ადამიანებს.

თავისი სულისკვეთებით და შინაარსით ინგა გრიგოლიას გადაცემა საქართველოსადმი მტრულად განწყობილი რომელიღაც უცხო ქვეყნის სპეცსამსახურების მიერ შეკვეთილს ჰგავდა...

ძირგამომთხრელი საქმიანობა ჰქვია ამ საქმიანობას, რომელსაც ქალბატონი გრიგოლია ეწეოდა...

„ნაცმოძრაობის“ ბნელ წიაღში დაფრთიანებული გრიგოლია „ნაცმოძრაობის“ პოლიტიკურ ინტერესებს ემსახურებოდა „იმედში“ და აბსოლუტურად სწორად მოიქცა „იმედის“ ხელმძღვანელობა, რომ ამ ქმედების გაგრძელების საშუალება არ მისცა.

ინგა გრიგოლიას ადგილი „რუსთავი-2“-შია...

ჰოდა, წავიდეს იქ **ხმა-მამალი გრიგოლია და ხმა-დედალ გაბუნიასთან** ერთად უგალობოს „ნაცმოძრაობას“ და მათ თანამოაზრეებს.

RUSTAVI 2

# ლია ელიავა: ეროვნული ბანკიდან საზედამხედველო სამსახურის გამოყოფა დადებითად იმოქმედებს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზე



*ვესაუბრებით ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს – ქალბატონ **ლია ელიავას**.*

**— ქალბატონო ლია, უკანასკნელ პერიოდში მიმდინარე ცხარე კამათები საქართველოს ეროვნული ბანკის მიმართ ცოტა დაცხრა, როდესაც პარლამენტმა ვეტო დაძლია და პრეზიდენტმა კანონპროექტს ხელი მოაწერა, ეროვნული ბანკიდან საზედამხედველო სამსახურის გამოყოფას და მის ცალკე სააგენტოდ ჩამოყალიბებას, რამდენად წაადგება ეს ჩვენს უმძიმეს ეკონომიკურ მდგომარეობას?**

— ვფიქრობ, რომ რაიმე განსაკუთრებულ რევოლუციურ ცვლილებებს არ უნდა ველოდოთ, თუმცა აუცილებლად მინდა აღვნიშნო, რომ გაიზრდება საფინანსო ზედამხედველობის ეფექტიანობა და ეს უწყება იქნება არა კომერციული ბანკების მომსახურების სააგენტო, არამედ გახდება სტრუქტურა, რომელიც გაითვალისწინებს როგორც საქართველოს საფინანსო სექტორს, ასევე საფინანსო ზედამხედველობას წარმართავს. ამ კუთხით მისი მუშაობის ხარისხი ამაღლდება.

**საჭიროა, რომ ეროვნულმა ბანკმა მოიკრიბოს ძალ-ღონე და კონცენტრაცია გააკეთოს მაკროეკონომიკური პრობლემების მოსაგვარებლად,** პრობლემები ბევრია ქვეყანაში, რომელიც კონსტიტუციურად მისი მოსაგვარებელია. ეს გახლავთ დოლარიზაციის საკითხი, ინფლაციის მოგვარება და სხვა მაკროეკონომიკური პრობლემები.

**— რას წარმოადგენს ბლუმბერგის ელექტრონული სავაჭრო სისტემა მსოფლიოში, რა არის მისი ფუნქცია?**

— საქართველოში მოქმედებს მცურავი გაცვლითი კურსის რეჟიმი, მსგავსი რეჟიმის არსებობის პირობებში გაცვლითი კურსი ხასიათდება მერყეობით მოკლევადიან პერიოდში, მაგრამ იმავდროულად მოქნილობის გამო იგი თამაშობს შოკების შემწოვ ფუნქციასაც. სავალუტო კურსი განისაზღვრება სავალუტო ბაზრის მიერ, რომელიც შედგება კომერციული ბანკებისგან და იმ კორპორაციების თუ ინდივიდებისგან, რომელთა ინტერესშიც უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვა შედის.

ბანკთაშორისი სავალუტო ბაზარი ორგანიზებულია ბლუმბერგის ელექტრონულ სავაჭრო სისტემაში, რომლის საშუალებითაც ხდება ვალუტებით ვაჭრობის გარიგებების დადება. აღნიშნულ ბაზარზე მონაწილეობის უფლება აქვს საქართველოში ლიცენზირებულ ყველა კომერციულ ბანკს და უცხოური ბანკების ფილიალებს, რომელთაც მათი მოთხოვნის საფუძველზე, ეროვნული ბანკის მიერ მინიჭებული აქვთ მონაწილე ბანკის სტატუსი. ყოველ სამუშაო დღეს, სავალუტო ბაზარზე მონაწილე ბანკების მიერ ხდება საკუთარი ყიდვა-გაყიდვის კურსების გამოქვეყნება ბლუმბერგის სავაჭრო სისტემაში, რომელიც ხელმისაწვდომია ყველა მონაწილე ბანკისა და მათი დილერებისათვის. სისტემაში გარიგებების დადება შესაძლებელია 24 საათის განმავლობაში. ინფორმაცია სავაჭრო სისტემაში დადებული გარიგებების შესახებ ხელმისაწვდომია საქართველოს ეროვნული ბანკისათვის.

ექსპერტები ფიქრობენ, რომ ლარის გაუფასურება გარკვეულწილად ბლუმბერგის სისტემის დანაშაულიც არის, რადგანაც ანალიტიკოსთა ნაწილი ფიქრობს, რომ **ბლუმბერგის სისტემა 100 პროცენტით დახურულია და ეს სპეკულაციის საშუალებას იძლევა**. სრულიად დასაშვებია, რომ ლარის კურსის მასშტაბური გაუფასურებაც სპეკულაციის შედეგი იყოს, ამას შესწავლა სჭირდება. ბლუმბერგის სისტემა ბოლო წლებია შემოიღეს, სპეციალისტების აზრით, ის უფრო მოქნილია, ვიდრე სავალუტო ბირჟა. აქვე უნდა ითქვას, რომ ბევრი სპეციალისტის აზრით, ბლუმბერგის სისტემა არაფერ შუაშია, ლარის გამყარების სურვილი უნდა ჰქონდეს ხელისუფლებას ეროვნულ ბანკთან ერთად, **დამნაშავეა ის, ვისაც სპეკულაციების საშუალება გააჩნია**. სამწუხაროა ისიც, **რომ ბლუმბერგის ელექტრონულ სისტემაში მონაწილე კომერციული ბანკების რაოდენობას და ვალუტის მოცულობის შესახებ ინფორმაციას, ეროვნული ბანკი არ აქვეყნებს,** რაც მას დებულების თანახმად ევალება. აქედან გამომდინარე, როდესაც სახელმწიფო დაწესებულება თავად არღვევს დებულებას, რისი მოთხოვნი იქნება ის სხვის მიმართ?

**— როდესაც გადაწყდა, რომ ეროვნულ ბანკს საზედამხედველო სამსახური უნდა გამოეყოს ცალკე, „ნაციონალური მოძრაობისა" და გარკვეული ექსპერტების მხრიდან მოხდა წინააღმდეგობის გაწევა, რითი იყო გამოწვეული ეს ისტერიკა?**

— ეს აჟიოტაჟი იყო შექმნილი ზოგიერთი პოლიტიკოსის მხრიდან, თუმცა საფუძველს მოკლებული. საბანკო საზედამხედველო სამსახური, რომელიც დღეს ჩვენ მივიღეთ, სრულიად არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო საბანკო ზედამხედველობის პრაქტიკას, მუშაობის პრინციპი ყველასთვის ერთნაირია, ამიტომ იმ პანიკის საფუძველი სრულიად არ იყო.

**— თითქოს დამოუკიდებელი ქვეყანა ვართ, მაგრამ მუდმივად გვიწევს ნებისმიერ საკითხში სხვადასხვა რეკომენდაციების გათვალისწინება, ასევეა ამ შემთხვევაშიც, ეროვნული ბანკი მუდმივად საერთაშორისო სავალუტო ფონდის ან ვინმე სხვის გავლენაშია, რომლის შემდეგ ამ უწყებას ქვეყნის ინტერესები ავიწყდება, არ შეიძლება ამ საკითხის მოგვარება?**

— მერე ვინ გითხრათ, რომ დამოუკიდებელი ქვეყანა ვართ? თუნდაც საერთაშორისო სავალუტო ფონდის შიში ეროვნული ბანკის ფუნქციური დაშლისა შეიძლება იმით იყო გამოწვეული, რომ შემდგომში მათ მოუხდებოდათ კიდევ ერთ დამატებით სტრუქტურასთან ურთიერთობა, ისინი ხომ წლების განმავლობაში კარგად თანამშრომლობდნენ ნაციონალებთან, ამიტომ აქვთ ერთმანეთის მიმართ მხარდაჭერის სურვილები.

უნდა გვახსოვდეს, რომ ყველა ქვეყნის პარლამენტს აქვს იმისი სუვერენული უფლება, რომ თავისი ქვეყანა მოაწყონ ისე, როგორიც იქნება მათი ხედვა.

დღეს, ამ საკითხის გარშემო ვნებათაღელვა უკვე ჩაცხრა, კანონის ძალაში შესვლის მერე, მოხდება საბანკო ზედამხედველობის სამსახურის სტრუქტურის ფორმირება და იმუშავებს ისე, როგორც სხვა სტრუქტურა. მათი ფუნქცია იქნება საფინანსო სექტორის მუშაობის დახვეწა, იქნება ახალი რეგულაციები და შემოაბრუნებენ ჩვენი ქვეყნის საბანკო სექტორს ეკონომიკისაკენ, ვინაიდან ამ სფეროში დღეს ქაოსია.

**— ხომ არ შეჩერდება უცხოეთიდან დახმარებები, სესხები თუ ინვესტიციები?**




— ეს პროცესები ნამდვილად არ შეჩერდება, ის არავითარ გავლენას არ მოახდენს საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების დამოკიდებულებაზე ჩვენი ქვეყნის მიმართ, თავად ამ ახალი კანონის შემუშავებაში მათ მიიღეს მონაწილეობა, ამიტომ ამ მხრივ არ შეიცვლება ქვეყანაში არაფერი.

**— ჩვენს ქვეყანაში ვალუტის ცვლილებებმა სერიოზულად იმოქმედა სოციალურ სფეროში, ლარის კურსის დაცემამ გამოიწვია ხალხის უკმაყოფილება, ეს პროცესია, რომელიც გრძელდება. შეძლებს კი ხელისუფლება ამ პროცესის შეჩერებას?**

— ეროვნული ბანკის ახალი პრეზიდენტი თავის ადგილს დაიკავებს თებერვალში, თუ ის იქნება სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ადამიანი, ძალიან კარგი იქნება, მაგრამ თუ ის განაგრძობს ქადაგიძის პოლიტიკას ეროვნულ ბანკში, ჩვენთვის არაფერი არ შეიცვლება. ეროვნული ბანკის ახალ პრეზიდენტს გული უნდა შესტკიოდეს არა მხოლოდ თავის უწყებაზე, არამედ ქვეყანაზე, ასეთ შემთხვევაში შედეგს მივიღებთ, ეს უწყება უნდა გახდეს ღია საზოგადოებისთვის, მათ ქადაგიძის შემთხვევაში არასოდეს არ განუმარტავათ, თუ რატომ დაეცა ლარის კურსი ან რა ხდება ამ მხრივ სხვა ქვეყნებში. **აქვე გეტყვით, რომ ლარის კურსის პირველ ეტაპზე დაცემის დროს სომხეთსა და აზერბაიჯანშიც იგივე პროცესები განვითარდა, სომხეთში 16 პროცენტით დაეცა ეროვნული ვალუტა, აზერბაიჯანში 33 პროცენტით, მაგრამ აპრილის მერე ორივე ქვეყანაში კვლავ დასტაბილურდა პროცესები. ყველა ქვეყანამ მოახერხა თავისი ვალუტის გამყარება საქართველოს გარდა, რატომ? იმიტომ, რომ არ უნდოდათ!** ვიმეორებ, ხელისუფლებას თანამდებობებზე სჭირდება სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ხალხი, ხელისუფლების მართვას სჭირდება საჯაროობა, საზოგადოება არ უნდა იყოს ინფორმაციულ ვაკუუმში გარკვეული საკითხების მიმართ, რაც შემდგომში იწვევს აგრესიას მათი მხრიდან.

**ეთერ კასრელიშვილი**
599 110 200

იხილეთ „საერთო გაზეთი"
ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# „მიდი, ჟოფრეი, მიდიიი!“



რაღა „ნაიარევი სახეს“ ხსენება მსოფლიო კინოინდუსტრიაში და რაღა თამაზ მეჭიაურისა საქართველოს პარლამენტში!

მას შემდეგ, რაც პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე თამაზ მეჭიაურმა ერთი ამოსუნთქვით თქვა ის, რასაც საქართველოს ყოველი მეორე მოქალაქე ამბობს, ყველა სახის ქართული მედიასაშუალება გადამეჭიაურდა.

რა თქვა ამ კაცმა ისეთი, რამაც ასე შეძრა ვიღაც-ვიღაცები?

**თამაზ მეჭიაური (პარლამენტის პლენარული სხდომა):** — „ბიძინა ივანიშვილს აკრიტიკებენ ჩვენი კოლეგები უმცირესობიდან, რომ მას უნდა უზურპაცია გაუკეთოს ხელისუფლებას, ეროვნულ ბანკს და ა.შ. მე პირიქით, გავაკრიტიკებ ბიძინა ივანიშვილს იმისთვის, რომ როცა მას ამის საშუალება ჰქონდა და ალბათ, როცა მაშინდელი ეროვნული ბანკის პრეზიდენტს ხელიდან პასტას და ფურცელს ვერ გააგდებინებდნენ, მაშინ მას აპატია; კიდევ, ვადანაშაულებ ბიძინა ივანიშვილს, რომ მან ერთი სოროსელი ენჯეოშნიკი, როცა მას საქსოვი ჩხირები ეჭირა, ის გააგდებინა და ვეტოთი აღჭურვა, რომლითაც დღესდღეისობით ჩვენც ნერვებს გვიშლის და მოსახლეობასაც.“

ამის თქმა იყო და იმწამსვე გამოცხადდა, რომ მეჭიაური ბიძინა ივანიშვილის თანაკურსელი და ძმაკაცი ყოფილა (თითქოს ასე რომ იყოს, დანაშაულია ან სამარცხვინო კომპრომატი, ყოველ შემთხვევაში, წამოსაძახებელი)

თუ მაინცდამაინც ვინმეების კურსელობაზე მიდგა, მთელი „ნაცხლამი“, რომელიც შემდგომ განშტოვდა, სულაც კურსელები არ იყვნენ, „დიდი საბჭოთა (კგბ) მოძღვარის“, ლევან ალექსიძის აღზდილ-გამოზრდილი ბარტყები?

მოკლედ ასეა — მეჭიაურმა თქვა საქართველოს მოსახლეობის, დაახლოებით 90%-ის სათქმელი, ხოლო 10% დანარჩენებისა და თავშეკავებულების ჩათვლით „რესპუბლიკელებმა“.

ქალბატონი თავდაცვის მინისტრი მეჭიაურის ნაცვლად დღემდე იწვის სირცხვილის ალში, მხოლოდ ისღა აძლებინებს, ალბათ, რომ უსწავლებიათ, პარლამენტი სარკეა, ის ყველანაირი ხალხისგან შედგება, როგორც საზოგადოებაო. სხვაფრივ, ამაყობს, რომ წლების განმავლობაში იყო „ენჯეოშნიკი“ და ასევე ფონდ „ღია საზოგადოება — საქართველოს“ (სოროსის ფონდის) აღმასრულებელი საბჭოს თავმჯდომარე (ფული, ბაბაია, ფული!) წუხს, ქსოვა რომ არ იცის, რადგან აღნიშნული ხელსაქმეც საამაყოდ ექნებოდა;

პაატა ზაქარეიშვილი შეძლებისდაგვარად გასაგები ენით წუხს, ეს რა მიუღებელი რამ თქვა კაცო, მე თვითონ ვმუშაობდი სოროსის ფონდში და სოროსმა საქართველოსთვის უნიკალური რამ გააკეთა, საქართველოს როცა ძალიან უჭირდა, მან ფინანსებით ხელი შეუწყო სამოქალაქო საზოგადოების დაფუძნებას და შექმნას, სწორედ ამ სფეროდან გამოვიდა უამრავი პოლიტიკოსიო. რა ბავშვივით გულუბრყვილოდ გამოსდის ხოლმე ბატონ ზაქარეიშვილს რაღაცების დაბრეხვებები — ბატონო ყმაწვილო, მაგას გედავებიან, მაგას!

ძმებმა ბერძენიშვილებმა, ფაქტობრივად პირველ-მეორე ხმა თქვეს.

**დავით ბერძენიშვილი:** — „თამაზ მეჭიაურის არაადეკვატურობამ იმატა პარლამენტში მისი თანამდებობრივი ზრდის პირდაპირპროპორციულად. ბუნებრივია, მე სერიოზულად არ აღვიქვამ ამ განცხადებას. ნნახევარი მთავრობა და ნახევარი პარლამენტი აღმოჩნდა ამ განცხადების სუბიექტი, არა მარტო პრეზიდენტი, თუმცა, ამაზე, ეტყობა, ბატონ მეჭიაურს ძალიან მკაფიო წარმოდგენა არ აქვს.!

ლევან ბერძენიშვილი: — „ასეთი შეფასება, ჩვენ, ადრე, შევარდნაძის დროს, კომუნისტებისგან გვესმოდა. როგორც ჩანს, მას პრეზიდენტის კრიტიკის სურვილით ნახევარი ქვეყანა შემოელანძღა, მათ შორის პარლამენტის წევრები, მათ შორის ფრაქცია „რესპუბლიკელები“.

ამ ძმებმა ხომ ვერ მოიშალეს დაბეზღების მავნე ჩვევა — ძმები და სრულიად „რესპუბლიკური პარტია“ რა კა-



კანათიდან არიან აფრენილ-დაფრენილები მწიფე კურკანტელის ხეზე, კარგად ვიცით, მაგრამ იქნებ არ ვიცით, რომ ნახევარი მთავრობა და ნახევარი პარლამენტიც სოროსნაწოვია და რას აქვეყნებენ?

აუხსნელი ანტიპათია აქვს ხალხს ბერძენიშვილებზე, მყისვე გამოენთნენ „იმ ნახევარი საქართველოს დედა მო****ნ“ ძახილითა და „ეს „კგბ-ს ნასედკა“ სხვაზე ლაპარაკს როგორ ბედავს! წადი, დაიკავე პიდარასტების დროშა და აფრიალე, მიგაჩვიეს, ალბათ, რუსეთის ზონაშიო“...

რაც შეეხება დავით ზურაბიშვილს, ისეთი რამ თქვა, ბარე ორი კაცი დღემდე ეძებს იმ „პლანს“, რომელმაც შეიძლება ისე აურია ტვინი, რომ სისულელეები დააროშვინა.

**დავით ზურაბიშვილი:** — „ეჭვი მაქვს, თამაზ მეჭიაურისთვის „ენჯეოელი“, „სოროსელი“, „იეღოველი“, „სომეხი“ და „პიდარასტი“ დაახლოებით ერთი და იგივეა. უკულმართ დროებას რა ვუთხარი, თორემ მე და ეს კაცი რანაირად უნდა ვითვლებოდეთ ერთ გუნდში?“

არადა მეჭიაურს არ უხსენებია არც „იეღოველი“ (ან სხვა რელიგიური მიმდინარეობა, სექტა და სხვა), არც „სომეხი“ (ან სხვა რომელიმე ეთნოსი), არც „პიდარასტი“ (ან სხვა არატრადიციული



ორიენტაცია), ანუ მეჭიაური კი არა, დავით ზურაბიშვილი ამბობს, რომ მის მიერ ყველა, ზემოთჩამოთვლილი (ჩამონათვალი არასრულია), ამ შემთხვევაში „სუბიექტები“, ერთი „ხ*ია“. ახლა, უკვირს ბატონ ზურაბიშვილს, 2009 წლიდან ვარ ფეისბუქ-მომხმარებელი, რა არ მინახავს და რას არ მოვსწრებივარ ამ ხნის მანძილზე, მაგრამ ისეთი აგრესია, რაც ბატონი მეჭიაურის მიმართ გამოთქმული ირონიული სტატუსის გამო მივიღე, ნამდვილად არ მახსოვს, ყველამ მაგინა, „ნაცებმაც“, „ქოცებმაც“ და გაურკვეველი პოლიტიკური სიმპათიის მქონეებმაცო...

ხალხი სწორედაც რომ მეჭიაურს დაუდგა გვერდზე, რადგან მას არაფერი უთქვამს ისეთი, რაც სიმართლეს არ შეესაბამება.

საქართველოს ვეტოდებია პრეზიდენტი მართლა ქსოვს? — ქსოვს!

ბატონ ივანიშვილს ხელჩაკიდებული რომ არ ეტარებინა ლამის კარდაკარ აწ უკვე პრეზიდენტი მარგველაშვილი ბოთესავით, ამას თუ არ აირჩევთ პრეზიდენტად, ნამეტანი ნაწყენი დავრჩებიო, ხალხმა ვინმე მარგველაშვილის არსებობა იცოდა და პრეზიდენტად აირჩევდა? — არა!

ასე თავგამოდებული „ენჯეოშნიკები“, „რესპუბლიკელები“, „სოროსელები“ თუ რაც ჰქვიათ კიდევ, ბიძინა ივანიშვილს რომ არ შეერეკა ფარასავით ბაკ-პარლამენტში, რომელიმე მათგანი მაინც თუ იქნებოდა ხალხის მიერ არჩეული პარლამენტარი, ან პერსპექტივაში რისამე მინისტრი? — არა!

ეროვნული ბანკის პრეზიდენტი რომ „მსოფლიო მავანთა“ თხოვნით დაინდო ბიძინა ივანიშვილმა, ეს თვით ექს-პრემიერმა აღიარა და ახლა იმ დანდობილმა სრულიად საქართველო რომ მოსრა, ფაქტი სახეზე არ არის? — არის!

აბა, რა თქვა სხვა თამაზ მეჭიაურმა ისეთი, რომ დღემდე ვერ შეაშრა გადმოდენილი დუჟი ზოგიერთს?

**თამაზ მეჭიაური:** — „მე ვალდებულების გრძნობა მაქვს. რომ არა ივანიშვილი, პარლამენტის წევრი ვერ ვიქნებოდი. ივანიშვილთან პრინციპულ საკითხებში წინააღმდეგობაში რომ მოვიდე, ავდგები და რაც მისგან მიღებული მაქვს, მას (დეპუტატის მანდატს — ავტ.) დავუბრუნებ.“

„ამ კაცს ნდობა გამოაუცხადა არა ქვეყნის მოსახლეობამ, არამედ ერთმა კაცმა — ბიძინა ივანიშვილმა. ადამიანს ვალდებულების გრძნობა უნდა გააჩნდეს. მარგველაშვილი პრინციპულად იმ პროგრამის საწინააღმდეგოდ მოქმედებს, რომლითაც ის თანამდებობაზე მოვიდა, რომელიც მას პარტიაში დაუწერეს და რომელ პლატფორმასაც იზიარებდა.“

„მარგველაშვილმა, თავისი ჭკუით, გამოგვიყენა და ვინც რეალურად მისი გუნდი იყო, იქ მიიყვანა „თავისუფლების ინსტიტუტი“ და „ნაციონალების“ ნასხლეტები.“

ყოველივე ზემოთთქმულიდან გამომდინარე, ბატონი მეჭიაური რომ ბატონ პრეზიდენტს აღარც ღირსეულ პრეზიდენტად თვლის და აღარც ღირსეულ პოლიტიკოსად, ბუნებრივია და შესაბამისად, კითხვას აღარ ბადებს, რატომო?

ისიც გასაგებია, რატომ თვლის ბატონი მეჭიაური რომ ქადაგიძესთან ტკბილად საუბარი არ არის საჭირო იმის შიშით, ვაითუ, უფრო გაღიზიანდეს და უფრო ცუდი შედეგი დადგესო — მართლაცდა, ქადაგიძე ადამიანია თუ გოძილა?

თუმცა, იქნებ ქადაგიძე მხოლოდ გოძილას კვერცხია, გოძილა კი ის მსოფლიო ორგანიზაციაა, რომლის თხოვნით ის, თავის დროზე ივანიშვილმა „შეიწყალა“?

**P.S.** სოციალურ ქსელში ვიღაცამ შეუძახა ბატონ მეჭიაურს: „მიდი, ჟოფრეი, მიდი!“ ჰოდა, „მივიდეს“ და ბოლომდე მიაწვეს, იქნებ ერთიც ვნახოთ და „ვიღაცამ“ ჟოფრეის ხელით გაიტანოს საქართველოს 90%-ისთვის მიუღებელი „ხლამი“?

**გიორგი ჩხეიძე**

# ესენი არიან საბოტაჟნიკები და აფერისტები — რაში ადანაშაულებს და რატომ უწუნებს საკადრო პოლიტიკას დენის დავითაშვილი თამარ სანიკიძეს?

**საქართველოს პროფესიული განათლებისა და კვალიფიციური კადრების მომზადების მუშაკთა და სტუდენტთა პროფესიული კავშირის თავმჯდომარემ დენის დავითაშვილმა თბილისის საქალაქო სასამართლოს განათლების მინისტრისა და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანებების გაუქმების მოთხოვნით მიმართა. პროფლიდერის თქმით, მინისტრისა და ცენტრის ხელმძღვანელობის მიერ გამოცემული ნორმატიული აქტები საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას ეწინააღმდეგება და მათი ამოქმედება სისტემას დამანგრეველ შედეგებს მოუტანს. ექსპერტი განმარტავს, რომ სამინისტროსა და მისი სსიპ-ის ხელმძღვანელობა მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვას მათი პილოტირების გარეშე აპირებს, რაც დაუშვებელია. არაუფლებამოსილი დარგობრივი საბჭოების მიერ გაცემული რეკომენდაციების საფუძველზე დამტკიცებული პროფესიული სტანდარტებისა და ჩარჩო დოკუმენტების საფუძველზე შექმნილმა მოდულურმა საგანმანათლებლო პროგრამებმა სექტემბრის თვეში ავტორიზაცია უნდა გაიაროს. სრულიად შესაძლებელია, რომ არასათანადო მომზადების გამო ავტორიზაციის საბჭომ საჯარო და კერძო კოლეჯებს უარი უთხრან ავტორიზაციაზე, რაც რეალურ საფრთხეს შეუქმნის კოლეჯებს, მათ პედაგოგებს და სტუდენტებს—განმარტავს დენის დავითაშვილი.**

ბოლო ერთი თვის განმავლობაში, სასამართლოში გავასაჩივრეთ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელობის 5 და განათლების მინისტრის 1 ბრძანება. როგორც ვვარაუდობდით, თბილისის საქალაქო სასამართლომ წარმოებაში მიიღო ჩვენი სარჩელი სსიპ ეროვნული ცენტრის 2015 წლის 20 ივლისის 6510 ბრძანების ბათილად ცნობის შესახებ. სწორედ, ამ ბრძანების საფუძველზე ეროვნული ცენტრის დირექტორის 27 და 28 ივლისის 6529 და 6536 ბრძანებებით დამტკიცდა 54 პროფესიული სტანდარტი და 54 ჩარჩო დოკუმენტი. ამ სახით და დამტკიცებული სტანდარტებისა და ჩარჩო დოკუმენტების საფუძველზე იგეგმება მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების პილოტილების გარეშე დანერგვა. ჩვენ მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით სწავლების წინააღმდეგი არ ვართ, მაგრამ ჯერ უნდა ჩატარებულიყო პილოტირება, უნდა შეფასებულიყო პროგრამების ავკარგიანობა და თუ იქნებოდა დამსაქმებელთა მიერ კონკრეტული მოდულებით მომზადებულ სპეციალისტებზე მოთხოვნა, დანერგვა უნდა დაწყებულიყო. ამის გარეშე, ყველაფერი ფიქცია და აფიორაა. ეს ბრძანებები გამოცემულია კანონის უხეში დარღვევებით. მაგალითად: ცენტრის დირექტორმა 13 ივლისს გამოსცა 489-ე ბრძანება დარგობრივი საბჭოების შექმნისა და საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ. საბჭოს სხდომებზე „შემთხვევით“, პროფესიონალი და საქმის მცოდნე ადამიანები რომ არ მოხვდნენ, საბჭოს სხდომები დახურეს. იმავე დღეს შეიქმნა დარგობრივი საბჭოები და დამტკიცდა მათი შემადგენლობები. საინტერესოა, რომ ცენტრი თავისივე დებულებას არღვევს, რადგან დებულებით, საბჭოს შემადგენლობა მინიმუმ 7 და მაქსიმუმ 9 კაცით უნდა განისაზღვროს და რეალურად, 5-6 კაცი ჰყავთ. ცალკე თემაა საბჭოების წევრთა პროფესიონალიზმი. სოფლის მეურნეობის დარგობრივი საბჭოს მუსიკოსი ხელმძღვანელობს. იქნებ ამიხსნან, მუსიკოსმა როგორ უნდა შეაფასოს მევენახის, მეხილის, მებოსტნის და მეფუტკრის პროფესიული სტანდარტი? ანალიგიურად, მშენებლობის დარგობრივი პროფესიული საბჭოს შემადგენლობაში ყველა შეიყვანეს მშენებლების გარდა. ხომ წარმოგიდგენიათ, როგორ მაღალპროფესიულ დონეზე შეასრულებენ თავიანთ სამუშაოს? სამართლებრივი დავით მე ვცდილობ დავიცვა პროფესიული კოლეჯების თანამშრომელთა და სტუდენტთა ინტერესები, ვინაიდან პრემიერ-მინისტრის 2013 წლის 26 დეკემბრის №300 ბრძანება არ ითვალისწინებდა ცალკეული მოდულების პილოტირებას, რის განხორციელებასაც განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი სამინისტროსთან შეთანხმებით ცდილობს. ეს არის აფიორა, საბოტაჟი და დივერსია, რომელსაც თამარ სანიკიძესთან ერთად ცენტრის დირექტორის მოადგილე თამარ მახარაშვილი და პროგრამის მენეჯერი კახაბერ ერაძე ახორციელებენ. ერთი ფაქტი მაინც მითხრან, რომ მოდულების განხორციელებისა და შესწავლის შედეგებით რომელიმე დამსაქმებელი დაინტერესდა და ამათი მომზადებული სპეციალისტი სამსახურში მიღების პირობა დადო. ეს ხალხი არა მარტო გასათავისუფლებელი, სიახლოვეს გასაკარებელი არაა პროფესიული განათლების სისტემასთან.



> „გასაკვირი არაა, რომ ასეთი საკადრო პოლიტიკის გამტარებელი მინისტრი, წინა ხელისუფლების დროს ლიკვიდირებული პროფესიული კოლეჯების აღდგენის ნაცვლად, ყიდის თოიძის სახელობის სამხატვრო სასწავლებლის ისტორიული შენობას.“

**ყველა სიკეთესთან ერთად, განათლების მინისტრი პროფესიული კოლეჯების პედაგოგების ექსპლუატაციას ეწევა—აცხადებს დენის დავითაშვილი და თამარ სანიკიძის 2015 წლის 10 ივლისს გამოცემულ ბრძანებას იშველიებს, რომლის თანახმად, პროფესიულ კოლეჯებს დაევალათ, 10-31 აგვისტოს ჩათვლით, დამატებით შეეტანათ თვითშეფასების ანგარიშებში მოდულური საგანმანათლებლო პროგრამები. პროფლიდერის თქმით, კოლეჯების პედაგოგებს და ადმინისტრაციულ პერსონალს მთელი ზაფხული უხელფასოდ მუშაობა მოიწია. ამის გარდა, თამარ სანიკიძემ კიდევ ერთხელ დაარღვია კანონი, როცა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს კოლეჯებისთვის სექტემბის შუა რიცხვებამდე ჩასატარებელი ავტორიზაციის საფასურის გადახდა დაავალა— აცხადებს დავითაშვილი.**

გარდა იმისა, რომ სანიკიძემ პროფესიული კოლეჯების თანამშრომლები აგვისტოს თვეში უხელფასოდ ამუშავა, უფრო „შორს წავიდა“ და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს კოლეჯების სექტემბერში გასავლელი ავტორიზაციის საფასურის გადახდაც დაავალა. ეს კანონით დასჯადი ქმედება და წარმოუდგენელი ინტერესთა კონფლიქტია. ორგანიზაცია, რომელიც პროფესიულ კოლეჯებს ავტორიზაციას უტარებს, თვითონვე იხდის ამის საფასურს. არ ვიცი, საიდან აპირებს სანიკიძე კოლეჯების ავტორიზაციისთვის საჭირო ფულის მოძიებას, რადგან ცენტრის ბიუჯეტში, ასეთი ხარჯები გათვალისწინებული არ არის.

**დენის დავითაშვილი კოლეჯების დირექტორთა ნაწილის მიერ მისი მისამართით გამოთქმულ ბრალდებებსაც შეეხო. შეგახსენებთ, რომ დირექტორთა ნაწილი აცხადებს, რომ მოდულური პროფესიული სწავლება მოწონებული და აღიარებულია გაეროს მიერ და დავითაშვილის კრიტიკა ვერაფერს დააკლებს. პროფლიდერს იმასაც საყვედურობენ, რომ 2014 წელს, სწორედ მისი სარჩელი გახდა საფუძველი, რიგ სასწავლებლებში, მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების პილოტირების პროცესი დროებით შეჩერებულიყო, რამაც მასწავლებლები საახალწლოდ ხელფასის გარეშე დატოვა. კოლეჯების დირექტორები აცხადებენ, რომ დავითაშვილის აქტიურობა მხოლოდ პროფკავშირებში მეტი ადამიანის გაწევრიანებას ემსახურება, თუმცა სასამართლომ პროფკავშირის სარჩელი არ დააკმაყოფილა და მიმდინარე წელს 50-მდე მოდულური პროგრამის დანერგვა იგეგმება.**

რაც შეეხება ჩემს მიმართ გამოთქმულ პრეტენზიებს, მე პირდაპირი კაცი ვარ და გეტყვით, რომ მეცოდება ყველა ის დირექტორი, რომელიც თანამდებობის შენარჩუნების გამო, იძულებულია სამინისტროსა და ცენტრის მიერ დადგმულ უნიჭო წარმოდგენებში მიიღოს მონაწილეობა. გასაგებია, რომ პროფესიული კოლეჯების დირექტორებს, პედაგოგებს და თანამშრომლებს ხელფასს აძლევს, სამსახურში ნიშნავს და ათავისუფლებს განათლების მინისტრი. მე შევდივარ ამ ადამიანების მდგომარეობაში, მაგრამ ვამბობ, რომ ეს მონური დამოკიდებულება უნდა დამთავრდეს და ადამიანებს თავისუფლად აზრის გამოთქმა უნდა შეეძლოთ. ამ ადამიანებს შევახსენებ, რომ შარშანდლამდე კოლეჯებში პედაგოგის საათობრივი ანაზღაურება 3-დან 5 ლარამდე მერყეობდა. პარლამენტთან, მთავრობასთან და ფინანსთა სამინისტროსთან მუშაობის შედეგად მივაღწიეთ, რომ ყველა კოლეჯში, ყველა პედაგოგის ხელფასი მინიმუმ 8 ლარია, ზოგიერთ კოლეჯში კი 15 ლარიც. მომავალი წლიდან ვიზრუნებთ, რომ ეს უთანასწორობა აღმოიფხვრას და ყველა პედაგოგის საათობრივი ანაზღაურება 15 ლარი იყოს. იმასაც შევახსენებ, რომ სწორედ ჩვენ მივაღებინეთ პარლამენტს პროფესიული სწავლების ბიუჯეტის გაზრდილი პარამეტრები, როცა სამინისტროს წარმომადგენლებმა ბიუჯეტის განხილვის დროს პარლამენტში მობრძანებაც არ ინებეს. ახლა პრეტენზიებს მიყენებენ, სანამ საათობრივი ანაზღაურება 15 ლარი არ გახდება, თქვენს პროფკავშირში არ შემოვალთო. არ შემოვლენ და ღმერთმა ხელი მოუმართოთ. ვინ თხოვათ და ვინ დაამალათ? ჩემს უსაგნო კრიტიკას, ზოგიერთ ვაი-დირექტორს ურჩევნია, იმაზე იფიქროს, იმ 174 მსმენელიდან, მოდულურ პროგრამებზე რომ ჩარიცხეს, რამდენი იყო „გარედან“ მოსული და რამდენი თავისივე სტუდენტი. რა საგნებში მოამზადეს ეს ადამიანები და იყო თუ არა ეს ძირითადი პროგრამით გათვალისწინებული საგნები. „ჯიპას“ ყოფილმა ბუღალტერმა თამარ სანიკიძემაც უნდა იცოდეს, რა არის ორმაგი ბუღალტერია. სანამ ამ საკითხს შესაბამისი სტრუქტურები არ შეისწავლიან, მეტის თქმისგან თავს შევიკავებ. თუმცა, იმ ადამიანებს, რომლებმაც დაიჯერეს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილის თამარ მახარაშვილის მიერ გავრცელებული ინფორმაცია და ამბობენ, რომ სასამართლოში საქმე წავაგე, ვკითხავ, სადმე გაგიგიათ, რომ წაგებულ მხარეს სასამართლო სახელმწიფო ბაჟის

გადახდილ თანხას უკან უბრუნებდეს? კარგად გაიკითხეთ, იქნებ გაიგოთ.. რა პროცესი მოიგეს? მე არ ვიცი და სადმე ერთვიანი მოდულური პროგრამების პილოტირება გაგრძელდა? სამინისტროს და მის სსიპ-ს მართავენ აფერისტები, რომლებმაც გადაწყვიტეს წელს პილოტირების გარეშე, რაც პრემიერ მინისტრის მე-300 ბრძანებით ჰქონდათ დავალებული, პირდაპირ დაიწყონ ამ პროგრამების დანერგვა.

**დენის დავითაშვილის თქმით, აუდიტის სამსახური უკვე სწავლობს მოდულური პროფესიული პროგრამების განხორციელებისთვის გამოყოფილი თანხების ხარჯვის მიზნობრიობას, თუმცა მას დახარჯულზე მეტად, დასახარჯი თანხები აღელვებს. იმისთვის, რომ სისტემაში წესრიგი დამყარდეს და პროფესიული სწავლებისთვის გამოყოფილი თითოეული თეთრი მიზნობრივად დაიხარჯოს, პროფლიდერის აზრით, განათლების მინისტრისა და ცენტრის ხელმძღვანელობის შეცვლა აუცილებელია.**

აუდიტის სამსახური უკვე სწავლობს, რამდენად სამართლიანად დახარჯა ეროვნულმა ცენტრმა 2 კვირაში 78500 ლარი, რომელიც მოდულური პროგრამებისთვის იყო გამოყოფილი, მაგრამ წინ არის უარესი პროცესები და მე იმ 2 მილიონ 200 000 ლარის ბედი უფრო მაღელვებს, რომლის განიავებასაც საბოტაჟნიკები ახლა აპირებენ. კიდევ მაინტერესებს, განათლების სისტემაში სხვა ვერავინ დაწყებას ოქტომბერშიც კი ვერ მოახერხებენ. საუბრის ბოლოს გეტყვით, რომ მოდულური საგანმანათლებლო პროგრამები მხოლოდ ერთი წლის, ანუ მას შემდეგ შეიძლება დაიწყოს, რაც პილოტირებას გაივლის. ჩემს მიერ სასამართლოში საქმის მოგების შემთხვევაში, მოდულური პროფესიული პროგრამები გაუქმდება და სტუდენტები გარეთ დარჩებიან. ასე რომ არ მოხდეს, პროფესიულ კოლეჯებში სწავლება უნდა განხორციელდეს აქამდე არსებული პროგრამების და სტანდარტების შესაბამისად. და ბოლოს, ჩვენი მოთხოვნაა, დაუყოვნებლის გათავისუფლდეს არა მარტო მინისტრი და მისი პირველი მოადგილე ქეთევან ნატრიაშვილი, არამედ ცენტრის ხელმძღვანელობა და პროგრამის მენეჯერი კახაბერ ერაძე, რომელსაც დიდი წვლილი მიუძღვის ამ უბედურების დატრიალებაში. დარწმუნებული ვარ, რომ პრემიერ-მინისტრი აუცილებლად მიიღებს განათლების მინისტრის თანამდებობიდან მოხსნის გადაწყვეტილებას. მხოლოდ პიარზე ორიენტირებულმა თამარ სანიკიძემ თავის გუნდთან ერთად დაღუპა ისედაც უმძიმეს მდგომარეობაში მყოფი პროფესიული განათლების სისტემა და ეს უბედურება ვიღაცამ აუცილებლად უნდა შეაჩეროს.

**პროფლიდერის ბრალდებებზე კომენტარისთვის სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრს დავუკავშირდით. უწყების საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურთან მიღწეული შეთანხმების თანახმად, კითხვებიც გადავაგზავნეთ, თუმცა „პასუხმა“ იმაზე მეტი კითხვა გაგვიჩინა, ვიდრე მანამდე გვქონდა. „გთხოვთ, კითხვები გამოგვიგზავნოთ განცხადების სახით ცენტრის ოფიციალურ მეილზე ინფო©ექე.გე. განცხადებაში მითითებული უნდა იყოს თქვენი რეგალია. გამოგვიგზავნეთ ხელმოწერილი და დასკანერებული განცხადება.“– ეწერა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის თანამშრომლის მიერ გამოგზავნილ საპასუხო წერილში. ვინაიდან, ათწლიანი ჟურნალისტური მოღვაწეობის მანძილზე, სახელმწიფო თუ კერძო უწყებაში კითხვების განცხადების სახით გადაგზავნის შემთხვევა არ მქონია, ამასთან პროფლიდერის მიერ მრავალგზის გაჟღერებულ ბრალდებებთან დაკავშირებით, საჯარო ინფორმაციას და არა სამხედრო საიდუმლოებას ვითხოვდით, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან ეპისტოლარული ურთიერთობის გაგრძელება უაზროდ ჩავთვალეთ.**



გამოინახა, რომ განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილედ სააკაშვილის დროინდელი ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის მოადგილე არ დანიშნონ? როგორც ვიცი, თანამდებობაზე დანიშვნამდე თამარ მახარაშვილი მიხეილ სააკაშვილის თარჯიმანი იყო და სხვადასხვა შეხვედრებზე დაყვებოდა. მახარაშვილის გარდა, განათლების სამინისტროში კიდევ ბევრია სააკაშვილის კადრი და ერთ-ერთი ბრალდება, რომელსაც თამარ სანიკიძეს ვუყენებ, ესაა. გასაკვირი არაა, რომ ასეთი საკადრო პოლიტიკის გამტარებელი მინისტრი, წინა ხელისუფლების დროს ლიკვიდირებული პროფესიული კოლეჯების აღდგენის ნაცვლად, ყიდის თოიძის სახელობის სამხატვრო სასწავლებლის ისტორიული შენობას. მინისტრი ცრუობს, როცა ამბობს, რომ სწავლა 14 სექტემბერს დაიწყება, რადგან პროფესიულ საგანმანათლებლო კოლეჯებში სწავლის

**ნელი თორდია**
571 35 36 88

# „ევროპის ახალი გეოპოლიტიკური ლანდშაფტის“ მონაწილეებმა დახურულ კარს მიღმა რეკომენდაციები შეიმუშავეს



საერთაშორისო კონფერეცია „ევროპის ახალი გეოპოლიტიკური ლანდშაფტი“ დასრულდა. კონფერენციის მონაწილეებმა რეგიონში არსებული ეკონომიკური, ენერგეტიკული და დემოკრატიული გამოწვევების განხილვის შემდეგ ჟურნალისტებისგან დახურულ, სამუშაო რეჟიმში რეკომენდაციები შეიმუშავეს, რომელიც მედიის წარმომადგენლებისთვის რამდენიმე დღეში გახდება ცნობილი. რამდენიმე საათიანი შეხვედრის შედეგ, ჟურნალისტებთან კომენტარი გააკეთა დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების მიმართულებით მაკეინის ინსტიტუტის დირექტორმა, დევიდ კრამერმა.

„რეგიონის ყველა ქვეყანა უნდა მიყვეს დემოკრატიული ინსტიტუტების კანონის უზენაისობაზე დაფუძნებულ მიდგომას. მხარს ვუჭერთ ქართველების, მოლდოველების, უკრაინელებისა და რეგიონის სხვა ქვეყნების ინტეგრაციას დასავლეთთან და ევროპასთან. მათ აქვთ უფლება ეს გზა გააგრძელონ და სხვა ქვეყანამ არ უნდა დაადოს ვეტო მათ მისწრაფებას. საქართველოს დემოკრატიული განვითარება ქართველების საქმეა. საერთაშორისო გაერთიანებამ კი თავისი როლი უნდა შეასრულოს. მთავრია, რომ დაცული იყოს კანონის უზენაესობა, ადამიანთა უფლებები, ჩატარდეს სამართლიანი არჩევნები და მედია იყოს თავისუფალი. ჩვენ გვინდა საქართველოს დემოკრატიული პროცესების გზაზე დავეხმაროთ“, - განაცხადა დევიდ კრამერმა.

გავრცელებული ინფორმაციით, კონფერენციის მონაწილეების მიერ საქართველოსთან დაკავშირებით მიღებული რეკომენდაციები ეხება თემებს -„როგორ უნდა მოხდეს ქვეყნის დემოკრატიული გზით განვითარება და რა ნაბიჯები უნდა გადადგას ქვეყანამ ევროინტეგრაციისკენ.

საერთაშორისო კონფერენცია თბილისში 7 და 8 სექტემბერს მიმდინარეობდა.

# ე.წ. კორტების სპეცოპერაციის საქმეზე ვანო მერაბიშვილი დაიკითხება

ე.წ. კორტების სპეცოპერაციის საქმეზე ბრალდებული პოლიციის ყოფილი მაღალჩინოსნების პროცესზე შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი ვანო მერაბიშვილი დაიკითხება.

ინფორმაცია ამის შესახებ ჟურნალისტებს დაცვის მხარის ადვოკატმა დავით ხაჟალიამ თბილისის საქალაქო სასამართლოში დღევანდელი პროცესის დასრულების შემდეგ მიაწოდა.

შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრ ვანო მერაბიშვილთან სატელეფონო საუბარის შესახებ თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს ყოფილმა უფროსმა მერაბ ბაღათურიამ განაცხადა, რომელიც დღეს დაიკითხა.





როგორც მოწმემ აღნიშნა, მის სამმართველოს არ ჰქონდა ინფორმაცია კორტების სპეცოპერაციის შესახებ. მისი თქმით, სპეცოპერაციის შემდეგ მას დაურეკა ვანო მერაბიშვილმა და ბონდო ფუთურიძის, ალექსანდრე ხუბულოვისა და ზურაბ ვაზაგაშვილის შესახებ მაკომპრომიტირებელი მასალის მოძიება მოსთხოვა.

ამასთან, მოწმემ ჩვენების დროს ისიც აღნიშნა, რომ მას, ვანო მერაბიშვილმა ირაკლი ფირცხალავას სამსახურიდან გათავისუფლებაც მოსთხოვა და მისთვის გაუგებარი იყო ის ფაქტი, რომ ირაკლი ფირხალავა შემდგომ დააწინაურეს - კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის უფროსის მოადგილედ დაინიშნა.

როგორც ადვოკატი დავით ხაჟალია ამბობს, მერაბიშვილი დაიკითხება იმ სატელეფონო საუბრის შესახებ, რომელიც შედგა ბაღათურიასა და მას შორის.

# პრეზიდენტმა სემეკის წევრობის სამი კანდიდატი შეარჩია

საქართველოს პრეზიდენტმა მიიღო გადაწყვეტილება სემეკის წევრობის სამ კანდიდატთან დაკავშირებით. აღნიშნულთან შესახებ დღეს პრეეზიდენტის ადმინისტრაციაში ბრიფინგი გაიმართა, რომელზეც პრეზიდენტის მრჩეველმა ეკონომიკის საკითხებში გიორგი აბაშიშვილმა სემეკის წევრობის სამი შერჩეული კანდიდატი წარადგინა.



კერძოდ, პრეზიდენტის მიერ მთავრობაში წარსადგენად შერჩეული კანდიდატები არიან: დავით ასლანიშვილი, გიორგი ფანგანი და მარინა გულედანი.

„პრეზიდენტის დავალებით მე თითქმის 4 თვის განმავლობაში ვხელმძღვანელობდი პროცესს, რომელშიც მონაწილეობდა 20 ექსპერტი. ხანგრძლივი კონსულტაციების შედეგად, სემეკის წევრობის 35 კანდიდატიდან ექსპერტებმა საქართველოს პრეზიდენტს ელექტრონული ფორმით, გამჭვირვალეობის უზრუნველყოფით წარუდგინეს 9 კანდიდატი. მოგვიანებით ამ 9 კანდიდატთან დაკავშირებით ექსპერტებმა დამატებითი რეკომენდაციები წარუდგინეს პრეზიდენტს. მქონდა შეხვედრა ყველა კანდიდატთან, ვინც ეს შეძლო.

დღეს, ექსპერტების შერჩეული 9 კანდიდატიდან პრეზიდენტის მიერ საქართველოს მთავრობას საქართველოს პარლამენტში წარსადგენად გადაეგზავნება სამი კანდიდატი. ესენი არიან ბატონი დავით ასლანიშვილი, ბატონი გიორგი ფანგანი და ქალბატონი მარინა გულედანი, რომელიც სამწუხაროდ დღეს იმყოფება ავსტრიაში“, - განაცხადა აბაშიშვილმა.

რაც შეეხება კანდიდატების გამოცდილებას, პრეზიდენტის მრჩეველის ინფორმაციით, დავით ასლანიშვილი არის ეკონომიკის დოქტორი, აქვს პრაქტიკული გამოცდილება. ამავდროულად, აგრძელებს სამეცნიერო მუშაობს. სხვადასხვა დროს სწავლობდა აშშ-ში, ჩეხეთში და ასე შემდეგ.

აბაშიშვილის ინფორმაციითვე, სემეკის წევრობის მეორე კანდიდატი გიორგი ფანგანი 2005 წლიდან მუშაობს სემეკში სხვადასხვა პოზიციაზე.

„აქვს დიდი პრაქტიკული გამოცდილება ამ მიმართულებით, მომსახურების სტანდარტების დანერგვის პროცესში უშუალოდ იყო ჩართული, ასევე - სატარიფო მეთოდოლოგიის შემუშავებაში და ასოცირების დღის წესრიგიდან გამომდინარე ენერგეტიკის სფეროში კანონდებლობის დახვეწის საკითხში“, - აღნიშნა აბაშიშვილმა.

# რა ხდება, ქალბატონო თინა, მხოლოდ ალაგ-ალაგ რატომ გიჩნდებათ ეჭვი?

ე.წ. კაბელების საქმესთან დაკავშირებით, თავის დროზე „საერთო გაზეთს" ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატების" ხელმძღვანელი არჩილ კაიკაციშვილი ესაუბრა, რომელმაც ხსენებული საქმე „სილქნეთის" საქმედ შეაფასა. მისი განცხადებით, ეს იყო თავდაცვის სამინისტროსა და ხსენებულ კომპანიას შორის ხელშეკრულების ფარგლებში არსებული უთანხმოება, რომელიც ირაკლი ალასანიას შემდგომმა ხელმძღვანელობამ სადაო გახადა. როგორც არჩილ კაიკაციშვილი აცხადებდა, თავდაცვის უწყებასა და „სილქნეთს" შორის სერიოზული ტენდერის გარეშე დაიდო მომსახურეობის ხელშეკრულება ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელების შეძენასთან და სამინისტროს ინტერნეტსისტემის უფრო მეტად დაცულობასთან დაკავშირებით. ტენდერში, რომელშიც რამდენიმე კომპანია მონაწილეობდა, არ მომხდარა კონკურენტული გარემოს შექმნა, კერძოდ, „სილქნეთს" თურმე ისე მიანიჭეს უპირატესობა, რომ სხვა კონკურსანტების წინადადებებს არც გაუნუხილიათ, გამარჯვებული კომპანიის განაცხადი კონკურსამდე გაიხსნა, ანუ თავდაცვის სამინისტრომ წინასწარ იცოდა „სილქნეთი" რა პირობებს სთავაზობდაო. ამის სავარაუდო მიზეზად ის გარემოება სახელდება, რომ ხსენებული უწყების ერთ-ერთ ხელმძღვანელ პირსა და კომპანიის წარმომადგენელს შორის ნათესაური კავშირი არსებობს. როგორც ცნობილია, პროკურატურა განსასჯელებს სახელმწიფო თანხების გაფლანგვას ედავება. არჩილ კაიკაციშვილის განცხადებით, როგორც საქმის მასალებიდან და ექსპერტიზის დასკვნიდან ჩანს, თავდაცვის სამინისტრო ხსენებული მომსახურებით დაზარალებული რჩებოდა, რადგან ფულს იმ კაბელებშიც იხდიდა, რომელიც მანამდე იყო ჩადებული, უბრალოდ „სილქნეთს" ინტერნეტსისტემის უკეთ დაცვის მიზნით, მხოლოდ რამდენიმე წვერი კაბელი უნდა დაემატებინა. თუ ეს სიმართლეა, გამოდის მომსახურების ხარჯები ასე ვთქვათ, ხელოვნურად იყო გაბერილი. მოგეხსენებათ, პირველი ინსტანციის მოსამართლე ჯუღელმა ექსპერტიზის ხსენებული დასკვნა და რაც არ უნდა გასაოცარი იყოს, ბრალდების დადგენილებაც დაუშვებელ მტკიცებულებად ცნო, თუმცა ზემდგომმა ინსტანციამ ეს გადაწყვეტილება გააუქმა.

რამდენად ჯდება სამართლებრივ ჩარჩოებში მინისტრ ხიდაშელის გადაწყვეტილება, განსასჯელი პირების სამსახურში აღდგენასთან დაკავშირებით, „საერთო გაზეთს" „ახალგაზრდა ადვოკატების" ხელმძღვანელი **არჩილ კაიკაციშვილი** ესაუბრა.

- თავდაცვის მინისტრის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ბრალდებული პირების სამსახურში მათ თანამდებობრივ სტატუსში აღდგენასთან დაკავშირებით, იურიდიული საზოგადოებისთვის საკამათოა, მაგრამ ეს გადაწყვეტილება არ უნდა განვიხილოთ, როგორც სამართლებრივი ფაქტი ან შედეგი. რასაკვირველია, ის პოლიტიკური აქტია, რომელმაც სამართლებრივი მხარე დაჩრდილა და უფრო მეტი კითხვა გააჩინა მის სამართლიანობასთან დაკავშირებით. გადაწყვეტილება შეიძლება სამართლიანი არ იყოს, მაგრამ იყოს პოლიტიკური, რადგან პოლიტიკური პროცესის შემადგენელი ნაწილი აღმოჩნდეს, მაგრამ როდესაც სამართლებრივ მხარესთან გვაქვს საქმე, ყველა პოლიტიკური თანამდებობის პირი ვალდებულია მიიღოს, როგორც სამართლიანი ისე კანონთან შესაბამისი გადაწყვეტილება. როდესაც ვამბობთ, რომ საკამათოა მინისტრ ხიდაშელის გადაწყვეტილება, უწინარეს ყოვლისა იმ გარემოებას ვეყრდნობით, თუ რის საფუძველზე გათავისუფლდნენ ე.წ. კაბელების საქმეზე ბრალდებული პირები და რა ეტაპზე იყო აღნიშნული საქმის წარმოება. ხიდაშელის წინამორბედმა მინისტრმა (მინდია ჯანელიძე) აღნიშნულ პირებს თანამდებობრივი უფლებამოსილება იმის გამო შეუწყვიტა, რომ ისინი ბრალდებულის სახით მიეცნენ სს-ის პასუხისგებაში. შემდგომ საქმე სასამართლოში წარიმართა და მოსამართლემ მხარეთა შუამდგომლობის საფუძველზე აღკვეთის ღონისძიება შეცვალა, განსასჯელები წინაწარი პატიმრობიდან თავდებობით გათავისუფლდნენ, ცნობისთვის, ეს არ ნიშნავს, რომ მათ მიმართ გამამართლებელი განაჩენი დადგა. შესაბამისად, საზოგადოებამ, მათ შორის იურისტებმა და მესამე სექტორის წარმომადგენლებმა არ ვიცით ობიექტური დასკვნა ამ საკითხზე, რომ აღნიშნული თანამდებობის პირების კეთილსინდისიერების საკითხი უკვე გადაწყვეტილია, ანუ ისინი დამნაშავეები არიან თუ უდანაშაულოები ინფორმაცია არ გვაქვს. ის, რაც მინისტრმა ხიდაშელმა გააკეთა, კანონი მის კონკრეტულ რეგულაციას არ ახდენს, შესაბამისად კანონი არ ამბობს, რომ ყოფილ თანამდებობის პირებს, რომლებიც ბრალდებულნი არიან სს-ის საქმეზე და რომელთაც სასამართლოს გადაწყვეტილებით აღკვეთის ღონისძიება შეეცვალათ, უფლება აქვთ თანამდებობას დაუბრუნდნენ. ვიმეორებ, ამის შესახებ კანონმდებლობა ცალსახად არაფერს ამბობს. აქედან გამომდინარე, პროცესი და გადაწყვეტილება იმდენად საკამათოა, რამდენადაც საკამათო არ არის, რომ ეს პოლიტიკური ხასიათის გადაწყვეტილებაა. საკამათოა, რადგან საქმესთან დაკავშირებით სასამართლო გადაწყვეტილება ჯერ კანონიერ ძალაში არ შესულა, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაც რომ არსებობდეს, არც მაშინ იქნებოდა რაღაც ხაზგასამელი ამ პირთა სამსახურში აღდგენა, რადგან გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში უნდა შევიდეს (ყველა ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილება უნდა არსებობდეს, რადგან არ არის გამორიცხული რომელიმე მხარეს გასაჩივრების სურვილი გაუჩნდეს - მ.ს.). ჯერ წინ გვაქვს სასამართლო სხდომები, მომდევნო სხდომა სექტემბერშია ჩანიშნული. ამიტომაც მნიშვნელოვანია გავარკვიოთ, რამდენად სამართლებრივი თუ პოლიტიკური გადაწყვეტილებაა მინისტრ ხიდაშელის ბრძანება და აქტი. ამ პროცესში ისმის კითხვა, თუკი სასამართლომ ეს პირები მსჯავრდებულებად ცნო, ამ შემთხვევაში დადგება თუ არა მინისტრის პასუხისმგებლობის საკითხი საზოგადოების წინაშე, რა გამოვა, რომ საქმის გაურკვევლად თანამდებობაზე აღადგინეს პირები, რომლებიც სასამართლო შემდგომში დამნაშავეებად გამოაცხადა? ცალსახად ვაცხადებ, რომ უდანაშაულობის პრეზუმფცია დაცული უნდა იქნეს, ჩვენი ორგანიზაცია თავიდანვე აღნიშნავდა, რომ ამ საქმეზე ღია და გამჭვირვალე ყოფილიყო მართლმსაჯულების პროცესი და ხელისუფლების გადაწყვეტილებები, მოცემულ ეტაპზე ეს გადაწყვეტილება პოლიტიკური ხასიათისაა. სხვათა შორის, ხიდაშელის ხსენებულ გადაწყვეტილებაზე მე ვერ მოვისმინე პრემიერ-მინისტრის ან მთავრობის სხვა წევრების კომენტარები, მოვისმინე მხოლოდ „თავისუფალი დემოკრატების" შეფასებები და მინისტრ ხიდაშელისადმი მადლობა. ამიტომაც საინტერესოა ეს იყო მთავრობის, როგორც კოლექტიური ორგანოში პრემიერის დონეზე შეთანხმებული გადაწყვეტილება, თუ ეს იყო მინისტრის დონეზე მიღებული გადაწყვეტილება. საზოგადოებას აქვს ეს შეკითხვები, რომლებიც აუცილებლად უნდა დაისვას და პასუხიც გაეცეს. თუ ჩვენ ამ შედეგამდე მივიდოდით, მაშინ რაღა იყო სადაო, ამ აღდგენით თავდაცვის სამინისტრომ რა თქვა, რომ ამ პირთა სამსახურიდან გათავისუფლება და სს-ის საქმის აღძვრა საფუძველს მოკლებული იყო? პოლიტიკური ტერმინოლოგიით, ფაქტობრივად ასე გამოდის, სამართლებრივი თვალსაზრისით კი გაურკვეველია. ამიტომ არ არის საკმარისი მინისტრის არგუმენტები თუ რატომ და რის გამო აღადგინეს თანამდებობებზე ე.წ. კაბელების საქმის თანამონაწილეები. ვფიქრობ, საზოგადოება უფრო მეტი სიცხადე ჭირდება და ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია პრემიერის შეხედულებები.

**- თუ ყოფილა შემთხვევა, რომ ბრალდებული თუ განსასჯელი პირი თანამდებობაზე დარჩენილიყო ან აღედგინათ? ხიდაშელს თავისი გადაწყვეტილებით იმის თქმა ხომ არ უნდა, რომ მისი უწყება ამ საქმეზე აღარ დაობს?**

- საქართველოს უახლეს ისტორიაში მსგავსი შემთხვევა არ არსებობს, როცა სს-ის საქმის წარმოების პროცესში ბრალდებულები შეცვლილი აღკვეთის ღონისძიების გამო თანამდებობებზე ბრუნდებოდნენ. ყოველ შემთხვევაში, მე ასეთი ფაქტი არ გამიგია, თუ არსებობს, მაშინ ასეთი პრეცედენტის საჭიროება მინისტრმა ხიდაშელმა უნდა განმარტოს. გეხსომებათ სოფლის მეურნეობის სამინისტროს შემთხვევა, როცა ტრაქტორების საქმეზე დაწყებული ძიების გამო, მინისტრმა დავით კირვალიძემ პოლიტიკური გადაწყვეტილება მიიღო და გადადგა. როდესაც ხსენებული სს-ის საქმე შეწყდა, ყოფილი მინისტრი თანამდებობაზე არ დაუბრუნებიათ, მაგრამ ბატონმა კირვალიძემ აჩვენა მაგალითი, დემოკრატიულ ქვეყნებში როგორია პოლიტიკური თანამდებობის პირის პასუხისმგებლობის საკითხი. ვფიქრობ, ასეთი პრეცედენტები გათვალისწინებული უნდა იყოს ჩვენს პოლიტიკურ რეალობაში. წინა ინტერვიუშიც გითხარით, რომ ე.წ. კაბელების საქმეში აშკარად არსებობს სს-ის დანაშაულის ნიშნები, არსებობს თანხის გაფლანგვის სამართლებრივი საფუძვლები, რადგან საქმის ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებები სავარაუდო დანაშაულზე მიუთითებენ. რა გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლო ჯერ არ ვიცით. ბუნებრივია მინისტრი ხიდაშელიც გაეცნო ამ საქმეს, მისი უწყება მხარეა ამ სასამართლო დავაში და მისი გადაწყვეტილებიდან გამომდინარე, ცოტა უცნაურია აღმასრულებელი ხელისუფლების დამოკიდებულება სასამართლო ხელისუფლებისადმი, ხსენებული გადაწყვეტილება ამ საქმის სერიოზულობაზე კი არა, მის აბსურდულობაზე ხაზგასმაა. რასაკვირველია თავდაცვის სამინისტრო ისევ დაობს, რადგან მინისტრის გადაწყვეტილება სასამართლო პროცესს ვერ შეაჩერებს, მაგრამ ის სასამართლოზე ირიბი ზეგავლენის ფაქტორია და შთაბეჭდილება რჩება, რომ მინისტრმა ხიდაშელმაც იმ თანამშრომლების მუნდირი დაიცვა, რომლებიც პრემიერ-მინისტრის განცხადებით, მნიშვნელოვანი თანხების გაფლანგვაში არიან გარეულნი. ვფიქრობ, აქ დიდი პოლიტიკური კონტექსტები უფროა, ვიდრე ერთი აღდგენა, პოლიტიკურ ძალთა შორის სამომავლო რაღაც პოლიტიკური პოზიციების დაფიქსირებისთვის ნიადაგის მოსინჯვის მცდელობები ვხედავ, თუ ამას როგორ მიიღებენ მმართველ კოალიციაში შემავალი სხვადასხვა სუბიექტები, რადგან კოალიცია მხოლოდ თინა ხიდაშელის რესპუბლიკური პარტია არ არის.

როდესაც წინამდებარე სტატია უკვე გამზადებული მქონდა, მედიასაშუალებებით გავრცელდა მინისტრ ხიდაშელის განცხადება, რომ თურმე მისთვის აუხსნელი ფაქტი ყოფილა, სად წაიღო თავდაცვის სამინისტრომ სახელმწიფო ბიუჯეტიდან სამი წლის განმავლობაში მისთვის გამოყოფილი მილიარდნახევარი ლარი, რატომ არ არის დასრულებული ყაზარმები, სპორტული თუ სხვა ინფრასტრუქტურული ნაგებობები და ა.შ. რა ხდება ქალბატონო თინათინ, მხოლოდ ალაგ-ალაგ რატომ გიჩნდებათ ეჭვი და აუხსნელ ფაქტად გეჩვენებათ, თუ სად წავიდა თქვენ გამინისტრებამდე თავდაცვის უწყებისთვის გამოყოფილი კოლოსალური თანხები?






არჩილ კაიკაციშვილი

**მანანა სუხიშვილი**
599 51 28 24

ინტერვიუ „ერეკლე II საზოგადოების" თავმჯდომარესთან **არჩილ ჭყოიძესთან**



**არჩილ ჭყოიძე:**

# 24 სექტემბერს პრეზიდენტის რეზიდენციასთან ვაწყობთ აქციას საქართველოს ნეიტრალიტეტის მოთხოვნით

**— თქვენი შეხედულებით, ბატონო არჩილ, რა მოსალოდნელი სასიკეთო ან სავალალო შედეგები შეიძლება მოიტანოს ნატო-ს სასწავლო-საწვრთნელი ცენტრის განთავსებამ საქართველოს ტერიტორიაზე? მოგეხსენებათ, ბოლო დღეებში განსაკუთრებით გააქტიურდა ეს საკითხი.**

— რუსეთის მხრიდან არაერთხელ ითქვა იმის თაობაზე, რომ თუ საქართველოში ნატო, რაიმე ფორმით, სასწავლო ან საწვრთნელი ჯგუფების სახით, მოახდენს სამხედრო ტექნიკის ან ძალის შეყვანას, მიიღებს ადეკვატურ ზომებს.

2008 წლამდეც გვაფრთხილებდნენ კრემლის რუპორები, თუ ძალით მოვინდომებდით ოკუპირებულ ტერიტორიებზე შეჭრას, დაბომბავდნენ თბილისს. 2008 წელს თბილისი დაიბომბა! მართალია, რუსთაველის გამზირი არა, მაგრამ დაიბომბა 31-ე ქარხნის ტერიტორია, კიდევ დავკარგეთ ტერიტორიები.

ასეთ სიტუაციაში საქართველოს ხელისუფლება დაუყოვნებლივ მოლაპარაკებებს უნდა მართავდეს რუსეთთან, რომ გავიგოთ, ამჯერად რას ნიშნავს „ადეკვატური პასუხი". ეს „ადეკვატური პასუხი" შეიძლება, მთელი საქართველოს ოკუპაცია იყოს. არც ეს არის გამორიცხული. ხვალ დილით რომ გავიღვიძებთ, მოსალოდნელია, საქართველოს მთავარ მაგისტრალზე იდგნენ რუსები, ან გორში, თბილისში, ან თუნდაც ბათუმში. ამას ხელს ვერ შეუშლის ვერავინ, თუ მაინცდამაინც, ატყდება შფოთი დასავლეთში და გამოგვიგზავნის წყალსა და პამპერსებს ამერიკა.

**— დასავლეთის და აშშ-ის პოლიტიკურ წრეებს საერთოდ არ ანაღვლებთ საქართველოს ბედი რუსეთის პირისპირ?**

— არეულობაა უკრაინაში, მიდის საუბრები იმაზე, რომ საბრძოლო მოქმედებები დაიწყოს დნესტრისპირეთსა და მთიან ყარაბაღში. დასავლეთი რუსეთის საზღვრებთან ცხელ წერტილებს ამზადებს.

2008 წლის ომიც ისე იყო განსაზღვრული, რომ მას ჰქონოდა ისეთი ფართო ხასიათი, როგორიც არის უკრაინაში.

ყოველივე ეს, ცხადია, ზიანს აყენებს რუსეთს, მაგრამ სარგებელი არ მოაქვს არც უკრაინისთვის, არც დნესტრისპირეთის და მთიანი ყარაბაღისთვის და მით უფრო, არც საქართველოსთვის.

როცა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე ვსაუბრობთ, გვავიწყდება, რომ რეალურია საფრთხე დავკარგოთ დარჩენილი ტერიტორიები და თვით სახელმწიფოებრიობაც კი.

2006 წელს ჯორჯ ბუშმა საქართველოში სტუმრობისას თქვა: მე გავავლე წითელი ხაზი და რუსეთი, ამიერიდან, ველარ გადმოლახავს საქართველოს ტერიტორიას. აღმოჩნდა, რომ ყველაფერი იყო ბლეფი.

რაც შეეხება ნატო-ს. ბოლო ერთი წლის განმავლობაში მსოფლიოს ოთხმა პრეზიდენტმა გააკეთა განცხადება ნატო-სა და საქართველოს მოსალოდნელ ურთიერთობასთან დაკავშირებით.

ბარაკ ობამამ განაცხადა: საქართველო და უკრაინა არც კი ადგანან ნატო-ს გზასო.

გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა თქვა, რომ საქართველო შორს არის მაპი-სგან.

საფრანგეთის პრეზიდენტის თქმით, საქართველო ჯერ ვერ შევა ნატო-ში. ჩეხეთის პრეზიდენტის განცხადება კი ასე ჟღერდა: საქართველო და უკრაინა ნატო-ში ვერ შევა, ხოლო სანქციები რუსეთის მიმართ გაუქმდებაო. სად მივდივართ ისეთ გაერთიანებაში, რომლის წამყვანი წევრებიც ჩვენზე უარს ამბობენ?!



**— თქვენ გვირჩევთ, რომ „ოკუპანტს" ველაპარაკოთ?**

— ოკუპანტი და პირდაპირი მტრები იყვნენ ოსმალები, სპარსელები, ათასი ჯურის დამპყრობელი, რომლებსაც ჩვენი მეფეები, ჩვენგან განსხვავებით, ელაპარაკებოდნენ.

თუ გვინდა ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, აუცილებელია რუსეთთან დიალოგის დაწყება!

აუცილებელია შეხვედრა ღარიბაშვილსა და პუტინს შორის.

**— ქართული მხარე რა არგუმენტზე დაყრდნობით არ ცდილობს რუსეთთან დიალოგს მაშინ, როცა აშშ-ის და რუსეთის პრეზიდენტებიც კი ხვდებიან და საუბრობენ?**

— გაიხსენეთ, დიდი ხანი არ არის, რაც რუსეთმა ე. წ. ჩარჩო-ხელშეკრულებები დადო აფხაზეთთან და ე. წ. სამხრეთ ოსეთთან ეკონომიკური და სამხედრო მხარდაჭერის თვალსაზრისით.

2013 წელს ორჯერ შესთავაზა პუტინმა საქართველოს პრეზიდენტს შეხვედრა. 2014 წლის ბოლოს პუტინმა ჟურნალისტებთან შეხვედრისას თქვა, რომ მზად იყო შეხვედროდა როგორც საქართველოს პრემიერს, ისე პრეზიდენტს.

მარგველაშვილმა მაშინ განაცხადა, სანამ ის არ გაივლიდა კონსულტაციებს აშშ-ის ადმინისტრაციასა და ევროპის დიპლომატიურ კორპუსთან, მანამდე ვერაფერს იტყოდა რუსეთის პრეზიდენტთან შეხვედრის თაობაზე.

ჩვენ ვიცით, რომ ის პლასტელინია, ბატონი ბიძინას „ხათრით" არჩეული, მაგრამ თვითონ იცის თუ არა, რომ პრეზიდენტია?! და აქვს თუ არა თავმოყვარეობა, ესეც არის საკითხავი. თუ დავფიქრდებით, ეს ნიშნავს, რომ საქართველოს ტერიტორია, აფხაზეთის და სამაჩაბლოს გარდა, ანექსირებულია აშშ-ისა და ევროპის რომელიღაც წრეების მიერ.

**— ალექსანდრ დიუგინმა ცოტა ხნის წინ თქვა: „როცა ჩვენი ჯარები ზუგდიდს „ასუფთავებდნენ", მათ ბევრ სოფელში ხალხი ყვავილებით და სიხარულით ხვდებოდნენ, რადგანაც მეგრელებმა იციან, რომ ისინი აღმოჩნდნენ პოტენციური გენოციდის წინაშე საქართველოს მხრიდან.**

**...ასეთივე მდგომარეობაა აჭარაში, ჯავახეთში, პანკისში...**

**...ძალიან მინდა, შეგვეძლოს ამ პრობლემური ერებისთვის (იგულისხმება აჭარლები, ჯავახელი მესხები, ქისტები, მეგრელები... — ი.კ.) ხელის მოხვევა და სხვებისთვის გადაცემა. ოღონდ ამერიკას არა. მაგალითად, ირანს ან თურქეთს, რომლებიც სწორ რეგიონულ პოლიტიკას ატარებენო".**

— ამ დიდ უბედურებაში არსებობს ერთი „მოთამაშე", ერთადერთი ძალა, რომელმაც გადამწყვეტი სიტყვა უნდა თქვას და დაამთავროს ეს უთავბოლო პოლიტიკური ხეტიალი. ეს არის ქართველი ხალხი. არადა, ხალხი ხმას არ იღებს. სინამდვილეში კი ყველაზე დიდი საფრთხე ემუქრება მას, თორემ ხელისუფალნი, ასეთ შემთხვევებში, რომ იტყვიან, მშრალად გამოდიან ხოლმე.

დემოგრაფიული თვალსაზრისით უმძიმეს მდგომარეობაში ვიმყოფებით. ბოლო 25 წლის განმავლობაში სხვადასხვა მიზეზით დავკარგეთ მილიონნახევარი ქართველი, პრეცედენტი ქართულ ისტორიაში არ არსებობს, მაგრამ უფრო სამწუხარო ის არის, რომ ჩვენ ქართული საზოგადოება დავკარგეთ. ის ხალხი, რომლებიც პასუხს გასცემდა მსგავს განცხადებებს.

მე მიმაჩნია, რომ საქართველომ, ქართველმა ხალხმა სამხედრო ნეიტრალიტეტი უნდა გამოაცხადოს.

**— განგვიმარტეთ, რატომ?!**

— რუსეთი ეწინააღმდეგება საქართველოს ტერიტორიაზე სხვა უცხო ქვეყნის საჯარისო შენაერთების არსებობას. ამ დროს ნატოს ბაზები, საწვრთნელი იქნება ის თუ სასწავლო, არავითარ გარანტიას არ იძლევა ჩვენი ტერიტორიების დეოკუპაცია მოხდეს, პირიქით, ეს არის საფრთხე სხვა ტერიტორიებისთვისაც.

ადვილი შესაძლებელია, უცებ მოვხვდეთ სხვა ქვეყნების საბრძოლო მოქმედებების არეალში, არ ვართ დაცული არაფრისგან. არც 2008 წლამდე ეგონა ვინმეს, რომ საკუთარი სახლებიდან დევნილებად იქცეოდნენ. არ ვიცით, რა იქნება





ხვალ, რადგან რეალურად რუსეთის წინააღმდეგ საომარ ინსტრუმენტად ვიქეცით. **ჩვენ ვგავართ ვეფხვებზე სანადიროდ გამოყვანილ ბურტერიერს, რომელიც ეცემა ვეფხვს, ვეფხვი ამ ძაღლს, რა თქმა უნდა, კლავს, მაგრამ მონადირე ამ ასობაში ვეფხვს ესვრის და ანადგურებს.**

ჩვენ ვართ სპეციალურად გამოყვანილი ბურტერიერის მდგომარეობაში, რომელიც თავიდანვე განწირულია სასიკვდილოდ უფრო დიდი მიზნისთვის, ამ შემთხვევაში რუსეთის დასასუსტებლად. 24 სექტემბერს 1 საათზე პრეზიდენტის რეზიდენციასთან ვაწყობთ აქციას საქართველოს ნეიტრალიტეტის მოთხოვნით.

საზოგადოება უნდა მიხვდეს, რომ ყველა ჩვენგანის სიცოცხლე და მშვიდობიანი ცხოვრება საფრთხეშია, არავინაა დაცული და არავინ იცის, რა მოელის საქართველოს ხვალ.

**ირანდა კალანდაძე**
593 561 118

# ბედისწერით ნაკარნახევი საქართველოს არჩევანი

*„საერთო გაზეთის“ სტუმარია კონცეფციის – „სამხრეთკავკასია – გეოპოლიტიკური სივრცე (რეგიონული თანამშრომლობის ახალი ფორმატი)“ ავტორი ბატონი **ზურაბ ხონელიძე:***

**— ბატონო ზურაბ, რამდენიმე დღის წინ საგარეო საქმეთა მინისტრად გიორგი კვირიკაშვილი დაინიშნა. მისი თქმით, მხოლოდ ერთი მიმართულებით – დასავლეთის გარდა, ევრაზიის კონტინენტის აღმოსავლეთში მიმდინარე ახალ პროცესებზეც უნდა გავამახვილოთ ყურადღება. ამ საკითხზე განსხვავებული მოსაზრებები გამოითქვა. თქვენ როგორ შეაფასებთ აღნიშნულს?**

— შეგახსენებთ გამონათქვამს: „ხანდახან ადამიანებს არ სურთ სიმართლის მოსმენა, რადგან არ სურთ ილუზიები დაემსხვრეთ“. იქნებ, იმიტომ, რომ ასე, უფრო კომფორტულად გრძნობენ თავს. ბატონი კვირიკაშვილის მოსაზრებაში დავინახე, რომ მან, პოლიტიკური დღისწესრიგის შეუცვლელად მთლიანობაში, ლოგიკურად წარმოიდგინა ჩვენი ქვეყნის წარსული, აწმყო და მომავალი. ამასთან, მსოფლიოში მიმდინარე პროცესების გადაკვეთაზე ჩამოყალიბებული ახალი პარადიგმა. მიდგომა ჩვენს ევროოპტიმიზმს ცალსახად ამართლებს. პოლიტიკურ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით ბუნებრივია ვიზიარებ ქვეყნის ორიენტირს – ევროინტეგრაციას, როგორც მოდერნულობის წყაროს, ცივილიზაციის განვითარების არეალს, პროგრესის, პოლიტიკური სოცო-ეკონომიკური ალტერნატივებისა და ადამიანის უფლებების მედროშეს. მაგრამ ფაქტია, რომ პოლიტიკური, რეგიონული და კულტურული გეოეკონომიკური იდენტიფიკაცია კვლავ პრობლემად რჩება. თუ ამ რეალობას უარვყოფთ, მაშინ ჩვენთვის ჭეშმარიტება არ იარსებებს. ისიც აშკარაა, რომ ფიზიკური გეოგრაფიის პოზიციიდან, პატარა ევროპა შეზრდილია გიგანტურ აზიასთან და ევრაზიის კონტინენტს ერთად ქმნიან თავისი ორი კონტინენტური ნაწილით ევროპითა და აზიით. უნდა დავინახოთ ეს მთლიანობა და ცხოვრებას ჰარმონიულად ასე ვაქცევთ, სხვაგვარად ყოველთვის გაუცხოებული დავრჩებით. განგებამ საქართველოს ევრაზიის კარიბჭის ადგილი მიუჩინა, იმ ევრაზიის კონტინენტისა, რომელიც ბატონმა გიორგიმ იგულისხმა და რომელიც მსოფლიოს გეო-პოლიტიკური ღერძია. სწორედ, ევრაზიის დამაკავშირებელი ხიდის, მისი გა-



## არ არსებობს თავისუფლება პასუხისმგებლობის გარეშე!

საღების ფუნქციამ საქართველოს ისტორიული ბედი ძირეულად განსაზღვრა. შეიძლება კითხვის ნიშნის ქვეშ დავაყენოთ ეს მოსაზრება, ჩვენი მუდმივი მოცემულობა – რა თქმა უნდა, არა. თვით დასავლეთისთვის საქართველო მისაღები და მიმზიდველია საერთო ფასეულობათა სისტემისა და ამ მდგომარეობისადმი გვაქვს კი უფლება უარვყოთ აღმოსავლეთი ჩვენი საერთო ისტორიული ფესვებიდან გამომდინარე? – რა თქმა უნდა, არა! მივესალმები საგარეო უწყების პირველი პირის პოზიციას, რომელიც ნაკარნახევია მაღალი კომპეტენციით, სტრატეგიული აზროვნებით, ობიექტური აუცილებლობით და რაც სისტემური ხედვის დამკვიდრებისა და ამ თვალსაზრისით, აზროვნების მოწესრიგების წარმატებული მცდელობაა.

**— ბატონო ზურაბ, თქვენ, საქართველოს უახლეს ისტორიაში გავითარებული მოვლენების არამხოლოდ ერთ-ერთი მონაწილე არამედ, ის გამონაკლისი დიპლომატი და მეცნიერ-პრაქტიკოსი ბრძანდებით, რომელიც ქვეყანას შექმნილი უმძიმესი მდგომარეობიდან გამოსავალს სთავაზობს. თქვენი პროექტი, რომელიც რეგიონალური თანამშრომლობის ახალ ფორმატს ეფუძნება, „ხონელიძის პროექტითაა“ ცნობილი, რომლის წარდგენასაც ამჯერად საქართველოს ერთ-ერთ გამორჩეულ რეგიონში სამეგრელო-ზემო სვანეთში გეგმავთ. როგორია თქვენი მოლოდინი?**

— დიახ, 80-იანი წლების მიწურულიდან დღემდე არაერთი ტრაგიკული პროცესის მონაწილე გავმხდარვარ, თანაც, არა როგორც უბრალო დამკვირვებელი, ნეიტრალურ პოზიციაზე მყოფი მეთვალყურე, არამედ ადამიანი რომელიც არსებული თუ მოსალოდნელი საფრთხეების შესახებ უმაღლეს ხელისუფალთ ყოველთვის ვაფრთხილებდი, შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალს და კონკრეტულ სამოქმედო გეგმას ვთავაზობდი, რომელიც სამწუხაროდ, წინა ხელისუფლებებმა ყურად არ იღეს. ამიტომ, ქვეყანაში ახლადჩამოყალიბებული შესაძლებლობებიდან გამომდინარე მიზანშეწონილად ჩავთვალე - ჩემი ნააზრევი სახელისუფლოდან საზოგადოების სამსჯავროზე უნდა გამომეტანა, საერთო განსჯის საგნად მექცია, რათა გამოსავლის ძიებაში ხელისუფლებაც და საზოგადოებაც უფრო აქტიურად იყოს ჩართული. ამ მიზნის რეალიზაციას ემსახურებოდა დღემდე გამართული ყველა შეხვედრა დაწყებული საქართველოს ეროვნულ მეცნიერებათა აკადემიიდან, უმაღლესი სასწავლებლების, ბათუმის და ჩემი მშობლიური ქალაქ ფოთის ჩათვლით. ამჯერად, პროექტს სამეგრელოს გულში, ქალაქ ზუგდიდში წარვადგენ. რატომ ზუგდიდში? – არამგონია აქ, რაიმე კითხვის ნიშნები არსებობდეს, მითუმეტეს, მათთვის ვისაც ერთიანი ქართული სახელმწიფოს ფორმირების პროცესში სამეგრელოს ისტორიული როლი, მნიშვნელობა და ფუნქცია ესმის.

**— ბატონო ზურაბ, გავიხსენოთ, როგორ დავიწყეთ სახელმწიფოებრიობის აღდგენა, მას შემდეგ რაც საბჭოთა იმპერიიდან გამოვედით, კანონის მიზანმიმართული უგულველყოფით ხომ? განდევნეს კანონიერი ხელისუფლება, რითაც წონასწორობა დავარღვიეთ და დღემდე ამ გზით მივდივართ. დარღვეული წონასწორობის საფუძველზე კი სახელმწიფოს შენება დავიწყეთ, შედეგად უკარო, უსაზღვრო, უფანჯრო სივრცეში აღმოვჩნდით. სად იმალება პრობლემის გასაღები, რატომ ვერ ვითარდება ქართული სახელმწიფო?**

— შეგახსენებთ, საბჭოთა რეჟიმის 25 წლიანი უსისტემო დემონტაჟის შედეგებს: მეტიც, ქვეყანამ შიდა და გარე დესტრუქციული ძალების ქმედებით ნგრევა განიცადა, საზოგადოებამ – დეგრადაცია, ტრადიციულმა ღირებულებებმა – დევალვაცია, დაიკარგა სახელმწიფო ტერიტორიის საუკეთესო 1/5, დაახლოებით, 1/10 საკუთარი მიწა-წყლიდან განდევნილი და სამშობლოში იძულებით გადაადგილებულ პირად, დევნილად იქცა. საერთო მოსახლეობის 1/3-მა ქვეყანა დატოვა, ხოლო დარჩენილის 2/3 სიღარიბის ზღვარს მიღმაა, ყოველი მეორე ადამიანი უმუშევარია. საზოგადოებაც დაბნეულია. ფაქტობრივად, გარდამავალი, ანუ დეპრესიული პერიოდი გაგვიხანგრძლივდა. მეტიც, ახალი ქართული სახელმწიფო ვერ შედგა. აი, ასეთი მძიმე მემკვიდრეობა ერგო დღევანდელ ხელისუფლებას.




**— შექმნილი მდგომარეობიდან რა საშველს ხედავთ? რა სადაა საშველი?**

— პასუხის გაცემის მცდელობა იმით უნდა დავიწყოთ, თუ ვინ რას გულისხმობს საშველის დადგომაში. ქვეყნისთვის და ქართველი კაცისთვის საშველი სხვა რამეს ნიშნავს, პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების დიდი ნაწილისათვის კი სხვას. მაგრამ სად არის ამ გლობალურ სამყაროში თავად ქვეყნის ადგილი – ვერც ერთი ვერ დაკმაყოფლდა. არ არსებობს უპასუხო კითხვა, ოღონდ, გააჩნია ვინ უპასუხებს ამ კითხვას. მოგახსენებთ ჩემს მოსაზრებებს: პოსტ-საბჭოთა ტრანსფორმაციის ზღურბლზე, საქართველოს ვერცერთმა ხელისუფალმა ქვეყანას თავისი ბუნებრივ-ისტორიული ფუნქციის შესაფერისი ადგილი ვერ მოუპოვა და ვერც დროის მოთხოვნის ადეკვატური ნაბიჯი გადადგა. ასევე, ვერ შეძლო საქართველოს მომავალ ბედში უმთავრესი შიდა ფაქტორის – საზოგადოების რეალური (არა მოჩვენებითი) ჩართულობის უზრუნველყოფა, ტრადიციული გარე ფაქტორების, თანდაყოლილი კონფრონტაციული ძალებისა და მათი ინტერესების იდენტიფიცირება; თანამედროვე ეტაპზე ორი გეო-პოლიტიკური ცენტრის, ამერიკის შეერთეული შტატებისა და რუსეთის ფედერაციის როლისა და ინტერესების მოკლე თუ გრძელვადიან პერსპექტივაში გათვალისწინების აუცილებლობა; ვერ გაითავისა, რომ საქართველოს ტერიტორია, დომინანტი ძალების ინტერესების წინააღმდეგობრივი ხასიათიდან გამომდინარე, ინტერესთა თანხვედრისათვის არასაკმარისი სივრცეა, მით უფრო, მათი ქართულ სახელმწიფო ინტერესებთან შესაბამისობაში მოსაყვანად. როცა ქვეყანაზე ვსაუბრობთ, უნდა ვიცოდეთ ადამიანების მსგავსად, მასაც თავისი ბედი აქვს. ქვეყნის ბედი გეო-პოლიტიკაში მდგომარეობს, ესაა დრო და სივრცე. რატომ არის საქართველოსადმი ინტერესი? – სწორედ, გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური თვალსაზრისის გამო. საქართველო გზაჯვარედინს წარმოადგენს, რომელიც ერთმანეთთან ცენტრალურ აზიას, ახლო აღმოსავლეთს, წინა აზიას და ევროპას აკავშირებს. აქ, დიდი აბრეშუმის გზა გადის, რომელიც ჩინეთიდან შუა აზიისა და რუსეთის გავლით ევროპას უკავშირდებოდა. დროთა განმავლობაში ამ გზის ფუნქცია კიდევ უფრო გაიზარდა იმის გათვალისწინებით, რომ ბუნებრივი რესურსების კონტროლის, საერთაშორისო ბაზრების ფლობისა და სივრცობრივი ექსპანსიის გამო ბრძოლა გამძაფრდა. აქვე, აღსანიშნავია, რომ საქართველო, კულტურათა დიალოგის მისაბაძ პარადიგმას წარმოადგენს, სადაც ერთმანეთის გვერდით მშვიდობიანად თანა-

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

არსებობენ განსხვავებული მენტალობისა და კონფესიების ხალხები. ტოლერანტობისა და სრულშემწყნარებლობის თვალსაზრისით, ჩვენი მრავალსაუკუნოვანი გამოცდილება თანამედროვე მსოფლიოსათვის უდავოდ გასაზიარებელია. საქართველო, მთლიანად სამხრეთ-კავკასია წინა აზიაში, მუდამ, ევროპის უკიდურეს ფორპოსტს წარმოადგენდა, საიდანაც იგი ცენტრალურ აზიასა და აღმოსავლეთს უკავშირდებოდა. ამ ავანპოსტის სათანადო შეუფასებლობა და შესუსტება ბიზანტიის იმპერიისთვის საბედისწერო აღმოჩნდა. აღმოსავლეთის მიმართულებით, ევროპული და საერთოდ, დასავლური ღირებულებების ადაპტირება და დანერგვა ისტორიულად სწორედ, აქედან იწყებოდა. ეს პროცესი დღესაც ამ მიმართულებით უნდა განხორციელდეს. ჩვენი რეგიონი კატალიზატორია, რომელიც ყველაზე უკეთ აჩვენებს დასავლეთისა და აღმოსავლეთის, ჩრდილოეთისა და სამხრეთის აქსიოლოგიური, კულტუროლოგიური, პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო, რელიგიური ცივილიზაციათა შორის და ა.შ თანამშრომლობისა და კოორდინაციის დინამიკის აუცილებლობას.

**— ზემოთ ახსენეთ, შემდგარ სახელმწიფოდ ვერ ჩამოვყალიბდითო, მაგრამ რა მიზეზები აქვს ამას და როგორ ვაშენოთ ქართული სახელმწიფო?**

— ამაში ბრალს საზოგადოებას დებენ-ხოლმე, რაც სწორად არ მიმაჩნია. რა თქმა უნდა, საზოგადოებასთან სერიოზული სამუშაოა, როგორც თავისი ქვეყნის ბედის თანაზიართან. მთავარი ბრალი ელიტას მიუძღვის, რომლის ძირითადი ნაწილი ყალბია, ან, გაუთვითცნობიერებული. მხოლოდ პოლიტიკურ ელიტას როდი ვგულისხმობ, არამედ ყველას ერთად — პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ, მედია, სამხედრო, და სხვა ელიტებს. სამწუხაროდ, ქართულ ხელისუფლებას, საზოგადოებას, ე.წ. პოლიტიკურ ელიტას ჩვენს დედა ეკლესიასთან ერთად იმ არსებით საკითხზე დღემდე უმსჯელია, თუ როგორ სახელმწიფოს ვაშენებთ, ვინ ვართ, სად ვართ და რა არის ჩვენი მიზანი. იმის დაჯერება რომ ჩვენი ერი, ქვეყანა უნიკალური და რჩეულია, ადვილია და ამისათვის ხელის განძრევაც არაა საჭირო, მაგრამ ნამდვილი უნიკალურობაა ძნელი. ზოგადად, ყველა რელიგიის მოთხოვნაა საკუთარი თავის შეცნობა. ჩვენ რას ვაკეთებთ? განვამტკიცებთ საკუთარი თავის არცოდნას. სიტყვა რომ არ გავაგრძელდეს ცხადია, ყველაფერი მიზნიდან იწყება. ქვეყნის მიზანი რეალურად, დღემდე დეკლარირებული არა გვაქვს, მეტიც, აღრეულია მიზანი და საშუალება, საზრიანო ველიდან გამოვაძევეთ მიზანი და მისი ადგილი დაიკავა საშუალებამ. ქვყნის მიზანი დავიყვანეთ პირად მიზნამდე, საშუალება კი, პირად სარგებლამდე. ამ შემთხვევაში არც მიზანი მუშაობს და არც საშუალება, ვგულისხმობ — ქვეყნისთვის. ასე რთულია მიზნის განსაზღვრა? — არა! ესაა ქართული, მარადიული მიზანი, რომელიც ზედაპირზეა. ესაა — ყველაზე დიდი მონაპოვარი — თავისუფლება, ქართული ღირებულებების, ქვეყნის ერთიანობის, მთლიანობისა და გარანტირებული უსაფრთხო მომავალის უზრუნველყოფა. გვესმის კი რას ნიშნავს თავისუფლება? — ვფიქრობ ბოლომდე არა. აბსოლუტური არაფერი არ არსებობს, მათ შორის, არც თავისუფლება. ყველაფერი ინდივიდის თავისუფლებით იწყება. ადამიანის ყველაზე ღირებული მოთხოვნილება სწორედ თავისუფლებაა. რატომ გვაქვს თავისუფლების შიში, რაც ტვირთად გვექცა და ამ ცნებასთან გარკვეული გაუცხოებაც გაგვიჩნდა. ამ კითხვაზე ბევრი დაფიქრებულა და სიმშვიდე დაუკარგავს. რეალურად, საქართველოს თავისუფლების ხარისხი, მოგვწონს თუ არა, პირდაპირპროპორციულია რეგიონით დაინტერესებული მსოფლიო დომინანტი ძალების, გეო-პოლიტიკური ცენტრების ურთიერთობის ხარისხის. რაც შეეხება, ზოგადად თავისუფლების ხარისხს, ბუნებრივია იგი, ინდივიდის თავისუფლებით იწყება, ზუსტად იმდენადაა საზოგადოება თავისუფალი, რამდენადაც პასუხისმგებელია თავისივე გადაწყვეტილებით დამდგარ შედეგზე.

თუ ვთანხმდებით და არ ვცვლით მიზანს, მაშიმ მას უნდა მოვერგოთ და უნდა დავიწყოთ მისი რეალიზაციის გზის — საშუალების მოძიება. როგორ ვიპოვოთ იგი? ამისთვის არსებობს მეცნიერული კვლევის მართვის, პოლიტიკური მენეჯმენტის მეთოდი, ე.წ. ,,სვოთ'' ანალიზი, აბრევიატურა: — ძლიერი მხარეების, სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და საფრთხეების განსაზღვრა დადგინდა. ასევე, გამოვიყენოთ პესტელი — პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, ბუნებაზე ზეგავლენა, ორგანიზაციული



და სამართლებრივი ფორმები და ა.შ. თვით ამ კვლევის შედეგი მოგვცემს საშუალებას, ჩვენი მიზნის რეალიზაციისა. მაგრამ ეს ყველაფერი დროს უნდა მიებას. ჩვენ, არ გვესმის რას ნიშნავს დრო და არ ვიცით მას რამდენი განზომილება აქვს. სამწუხაროდ, დროს, ღვთისაგან ბოძებულ ამ უძვირფასეს საჩუქარს, ვერ ვიყენებთ. დრო არ მოდის, დრო მიდის. თუ მას არ მოვერგებით, განწირული ვიქნებით წარუმატებლობისთვის. ამდენად, აუცილებელია საქართველომ იპოვოს საკუთარი მრავალსაუკუნოვანი ისტორიისა და დღევანდელობის შესაფერისი ადექვატური ადგილი, რაც მას საერთაშორისო ფუნქციას შესძენს. თუ ქართული ეროვნული სახელმწიფოს ძირითად მიზანში ვთანხმდებით, აუცილებელია სისტემური ანალიზის შედეგად ჩამოვაყალიბოთ მისი მიღწევის — მსოფლმხედველობრივი და გარემოპირობების შესაბამისი ერთიანი კონცეფცია, მასზე დაფუძნებული ეროვნული იდეოლოგია. სწორედ, ამ სიახლეს გთავაზობს პროექტი ,,სამხრეთ-კავკასია — ერთიანი გეო-პოლიტიკური სივრცე''.



**— გამოდის მიზნამდე მისასვლელი გზაც არასწორად გვქონია შერჩეული, ქვეყანას არც კონცეფცია გააჩნია და ამიტომაც ბოლო 25 წელია ერთიდაიგივე წრეზე ვტრიალებთ. აარ შემიძლია არ დაგეთანხმოთ, მაგრამ როგორ უნდა მოვიქცეთ?**

— ნუ დავივიწყებთ, რომ საკუთარ ბედზე ჩვენვე ვართ პასუხისმგებელი. დროა განვთავისუფლდეთ ,,მამა-მარჩენალის'' ძველი დამღუპველი სტერეოტიპის გავლენისგან, როცა ქვეყნის შიგნით - ერთ კაცს და ქვეყნის გარეთ ერთ სახელმწიფოს ვუკავშირებდით ჩვენს გადარჩენას. შევცვალოთ ის, რისი შეცვლაც შესაძლებელი არის და აუცილებელი, უპირველესად ვგულისხმობ მოცემულობას ქვეყნის შიგნით და მის გარეთ. შიგნით — პოლიტიკური ელიტის იმ ნაწილს, რომელიც ყალბია. მოვახდნოთ მათი ლუსტრაცია, ჩანაცვლება ეროვნული და სისტემური ხედვის მქონე იმ ჯანსაღი ძალებით, რომლებიც ლოკალური მოქმედებისა და ზოგადად, ეფექტიანობის პრინციპის რეალიზაციის უნარით ხასიათდებიან. გარეთ — სამოქმედო არეალის გაფართოებას და სახელმწიფო პოლიტიკის რეგიონულ კონტექსტში გადატანას. ამასთან უნდა გავიგოთ, რომ სამყაროს ერთადერთი ფაქტორი მართავს, ესაა ინტერესი, როგორც კატეგორია. სწორედ იგი განსაზღვრავს თანაარსებობის ვექტორსა და თამაშის წესებს. სადღეისოდ, გლობალური პოლიტიკის ძირითადი აქტორები დაუფარავად გამოხატავენ მიმდინარე საერთაშორისო პოლიტიკისა და ურთიერთობების ძირითად ინტერესს, მოტივს — გლობალური რესურსებზე კონტროლსა და საერთაშორისო ბაზრებზე დომინანტი მდგომარეობის მოპოვებას. ამ მხრივ, სულ უფრო დიდ ინტერესს იძენს საქართველო და აქედან გამომდინარე, სამხრეთ-კავკასიური სივრცე. აღნიშნულის მიღწვა შესაძლებლია ერთიანი სისტემის ფორმირების შემთხვევაში, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ. ეეს დიდი თემაა და ცალკე მსჯელობის საგანია.

**— თქვენ ამბობთ, რომ ქართული სივრცე ამ ინტერესებისთვის საკმარისი ტერიტორია არაა და აქცენტს სამხრეთ-კავკასიასა და მის მნიშვნელობაზე აკეთებთ. მაშინ სად, რა გზით და რა საშუალებებითაა შესაძლებელი საერთო ინტერესების თანხვედრა? ამაში საქართველოსთვის საერთაშორისო ფუნქციის შეძენის აუცილებლობა იგულისხმეთ?**

— გეთანხმებით. საქართველოსათვის, დღემდე გარედან ხელოვნურად თავსმოხვეული ფუნქციის მატარებელი ქვეყნისთვის დამატებითი საერთაშორისო ფუნქციის შეძენას, შეუძლებლად ნუ წარმოვიდგენთ. მისი მიღწევის ერთადერთი გზა არსებობს, რომელიც რეგიონზე გადის. ანუ, საქართველოს რეგიონული ფუნქცია გულისხმობს საერთაშორისო ძალების თანამონაწილეობით (მათი საერთო ინტერესების გათვალისწინებიდან გამომდინარე) სამხრეთ-კავკასიის ერთიანი სივრცის ფორმირებას და ამ სივრცის ჩამოყალიბებაში საქართველოს საჭიროებას. რამდენად მისაღებია ეს საქართველოსთვის? — რა თქმა უნდა, მისაღებია იმიტომ, რომ ეს იმავდროულად, ჩვენი ქვეყნისთვის, საერთაშორისო ფუნქციად იქცევა. თანამედროვე სამყაროში შეუძლებელია ქვეყანამ მით უფრო, იმ გეო-პოლიტიკურ გარემოში, როგორიც საქართველოა, დამოუკიდებლად, თვითიზოლაციით, ეფექტურად აკონტროლოს ყველა შიდა და გარე საფრთხეები. აღნიშნული ფუნქციის შეძენის გზად გვესახება საქართველომ საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში ინტეგრირებით, საკუთარი საარსებო სივრცის (და არა ტერიტორიის) გაფართოების, სხვა ერებთან მშვიდობიანი თანაარსებობის, გლობალურ პოლიტიკაში ძირითადი რეგულატორის — დამატებითი ინტერესისა და მსოფლიოს მომწესრიგებელ ძალთა წონასწორობის დაცვის გზით. ასეთ რეგიონულ სივრცედ ვგულისხმობთ სწორედ სამხრეთ-კავკასიას, სადაც მაორგანიზებელი ცენტრის პრიორიტეტული მნიშვნელობა ოდითგანვე საქართველოს ენიჭებოდა. გამოვრიცხავ ყოველგვარ კავშირს, მით უფრო ფედერაციას ან კონფედერაციას. ვსაუბრობთ მხოლოდ იმ შესაძლებლობების გამოყენებაზე, რომელსაც ერთიანი უსაფრთხო სივრცე იძლევა თავისი მარადცოცხალი და უნიკალური თავისებურებებით.

**— რამდენად რეალურად მიგაჩნიათ მისი რეალიზაცია?**

— ჩვენი ხედვის თეორიულ-მეთოდოლოგიური პოსტულატია გლობალური, რეგიონული და ნაციონალური ინტერესების ,,ბედნიერი მორიგების სივრცე — არენა''. ეს არაა თამამი ოპტიმიზმი, იგი რეალობაა, რომელსაც აქვს ისტორიული, ჯერ კიდევ სიცოცხლისუნარიანი ფესვები და სამყაროს თანამედროვე ტენდენციების განვითარების ლოგიკას, დომინანტ ძალთა დაბალანსებული ინტერესების, რეგიონის ქვეყნების — აზერბაიჯანის და სომხეთის, უპირველესად კი, საქართველოს ისტორიულად ჩამოყალიბებული როლის გათანამედროვების აუცილებლობის გაგებას ეფუძნება. როგორ მოვერგოთ დროს და არ აღმოვჩნდეთ გლობალიზაციასთან, როგორც ობიექტურ პროცესთან წინააღმდეგობაში? თავად დრო გვკარნახობს — მსოფლიო ცივილიზაცია გლობალიზაციიდან რეგიონალიზაციისაკენ მიისწრაფვის. ჩემი აზრით ყველაზე სასურველი მოდელი სამხრეთ-კავკასიაა.

**თამარ შველიძე**
**555 23 28 24**
**(გაგძელება იქნება)**

*რამდენიმე დღის წინ რედაქციაში გვესტუმრა ჩვენი გაზეთის ერთ-ერთი პატივსაცემი და გამორჩეული ავტორი, პროფესორი, ქალბატონი **დენიზა სუმბაძე**. მან ჩვეული მძაფრი ემოციით მოგვითხრო კიდევ ერთი სავალალო ფაქტის შესახებ. რა ხდება? ამას ინტერვიუს წაკითხვისას შეიტყობთ.*



# ვინ არის იციკ შავითი და რატომ უნდა აშენდეს „ახალი გეთსამანია“ და „ახალი იერუსალიმი“ მცხეთაში?

**ს.გ. — რამ შეგაშფოთათ, ქალბატონო დენიზა, კონკრეტულად რა საკითხთან გვაქვს საქმე?**

— ჩემი აზრით, ჩვენი საზოგადოება და განსაკუთრებით „საერთო გაზეთის“ მკითხველი დაინტერესდება იმ პრობლემით, რომელიც საქართველოს წინაშე აღმართულია, როგორც ერთ-ერთი სერიოზული და მნიშვნელოვანი საფრთხე.

საქმე ეხება ორი პროექტის არსებობას და მის მიზანდასახულობას, რომლებიც უნდა განხორციელდეს ქალაქ მცხეთაში.

პროექტების სახელწოდებაა: „მცხეთა-იერუსალიმი“ და „გეთსამანიის ბაღი“.

ისინი საჯაროა და განთავსებულია შესაბამის ვებ-გვერდებზე. მათ შორის, საქართველო-ისრაელის ბიზნესპალატის ოფიციალურ საიტზე.

ყველაფერი დეტალურადაა მოცემული. ამ პროექტის მიხედვით გასაშენებელი ქალაქის არქიტექტონიკა და ა.შ. რაც, სხვათა შორის, ქართული არქიტექტურისთვის საკმაოდ უცხოა.

**ს.გ. — ვინ არის ამ პროექტების ავტორი და როდის არის ის გასაჯაროებული?**

— როგორც აღმოჩნდა, ესენი საკმაო ხნის უკან დაგეგმილი პროექტებია და გამოვლენილია, პრაქტიკულად, ბოლო 2-3 წლის განმავლობაში.

მოგეხსენებათ, ქალაქი მცხეთა,. უკვე მერამდენე წელია აღიარებულია მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ერთ-ერთ ბრწყინვალე ნიმუშად, როგორც ქალაქი-მუზეუმი. მასზე მფარველობა და პასუხისმგებლობა აღებული აქვს გაერო-ს „იუნესკოს“ ორგანიზაციას.

საინტერესოა, რომ ბოლო სამი წლის განმავლობაში, როდესაც შეფერხდა უცხოელებზე ქართული მიწის გაყიდვა, სწორედ მაშინ ხდება მცხეთაში — ქალაქ-მუზეუმში 900 კვ.მ მიწების ნაკვეთის გასხვისება ისრაელის მოქალაქეზე.

**ს.გ. — კულტურის მინისტრმა თქვა: სწორედ „იუნესკოს“ მოთხოვნებიდან გამომდინარე, მცხეთაში აიკრძალება ყველა სახის მშენებლობებიო. გახსოვთ ეს განცხადება?**

— დიახ, შესანიშნავი რამ თქვა ბატონმა მინისტრმა და მივესალმები ამ ღონისძიებას. მადლობა მინისტრს ამისთვის, მაგრამ პრობლემა, რაზეც მე ვსაუბრობ, წინ უსწრებდა ბატონი მინისტრის ამ განცხადებას.

ვინ გადააბიჯა „იუნესკოს“ და ვინ მისცა მსვლელობა პროექტს, რომლის მიხედვითაც 9500 კვ.მ ფართზე, სვეტიცხოვლის ტაძრიდან 1400 მ-ის დაშორებით უნდა აშენდეს წარმოსახვითი ქალაქი იერუსალიმი თავისი რეზიდენციით, ბიზნეს-ცენტრით, სამშენებლო-საბინაო კომპლექსებით, კაფეებით, ბარებით, მაღაზიებით და დასასვენებელი ვილებით?!

**ს. გ. — ანუ კულტურის მინისტრის განცხადების საფუძველზე მოსალოდნელია ამ პროექტის განხორციელების შეფერხება?**

— საქმე ისაა, რომ ჩვენ ვიმყოფებით მყარი ფაქტის წინაშე. როდესაც „იუნესკო“ მცხეთაში მიმდინარე სხვა პროექტების მიმართ გამოთქვამდა პროტესტს, საქართველოს ხელისუფლება თავს უფლებას აძლევდა არ დამორჩილებოდა „იუნესკოს“ გაფრთხილებებს.

**ს.გ. — მცხეთა დღეს „იუნესკოს“ მფარველობის ქვეშ ხომ არის?**

— წინა ხელისუფლების თვითნებობის გამო „იუნესკომ“ მცხეთა საფრთხეში მყოფ ობიექტთა ნუსხაში შეიტანა.

2016 წელს სტამბულში სამიტი იქნება, სადაც მოსალოდნელია „იუნესკო“ დაინტერესდეს თავისი დაცვის ქვეშ მცხეთის კვლავ შეყვანით.

კულტურის მინისტრის განცხადებით მოხარულებმა „იუნესკოს“ მივმართეთ შეკითხვით: როგორ და რატომ ხდება, რომ „იუნესკოს“ არ აქვს უფლებამოსილება აკრძალოს მცხეთაში ახალი მშენებლობები და ხომ არ გადაფარა საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების ახალმა ნაბიჯებმა „იუნესკოს“ უფლებამოსილებანი?

მივიღეთ პასუხი, სადაც მიგვითითებდნენ კულტურის სამინისტროსკენ — უფრო დაწვრილებით ისინი მოგახსენებენო.

აღმოჩნდა, რომ კულტურის სამინისტრო ამ პროექტების საქმის კურსში საერთოდ არ იყო და გადამამისამართეს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოში. იქ ბატონმა **ნიკოლოზ ანთიძემ** მითხრა: მშენებლობებს, რომლებიც უკვე დაწყებულია, მორატორიუმი არ შეეხებაო...

რომელიც იყო ებრაელის საფლავიო. გამოდის, ის იმდენად პატრიოტია, რომ მცხეთაში ერთი ებრაელის საფლავზეც კი სურს, რომ ახალი იერუსალიმი ააშენოს.

მას ნამდვილად აქვს უფლება, ნებისმიერი ფორმით პატივი მიაგოს თავის წინაპარს, მაგრამ ჩვენ, ქართველებს, რომლებსაც იერუსალიმში 40-მდე ეკლესია გვქონდა, ხოლო ჯვრის მონასტერი, რომელიც ქუხდა ქართული სულიერების ისტორიაში და დიდი სჯულის კანონის მიხედვით, უფლება არ გვაქვს იქ წირვა-ლოცვა შევაწყვეტინოთ, არათუ წირვა-ლოცვის დროს გვიშვებენ, არამედ რუსთაველის უნიკალური ფრესკა წაგვიშალეს.

ნული ღირსების შეგრძნება. **რუსთაველის** და **თამარის** საფლავები გვაქვს იქ და უნდა იცოდეს ყველამ, რომ ჩვენ ვერ მოვწყდებით იქაურობას. იერუსალიმი ჩვენი ისტორიის სულიერების ნაწილია მაშინ, როცა ჩვენ არაფრის უფლებას არ გვაძლევენ! და როცა მე აღვშფოთდი იმ 1 ჰათი, აღმოჩნდა, რომ მცხეთაში 49 ჰა იყო გადაცემული ებრაელი ინვესტორებისთვის...

**ს. გ. — რაც შეეხება „გეთსამანიას“?!**

— დიახ, იერუსალიმის გეთსამანიის ბაღის ანალოგიური ბაღის გახსნა უნდა მოხდეს უახლოეს ხანებში.



მცხეთა

ამასობაში მცხეთიდანაც დამიკავშირდნენ ოფიციალური პირები და დამიდასტურეს, რომ პროექტ „მცხეთა-იერუსალიმის“ პარალელურად ასევე გრანდიოზული პროექტი „გეთსამანიის ბაღი“ კეთდება მცხეთაში. ბაღს ეთმობა 49 ჰა მიწა, ანუ, როგორც ჩანს, საუბარია მცხეთიდან ჯვრის მონასტრამდე ტერიტორიაზე.

ამ ორ მშენებლობას შორის ორიოდე კილომეტრია, რომელზეც რამდენიმე დახურვის პირას მისული რესტორანია, რასაც, სავარაუდოდ, იყიდის იციკ შავითი, კაცი, რომელმაც „მცხეთა-იერუსალიმი“ უნდა ააშენოს 9500 კვ. მ-ზე.

**ს.გ. — ეს მიწა იციკ შავითისაა უკვე?**

— დიახ, მისია. მაგრამ საინტერესო ისაა, როგორ შეიძინა მან ეს მიწა, როცა აკრძალული იყო უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე მიწის მიყიდვა.

**იციკ შავითი** ამ პროექტების ინვესტორია.

მან პრეზენტაციაზე, სხვათა შორის, ძალიან საინტერესო რამ განაცხადა. კერძოდ, მან თქვა: პროექტის განხორციელებისთვის დიდი იმპულსი 2900 წლის წინ მცხეთაში აღმოჩენილმა არამეულწარწერიანმა საფლავმა მომცა,

კიდევ კარგი, ევროპული ინფორმაციით, თამარ მეფის საფლავი იერუსალიმშია, თორემ ამის დატკიცებასაც ვერ მოვახერხებდით.

თუკი იციკ შავითს უფლება აქვს 49 ჰა მიწა შეისყიდოს მცხეთაში 26-საუკუნოვანი მეგობრობის ეგიდით, მაშინ გამოდის, რომ ის სპეკულირებს ამ მეგობრობით.

დღეს სადაც ისრაელის ქნესეთის ტერიტორიაა, ისიც ქართულია და ეკუთვნის ჯვრის მონასტერს, იქ ააშენოს ახალი იერუსალიმი, მოგვეცეს ქართველებს ჯვრის მონასტერში ჩასვლის შესაძლებლობა, ლოცვის შესაძლებლობა, თუნდაც ერთობლივი სამეცნიერო კონფერენციების ჩატარების უფლება და ა. შ. ჩვენს არეოპაგიტურ ცენტრს, რომელიც პეტრე იბერის მოღვაწეობას სწავლობს, როგორ შეიძლება იქ ერთი კაბინეტიც კი არ ჰქონდეს?!

იციკ შავითს ეროვნული სულისკვეთება აძლევს იმის საშუალებას, რომ მცხეთაში ახალი ქალაქი ააშენოს და გაურკვეველი გზებით შეისყიდოს 1 ჰა მიწა. ამ ფონზე ჩვენ, ქართველი ხალხი, მეცნიერები, ღვთისმსახურნი, გამოვიყურებით შეურაცხყოფილად. გამოდის, ჩვენ არ გვქონია ეროვ-

მე მაკვირვებს, როგორ უნდა მოხდეს იმ ბაღის ანალოგიის მოწყობა?!

ჯერ ერთი, თვით ეს ბაღი უაღრესად მძიმე სანახავია. ინტერნეტში იხილავთ 2000-წლოვან ზეთისხილის ხეებს, თავისებურ ლანდშაფტს. როგორ უნდა გაკეთდეს ანალოგია. ეს დაუშვებელია!

**ს. გ. — გეოგრაფიული ადგილების კოპირება გვსურს თუ სულიერი ამაღლება იერუსალიმამდე? თუ მცხეთაში ე. წ. ახალი იერუსალიმი გაშენდება, ეს მიგვაახლოებს იერუსალიმის საკრალურ სულიერ დანიშნულებამდე?**

— რასაკვირველია, „ახალი იერუსალიმი“ ძველი იერუსალიმის ისტორიულ-გეოგრაფიული ანალოგი იქნება.

**დავით აღმაშენებელიც** ახსენებდა ახალ ათენს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ საქართველოში ახალი არეოპაგი აგვეგო.

აღმაშენებელი ვახსენე და არ შემიძლია, კიდევ ერთხელ არ აღვნიშნო, რომ ჩვენი დიდებული მეფე უდიდესი სიბრძნით დატვირთული ადამიანი გახლდათ. მან თქვა თავის „გალობანი სინანულისანიში“, რომ მიბაძვა საძრახისი

14 gv.

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# თბილისში უცხოელი ინვესტორების „გატყავების“ კარგად შემუშავებული სქემა მოქმედებს

**დანაშაულებრივი ჯგუფის მიერ მიერ უცხოელი ინვესტორების „გატყავების“ სქემა ერთი შეხედვით, ფანტასტიური ფილმის სიუჟეტს მოგვაგონებს: არარსებული ადამიანები არარსებული მინდობილობებით ახერხებენ სახელმწიფო ინსტიტუტების გაბრიყვებას და მილიონებად შეფასებული ქონების ხელში ჩაგდებას. ვინ არიან უცხოელებზე მონადირე „ფანტომასები“ და რატომ არ ხერხდება მათი დანაშაულებრივი საქმიანობის შეჩერება? „ზურაბ ვანიშვილის საადვოკატო კომპანიის“ დირექტორი ზურაბ ვანიშვილი გვიამბობს:**

– საქართველოში ამჟამად შექმნილია საგანგაშო და სამარცხვინო სიტუაცია. ფაქტობრივად, სახელმწიფო ინსტიტუტები თავზე გვენგრევა და პრობლემას თუ ვერ გავუმკლავდით, მსოფლიოში თავის მოჭრა გარანტირებული გვაქვს. ყველაფერი 2004 წელს დაიწყო, როცა გამოძიებით დადგენილმა და დაუდგენელმა პირებმა ყალბი მინდობილობით, კანადის მოქალაქის ჰუსეინ ალის ქონების თაღლითური გზით დაუფლება გადაწყვიტეს. ამ დროს ჰუსეინ ალი 8 762 277 აშშ დოლარის საწესდებო კაპიტალის მქონე შპს „საქართველოს თამბაქოს წარმოების“ 90%-იანი წილის მფლობელი იყო. სავარაუდოდ, გაყალბებული დოკუმენტებით შეიარაღებულმა პირებმა თბილისის საქალაქო სასამართლოში შეიტანეს სარჩელი ჰუსეინ ალისთვის რამდენიმე მილიონი დოლარის გადახდის დაკისრების მოთხოვნით და მიზანს მიაღწიეს—ჰუსეინ ალის 90%-იანი წილი მოსარჩელეს გადაეცა. მოსარჩელემ ეს ქონება ვიღაცას გადასცა, იმ ვიღაცამ კიდევ ვიღაცას და როცა კანადელმა ინვესტორმა წართმეული ქონების უკან დაბრუნება მოინდომა, საქმე ყველა ინსტანციაში წააგო. ბევრი იყვირა იმდროინდელმა სახალხო დამცველმა სოზარ სუბარმა, რომ ამ ფაქტით ზიანი მიადგა სახელმწიფოსა და უცხოელი ინვესტორის ურთიერთობას, რომ მართლმსაჯულების არამართებულად განხორციელებისა და გამოძიების გაჭიანურების შედეგად კანადის მოქალაქის ჰუსეინ ალის, როგორც მესაკუთრის უფლება შეილახა, მაგრამ საქმე ადგილიდან არ დაძრულა.



ამის შემდეგ საქართველოს ისტორიაში დაიწყო ახალი ერა, რომელსაც შეიძლება ჰუსეინ ალის სინდრომი ვუწოდოთ. ვიღაცებს ყალბი დოკუმენტებით მილიონების დაუფლების იდეა ძალიან მოეწონათ და დაიწყო.. თავიდან უძრავი ქონების რეგისტრაცია მოტყუებით ან იძულებით ხდებოდა. ასე გადაეცა სახელმწიფოს „საჩუქრად“ გორის ბაზარი, გორის ფეხბურთის სტადიონი, თბილისის საავიაციო ქარხანა, გორის ინტურისტი და მრავალი სხვა ობიექტი. გორის ობიექტების შემთხვევაში, ჩუქების ხელშეკრულებებს ნოტარიუსთან კამერაში მჯდომი პატიმრები აწერდნენ ხელს, საავიაციო ქარხნის შემთხვევაში, ჩუქების ხელშეკრულებები ფინანსურ პოლიციაში და კვირა დღეს გახსნილ ეკონომიკის სამინისტროში ფორმდებოდა. ჯერ კიდევ პატარკაციშვილის სიცოცხლეში, ვინმე გიორგი კირცხაიამ ძალიან მარტივად მიისაკუთრა პატარკაციშვილის კუთვნილი შპს „ლინქსი“ და მთაწმინდის პარკი. მივიდა საჯარო რეესტრში, დაწერა განცხადება, გთხოვთ კომპანიის დირექტორად დამარეგისტრიროთო და როგორ არ უნდა გაგიკვირდეთ, დაუკმაყოფილეს. ამ დროს, „ლინქსის“ დირექტორი გიორგი ჯაოშვილი იყო, მისი პარტნიორი კი ბადრი პატარკაციშვილი ბრძანდებოდა.

**– თქვენი ნათქვამიდან გამომდინარე, თაღლითები სახელისუფლებო წრეებთან შეთანხმებულად მოქმედებდნენ.**

– რა თქმა უნდა. ჩვენს ქვეყანაში მოხდა სრულიად უპრეცედენტო შემთხვევა – „ნაცმოძრაობის“ მმართველობის დროს სახელმწიფო და დანაშაულებრივი სამყარო ერთმანეთს შეერწყა და ეს ოფიციალური შერწყმა იყო. სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ ქონების წართმევის ფაქტები, რომლებიც ახლა ხდება და რომლებზეც უნდა გიამბოთ, დაუდევრობის და მენეჯმენტის არცოდნის ბრალია და მთავრობა ამას წინასწარი განზრახვით არ აკეთებს, თუმცა შედეგები ამ შემთხვევაშიც უმძიმესი იქნება.

**– დააკონკრეტეთ, რომელი ქონების წართმევის ფაქტებს გულისხმობთ?**

– 2008, 2009, 2013, 2014 წლებში საქართველოში ძალიან დიდი ინვესტიციები შემოვიდა. საქართველოში ბიზნესის საწარმოებლად, უცხოელებმა მიწის ნაკვეთები შეიძინეს. გაყალბებული მინდობილობების საშუალებით, სწორედ, ეს ტერიტორიებია წართმეული. მაგალითად, 2015 წლის განმავლობაში შაჰარ არიე მილჩანმა დიდ დიღომში, „გუდვილის“ გვერდით, ორი ჰექტარი მიწის ნაკვეთი დაკარგა. ტერიტორია არარსებულმა ქორნელ მუნტიანუმ მიითვისა. ებრაელმა სასონ ჰოგმა დაახლოებით, 10 მლნ. დოლარის ღირებულების, 2,5 ჰექტარი მიწის ნაკვეთი დაკარგა შუა ქალაქში, დიდუბეში „დინამოს“ სტადიონის გვერდით. ვაკეში, „მზიურის“ ტერიტორიაზე, ჰექტარნახევარი მიწის ნაკვეთი წაართვეს ეგვიპტელებს. თბილისის აეროპორტის მიმდებარედ 8 ჰა მიწის ნაკვეთი დაკარგა ებრაელმა ინვესტორმა იბრაჰიმ კაინმა. დღეისთვის გაყალბებული მინდობილობებით, ქონების წართმევის 17 შემთხვევიდან, 4-ის დაბრუნება მოხერხდა, დანარჩენებს კი პერსპექტივა არა აქვთ, ვინაიდან მოხდა ამ ქონების რამდენჯერმე გადაყიდვა. საქართველოს კანონმდებლობის თანახმად კი კეთილსინდისიერ მყიდველს, (თუ თაღლითებთან კავშირი არ დაუმტკიცდა) ქონებას ვეღარ წაართმევ. 2015 წლის 8 იანვარს საჯარო რეესტრში მიდის ვინმე ვალერი მორარუ, მიაქვს ვითომ ისრაელში გაფორმებული მინდობილობა და ამბობს, რომ სასონ ჰონგმა უფლება მისცა, რომ დიდუბეში მდებარე მიწის ნაკვეთის მფლობელი შპს-ს 100%-იანი წილი მის სახელზე გადაიფორმოს. მორარუ მიწას უპრობლემოდ იფორმებს და შემდეგ ვინმე პაჭკორიაზე ყიდის, რომელიც კეთილსინდისიერი მყიდველია. საქმე ის გახლავთ, რომ ვალერი მორარუ ბუნებაში არ არსებობს და ასეთ პიროვნებას საქართველოს საზღვარი არც გადმოუკვეთია. მეორე მაგალითსაც გეტყვით. 2015 წლის 6 მარტს საჯარო რეესტრში მიდის რუმინელი ქორნელ მუნტეანუ და აცხადებს, რომ ისრაელში მცხოვრებმა მოქალაქე შაჰარ არიე მილჩანმა მას მინდობილობა მისცა, რომ თბილისში მდებარე მიწის ნაკვეთი გადაეფორმებინა. როგორც წინა, ისე ამ შემთხვევაში, თაღლითი მიწას უპრობლემოდ იფორმებს და მეორე დღესვე 2 მილიონად ვინმე ზურაბ ასათიანზე ყიდის. ამ შემთხვევაშიც ქორნელ მუნტიანუ არარსებული „ფანტომასია“. 2013 წლის 16 სექტემბერს, საჯარო რეესტრში მივიდა ვინმე ბატოიანი და წარადგინა 2008 წლით დათარიღებული გაყალბებული მინდობილობა, რომლის თანახმად, ისრაელის მოქალაქემ შაჰარ არიე მილჩენმა (რომელმაც ქართული არ იცის), ბატოიანს საკუთარი მიწის ნაკვეთზე მინდობილობა გამართული ქართულით გაუფორმა. მეორე დღესვე ბატოიანმა მიწა შამილ ომაროვზე გადაყიდა.

2015 წლის ივნისში საჯარო რეესტრში მიდის არარსებული პიროვნება ნიკოლაე ნიტუ და საკუთრებაში იფორმებს 8 ჰა მიწის ნაკვეთს და შემდგომ დაუყოვნებლივ ყიდის „კეთილსინდისიერ“ მყიდველზე.

ყველა ანალოგიურ შემთხვევებში ერთი სქემა მოქმედებს: თაღლითები ქონებას გაყალბებული მინდობილობებით იფორმებენ და მეორე დღესვე ყიდიან. სხვათა შორის, ჯერ კიდევ ნაციონალების ხელისუფლებაში ყოფნის დროს მოხდა ასეთი ფაქტი: 2009 წლის 10 სექტემბერს „გუდვილის“ მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსებული ისრაელის მოქალაქე მეირ ზიონ ნეჰორაის კუთვნილი 4000 კვ.მ მიწის ნაკვეთი და საცხოვრებელი ბინა თაღლითმა ნინო კაპანაძემ ყალბი აპოსტილიანი დოკუმენტით მიითვისა. 2010 წელს ეს საქმე „გასკდა“. სააპელაციო სასამართლომ ნინო კაპანაძეს დაზარალებულის სასარგებლოდ, ერთი მილიონ 17 ათასი აშშ დოლარის გადახდა დააკისრა და 15 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, თუმცა 2013 წლიდან ნინო კაპანაძე უკვე ნინო ალექსიძის სახელით, თავისუფლებაზეა.

**– კი მაგრამ, მინდობილობების ნამდვილობას არავინ ამოწმებდა?**

– 2009 წლის ივნისში ნოტარიუსთა პალატაში შეიქმნა ელექტრონული სისტემა. ეს ინფორმაცია ნოტარიუსთა გარდა, ძალიან ვიწრო წრისთვის არის ცნობილი. ვინაიდან მინდობილობა 2008 წლის 9 იანვრითაა დათარიღებული, 2009 წელს შექმნილ სისტემაში მისი ნახვა შეუძლებელია. მე რომ ავკრიფო ტექსტი, ბეჭედი დავარტყა და ჩავწერო, რომ ეს მინდობილობა მომცა ვინმე პეტრე პავლიაშვილმა და უფლება მაქვს, მისი ქონება გავყიდო, ნოტარიუსი დამიმოწმებს, რომ ეს არის დოკუმენტი და მომცემს მის დამოწმებულ ასლს. გაყალბებულ დედანს დავიტოვებ და ნოტარიუსის „გაპრავებული“ მინდობილობით საჯარო რეესტრში მივალ, სადაც ამ მინდობილობის ნამდვილობას არ შეამოწმებენ.

**– ეს კანონმდებლობის ხარვეზია თუ სახელმწიფო მოხელეთა დაუდევრობა და გულგრილობა?**

– ალბათ, ორივე. 14 ივლისს საქართველოს პარლამენტს, საქართველოს პრეზიდენტს, ფინანსთა და იუსტიციის მინისტრებს და პროკურატურას განცხადებით მივმართე: „გაცნობებთ, რომ საქართველოს უახლეს ისტორიაში მრავლად არის შემთხვევები, როცა უძრავ-მოძრავი ქონების მესაკუთრეები კარგავენ საკუთრებას კრიმინალების საქმიანობის გამო, ხოლო სახელმწიფო ამ საქმეებს არ ან ვერ იძიებს, რაც ქმნის დაუსჯელობის სინდრომს და აძლიერებს ეჭვებს წარსულის გადმონაშთი, შუა დონის მაღალჩინოსან სახელმწიფო მოხელეთა (სავარაუდო ორგანიზატორთა) და კრიმინალშემსრულებელთა ერთგვარი სიმბიოზის შესახებ. სცენარი ერთია: თაღლითის ან კრიმინალის ქმედების შედეგად მესაკუთრე კარგავს და ვერ იბრუნებს ქონებას, გარდა იშვიათი გამონაკლისებისა (ბადრი პატარკაციშვილის ოჯახი) დანარჩენ საქმეებში არაფერი იცვლება და ხელწერა უცვლელია.



საჯარო რეესტის ეროვნულ სააგენტოს განცხადებით მივმართე: გთხოვთ მაცნობოთ, გადამოწმებულია თუ არა, საჯარო რეესტრში ვალერი მორარუს, ნიკოლაე ნიტუს, ქორნელ მუნტიანუსთან ვიზიტებთან დაკავშირებული აპოსტილები-თქო. პასუხად, იცით, რა მივიღე? საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს არ მიუმართავს ისრაელის სახელმწიფოსთვის, მისი უფლებამოსილი ორგანოების/პირების მიერ აპოსტილით დამოწმებული დოკუმენტაციის ნამდვილობის დადასტურების მოთხოვნითო. მოკლედ, არ გადაგვიმოწმებია, იმიტომ, რომ არ გვევალებაო.

## ვინ არიან ინვესტორების „ქონებაზე მონადირე „ფანტომასები“ და რატომ ვერ ახერხებს სახელმწიფო პრობლემის მოგვარებას?



14 gv.

13 gv.

„საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, მარეგისტრირებელი ორგანო და მისი თანამშრომელი პასუხს არ აგებენ წარმოდგენილი სარეგისტრაციო დოკუმენტის ნამდვილობაზეო. როგორც ხედავთ, ყველაფერი ბედის ანაბარაა მიგდებული და დროის ამბავია, ვის როდის წაართმევენ თაღლითები გაყალბებული მინდობილობებით ქონებას.

**— თქვენი აზრით, უცხოელების ქონების ყალბი დოკუმენტებით დასაკუთრებაზე ერთი თაღლითური ჯგუფი მუშაობს თუ სხვადასხვა?**

— რამდენიმე შემთხვევაში, ერთი ორგანიზატორი და ერთი ხელწერაა და ამის მტკიცებულებებიც მაქვს.

**— ამ შემთხვევაში, სახელმწიფომ რა უნდა გააკეთოს?**

— ვინაიდან, კანონის 3/6 მუხლს ამოფარებული საჯარო რეესტრი წინასწარი შემეცნებით არ სხვა ტიპის შეცდომებით სავსე მინდობილობები. დავიჯერო, რომ ამან ეჭვი არავის გაუჩინა? მით უარესი, თუ არ გაუჩინა. თეა წულუკიანს და პაპუნა უგრეხელიძეს მუშაობა თუ არ შეუძლიათ, წავიდნენ და სახელმწიფოს ნუ ანგრევენ. სისტემაში ისეთი განუკითხაობაა, მუყაოს ნაჭერზე ბილ კლინტონი რომ დავაწერო, ნოტარიუსის ყალბი აპოსტილის ბეჭდით დავამოწმო და საჯარო რეესტრში მივიდე, ბილ კლინტონის სახელზე ნებისმიერ ქონებას გადავაფორმებ. საქართველოს იუსტიციის მინისტრს და საჯარო რეესტრის სააგენტოს უფროსს სიტუაციაში გარკვევისთვის არაფერი გაუკეთებიათ, არადა, სწორი მენეჯმენტისა და სურვილის შემთხვევაში, არსებულ საკანონმდებლო ჩარჩოებშიც კი შესაძლებელია, რომ ეს პრობლემა საჯარო რეესტრის თათბირის დონეზე გადაწყდეს. გასცეს განკარგულება პაპუნა უგრეხელიძემ, ყოველგვარი საკანონმდებლო ცვლილებებისა და გადაწყვეტილებების გარეშე, რომ აპოსტილი კონვენციის მეშვიდე

# თბილისში უცხოელი ინვესტორების „გატყავების“ კარგად შემუშავებული სქემა მოქმედებს



მუხლის მიხედვით გადაამოწმონ. აპოსტილის კონვენციაში წერია, რომ წარმოდგენილი აპოსტილის ნომრის გადამოწმება სრულიად შესაძლებელია. როგორც კი აპოსტილი შემოდის, იმეილით გააგზავნი კონვენციით გათვალისწინებულ იმეილზე იმ ქვეყანაში, საიდანაც არის გაცემული და კითხავ ეს ნომერი გაცემულია თუ არა? თუ დასტურს მიიღებ, ე.წ. ნამდვილია. პასუხის დაგვიანების ან უარყოფითი პასუხის შემთხვევაში კი პირდაპირ გადასცეს გამოძიებას. მორჩა და გათავდა. ეს ამ თაღლითურ ქსელს შეაჩერებს.

ამოწმებს აპოსტილებს და ზოგადად, აპოსტილის კონვენციით სარგებლობის წესები არ ვიცით, დროებით გამოვიდეთ ამ კონვენციიდან ან შევაჩეროთ მისი მოქმედება. შეგახსენებთ, რომ აპოსტილით დამოწმება ადასტურებს დოკუმენტებზე არსებული ხელმოწერის, ბეჭდის ან შტამპის ნამდვილობას, აგრეთვე ხელმომწერი პირის უფლებამოსილებას. საჯარო რეესტრს შევახსენებ, რომ კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის გარდა, სხვა ნორმატიული აქტებიც არსებობს (ზ/აღნიშნილი კანონის 21.1 მუხლი), რომელიც ითვალისწინებს, რომ საჯარო რეესტრს დამატებითი ინფორმაციის მოთხოვნის უფლება აქვს და თუ აქვს საფუძველი ივარაუდოს, რომ სახეზე სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებია, საქმე სამართალდამცავ ორგანოებს უნდა გადაუგზავნოს. შეიძლება, რომ კანონის ერთ მოთხოვნაზე აპელირებდე და სხვა მოთხოვნებს უგულებელყოფდე? შეიძლება, რომ ქვეყანა უფსკრულში ვარდებოდეს და ყველა მშვიდად უყურებდეს?

**— საჯარო რეესტრის თანამშრომელმა როგორ უნდა ივარაუდოს, რომ სისხლის სამართლის დანაშაულთან აქვს საქმე თუ აპოსტილის ნამდვილობა არ შეამოწმა?**

— ამაზე საუბარი შორს წაგვიყვანს, მაგრამ სახეზეა ენობრივი თუ

2015 წლის 27 აპრილს საჯარო რეესტრს მივმართე და 6 მარტს რეესტრის შენობაში კორნელი მუნტიანუს ვიზიტის ამსახველი ინფორმაციის პროკურატურაში გადაგზავნა ვთხოვე. ჩემი განცხადება 1 ივნისამდე უმოძრაოდ იდო საჯარო რეესტრში. შემდეგ ჯერ იუსტიციის სახლს და მერე იუსტიციის სამინისტროს გენერალურ ინსპექციას გადაუგზავნეს, მაგრამ მოთხოვნილი მასალა პროკურატურამდე არ მისულა. არ მინდა, ეჭვებით და ვარაუდებით ვისაუბრო, თუმცა გეტყვით, რომ პროკურატურა ძალიან დაინტერესებულია საქმის გამოძიებით. დარწმუნებული ვარ, რომ უცხოელებზე მონადირე „ფანტომასებს“ და მათ მფარველებს მალე მიაბრძანებენ ვაჟა-ფშაველას 70 ნომერში. სხვაგვარად შეუძლებელია, ვინაიდან შექმნილი ვითარება სრულიად დაანგრევს საინვესტიციო გარემოს და უცხოელ ინვესტორს საქართველოში ბიზნესის კეთების სურვილს მთლიანად დაუკარგავს.

**ჩვენ თვალს მივადევნებთ, როგორ დასრულდება პროკურატურაში უცხოელი ინვესტორების ქონებაზე მონადირე „ფანტომასების“ საქმის მოკვლევა და სიახლეების გამოჩენის შემთხვევაში ჩვენს მკითხველს ვამცნობთ.**

**ნელი თორდია**
571 35 36 88



# ვინ არის იციკ შავითი და რატომ უნდა აშენდეს „ახალი გეთსამანია“ და „ახალი იერუსალიმი“ მცხეთაში?

12 gv.

საქმე იყო. არ შეიძლება სხვა რელიგიით, სხვა ეთიკური დატვირთვის მქონე ბიოგრაფიების მეფეებს, თუნდაც ისინი ბიბლიური პირები იყვნენ, მიბაძო და ეროვნული თვითშეგნება ააგო მათ ისტორიებზე. ამაზე პირდაპირ ამბობს თავის მოსანანიებელ საგალობელში მეფე დავითი: „ისრაელისა მეფეთა ვბაძე, გარნა ურჯულოთა და ვაცოდვე ერი ჩემი, ვითარცა მეფეთა მათ მისთა ისრაელისათაო“.

კარგის მიბაძვა არაა ცუდი, მაგრამ დანახვის ხატიო, ქართველები იტყოდნენ; არაა კარგი ქმედება, რაც სხვამ უკვე გააკეთა, ჩვენც იგივე გავაკეთოთ.

მსოფლიოს ხალხი ერთმანეთისგან ვსწავლობთ, მაგრამ ებრაელი ერი არის ინდივიდუალური ფენომენი — ხალხით, წესებით, ცხოვრების გზით, რელიგიით და თუ იესო ქრისტეს ვუკავშირებთ ებრაელ ხალხს, თვით იესო ებრაელი იყო თუ არა, ეს პრობლემა და კითხვა მსოფლიოს ჯერ კიდევ არ გადაუწყვეტია.

უფალი იესო ქრისტეს ცხოვრებაში გეთსამანიის ბაღი უმძიმესი ეპიზოდების ბაღია. ეს არის ადგილი, სადაც უფალს დაესხნენ თავს, როგორც ავაზაკს, შეკრეს, შეურაცხყვეს, იქ ეამბორა იუდა და რატომ უნდა იყოს ჩვენთვის, ქართველი ქრისტიანებისთვის, სასიხარულო ახალი გეთსამანიის ბაღის გაშენება წმინდა ქალაქ მცხეთაში?!

**ს. გ. — რა შუაშია ამ მისტერიაში ისრაელი საერთოდ?**

**ს. გ. — მცხეთაშიც არ იციან ამ საქმის დეტალები?**

— მცხეთის მუნიციპალიტეტს მივმართე ოფიციალურად, მოეცათ ინფორმაცია. მათ რაც შეძლეს, ის გადმომიგზავნეს.

მაგრამ კიდევ ერთი საგულისხმო ინფორმაცია უნდა მოგაწოდოთ.

**ს. გ. — ბრძანეთ.**

— თქვენს გაზეთში ადრე ვწერდი, რომ გარკვეული პრეტენზიები არსებობს ისრაელის მხრიდან საქართველოს სამეფო ტახტის ხელში ჩაგდებასთან დაკავშირებით.

საქართველოში გაჩნდა ტამპლიერთა ორდენი, რომლის დანიშნულებაც წესდებაში გამოკვეთილია ასე: საქართველოს საპატრიარქო და სამეფო ტახტების მფარველობა და პატრონობა. საქართველოს ტერიტორია უჯრედებად აქვთ დაყოფილი — როგორ უნდა მართონ და ა.შ. ბაგრატიონთა დავითიანობას, რომელზეც ასეთი აქტიური საუბრები მიმდინარეობს, არის მხოლოდ ერის მესიანისტური დანიშნულების, როგორც ახალი სალმრთო ერის დეფინიცია. სამწუხაროდ, ეს საუკუნეების განმავლობაში ქართველმა ერმა ვერ გავიცნობიერეთ სათანადოდ, რადგან დაღმავალი გზით წავიდა ქართველი ერის ცხოვრება მონღოლების შემოსევებიდან მოყოლებული. აქ მიდის დღეს არა მხოლოდ ინფორმაციული ომი, არამედ რეალური მცოცავი ოკუპაცია ტერიტორიის მთლიანად ასათვისებლად.

**იციკ შავითთან** ერთად არის ვინმე **იაშა იგულა,** რომელმაც 63 ჰა იყიდა გურიაში. გააშენა კივი და უნდა გაიტანოს მოსავალი ევროპასა და რუსეთში. 1800 ტ კივი გურიის მოსახლეობამ უნდა მოკრიფოს, მაგრამ ჩვენ არაფერი გვრჩება.

**ვინ გადააბიჯა „იუნესკოს“ და ვინ მისცა მსვლელობა პროექტს, რომლის მიხედვითაც 9500 კვ.მ ფართზე, სვეტიცხოვლის ტაძრიდან 1400 მ-ის დაშორებით უნდა აშენდეს წარმოსახვითი ქალაქი იერუსალიმი თავისი რეზიდენციით, ბიზნეს-ცენტრით, სამშენებლო-საბინაო კომპლექსებით, კაფეებით, ბარებით, მაღაზიებით და დასასვენებელი ვილებით?!**

— მე ვფიქრობ, გეთსამანიის სახელწოდება არის სპეკულაცია და მის უკან იფარება დიდი ტერიტორიის მიერთება პროექტზე, რომელსაც ჰქვია „მცხეთა-იერუსალიმი“.

**ს. გ. — ვინ აფინანსებს პროექტს?**

—ინტერნეტში განთავსებული ინფორმაციის მიხედვით ჩანს „ტაო-ბანკი“. ამ ორი პროექტის არსებობა ცალ-ცალკე თვალის ახვევის მცდელობაა და ჩემი აზრით, ისინი ერთი პროექტის ნაწილია, რათა საზოგადოება არ შეშფოთდეს იმით, რომ ისრაელმა შეისყიდა 50 ჰა მიწა.

**ს. გ. — თქვენი აზრით, ვინ გაყიდა ეს მიწა? გაუქმდება თუ არა ადრე დადებული ხელშეკრულებები უცხოელებზე მიწის მიყიდვასთან დაკავშირებით? ვის მიმართავთ, ვინ უნდა უპასუხოს ამ კითხვებს?**

— პირადად მე აქტიურად მოვიწადინე ამ საქმეში გარკვევა და აღმოჩნდა, რომ ამ კუთხით შესაბამისი სტრუქტურები და მათი ხელმძღვანელები გარკვეულნი არ არიან.

ებრაელი ინვესტორები, რომლებიც პირად საკუთრებაში ყიდულობენ საქართველოს მიწებს, ერთი და ორი არ არის.

ისრაელი ნელ-ნელა ყიდულობს საქართველოს ტერიტორიას. მათთვის ეს ძნელი არაა. ერთ ნებისმიერ ებრაელ მილიარდერს შეუძლია მთელი საქართველო იყიდოს.

ჩვენი დამოუკიდებლობა და თვითმყოფადობა ბეწვზე ჰკიდია, რადგან არც სახელმწიფო იდეოლოგიური კონცეფცია არსებობს კონსტიტუციაც გადასახედია, სააკაშვილის პერიოდში შექმნილი კონსტიტუციით არ შეიძლება მიწა არ მივყიდოთ უცხოელებსო. ამიტომაც მცხეთაც უნდა გაიყიდოს, გურიაც, თბილისიც და ამას ჰქვია სახელმწიფოებრიობა?!

**ირანდა კალანდაძე**
593 561 118

**გვესაუბრება არასამთავრობო ორგანიზაცია „ქალები მშვიდობისა და სამართლიანობისთვის“ ხელმძღვანელი ლალი ანთია.**



# ლალი ანთია: სამეგრელოში დღეს „ქართული ოცნების“ აქტივისტებად ისეთი ადამიანებიც გვევლინებიან, რომლებსაც ივანიშვილის დასახიჩრება ჰქონდათ დავალებული!..

**– ქალბატონო ლალი, სააკაშვილი არ გამორიცხავს, თურმე, 2016 წელს არჩევნებში მონაწილეობას. რას ფიქრობთ ამაზე?**

– მიშა ჩამოვაო? კი, ბაბუაჩემი, მამაჩემი და მიშა ერთად მოდიან. მაგრამ ყველაფერი კოაბიტაცია თუ რაღაც ჯანდაბა რომ არის, იმის ბრალია. არ ვარ კოაბიტაციის წინააღმდეგი, მაგრამ ვსვამ მარტივ კითხვას, რაზეც პასუხი ძნელია: კოაბიტაცია და შერიგება თუ იყო აუცილებელი, თავიდან რატომ დაგვაპირისპირეს ერთმანეთს?!

ხალხს თუ დაუპირისპირდება ვინმე, ისე მოექცევა საქმე, როგორც სააკაშვილს მოუვიდა და ღმერთმა არ ქნას, ჩვენს ხელისუფლებას იმის მსგავსი რამე მოუვიდეს.

ახლა ვინმეს ჩემი სიტყვები შეიძლება გაუკვირდეს, მაგრამ ხალხს ისევ ბიძინა ივანიშვილის იმედი აქვს და კიდევ კარგი, რომ ეს იმედი გვაქვს.

**– დიდი ხანი არ არის, რაც მეორედ დაპატიმრების შემდეგ გათავისუფლდით და უკვე საზოგადოებრივ აქტიურობას მიუბრუნდით?**

– სააკაშვილის ხელისუფლებამ დამიჭირა და ხუთი თვით ადრე გამათავისუფლა იმ პირობით, რომ მე ყოველ დარჩენილ თვეს ექსპერტიზა უნდა გამევლო ჯანმრთელობის მდგომარეობის შესამოწმებლად. არ მეგონა, თუ ამ ხუთ თვეს ეს ხელისუფლება არ მაპატიებდა, რადგან, რომ იტყვიან, გადავაკვდი „ქართულ ოცნებას“. ვფიქრობდი, ხუთ თვეს როგორ არ მაპატიებენ, როცა მკვლელები დადიან თავისუფლად-მეთქი. შევცდი, სამწუხაროდ.

რა თქმა უნდა, საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურად ვარ ჩართული: სხვანაირად არ იქნება. თავის დროზე ეროვნული შერიგების კომისიის წევრი ვიყავი **ოთარ ფაცაციასთან** ერთად. კი, ბატონო, ახლაც საჭიროა კოაბიტაცია და შერიგება, მაგრამ, ვატყობ, არაფერი გვჭირს შესარიგებელი. მშვენივრად ჭუკჭუკებენ ერთად ზოგზოგიერთები.

2012 წლის 12 ივნისს ჩემს სოფელში,. ოდიშში, ჯოხით შეიარაღებული კაცი რომ ამოვიდა ბიძინა ივანიშვილის და მისი მხარდამჭერების გასარეკად, იმ კაცს დღეს თანამდებობაზე ხედავს ხალხი. ძნელი საყურებელია ეს, ჩემო კარგო.

**– ვისზე საუბრობთ?**

– დარჩელის ცენტრში, „ოცნების“ სასარგებლოდ, საქაღალდით დავდიოდი ჩემი მეგობრის **ზურაბ ჟვანიას** ძმასთან **გოგლა ჟვანიასთან** ერთად, ღამღამობით, ფარულად. ერთ დღესაც გონერ ნაჭყებიამ გამაჩერა და მითხრა: ვერ გაიმარჯვებთ, ვერ დაამარცხებთ 30 წლით მოსულ მთავრობას, ტყუილად ნუ წვალობთ, ვერ გაიმარჯვებს „ქართული ოცნება“ და ფუჭად ოცნებობთო. ეს კაცი დღეს არის „ქართული ოცნების“ წარმომადგენელი საკრებულოში. იგი ახლა „ქართული ოცნების“ წევრია და დარჩელის საკრებულოში მუშაობს. მან „ოცნების“ სიით იყარა კენჭი და დღეს ფრაქციის თავმჯდომარე გახლავთ.



**– ხალხმა აირჩია, როგორც ჩანს.**

– 10 წელიწადი „ნაციონალებთან“ იმუშავა და, ალბათ, ამ პარტიის მხარდამჭერებმა მისცეს ხმა. „ნაციონალური მოძრაობის“ მამა, დედა და პატრონი იყო გონერ ნაჭყებია. სულით და ხორცით ნაციონალი როგორ საქმეს გააკეთებს დღეს „ოცნებისთვის“, თქვენ განსაჯეთ.

ერთმა ნაციონალმა მითხრა: ეგ კაცი ჩვენთვის მუშაობს. ჩვენ ისევ მოვალთ და გონერს ამაგს დავუფასებთ, ის ისევ იქნება მიწათმომწყობი კომისიის თავმჯდომარეო.

გონერ ნაჭყებიას გვერდით უდგას კლიმენტი ჯანჯღავა, 97 წლის კაცი. ღმერთმა კარგად ამყოფოს, მაგრამ ამ ხალხს, აწი, ვინ შეაცვლევინებს შეხედულებას.

ამ ადამიანებს ბატონი ბიძინას ფიზიკური ლიკვიდაციაც ჰქონდათ დაგეგმილი, ან უნდა დაესახიჩრებინათ, ან უნდა მოეკლათ. პირველად მარტვილში უნდა შეეტყუებინათ როლანდ ახალაიას მარჯვენა ხელთან მარტვილის ეპარქიაში. იქაური მთავარეპისკოპოსი ახლაც ახალაიას მეგობარია და აქვთ დიდი მისვლა-მოსვლა. ამის შესახებ მაქვს საინტერესო მასალები და გპირდებით, თქვენ მოგაწვდით უახლოეს ხანებში.

ბიძინა ივანიშვილის დაინვალიდება ჰქონდათ განზრახული, მაგრამ მაგრად დავდექით ხალხი. თავს ვწირავდით. თუმცა ბატონი ბიძინასთვის კი არ ვაკეთებდით ამას მხოლოდ, საკუთარი თავის გადარჩენისთვისაც ვრისკავდით.

მერე, „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, მეორედ რომ დამიჭირეს, ნაციონალებმა შემომითვალეს – მაგათ გულისთვის თავს რომ იკლავდი, ხომ დაინახე, ჩვენ გამოგიშვით და მაგათ დაგიჭირესო.

ერთხელ კი არა, 10-ჯერ რომ დამიჭიროს ამ ხელისუფლებამ, ნაციონალებზე კარგის მთქმელი მაინც არ ვარ.

სანამ გამომიშვებდნენ, „ნაციონალებმა“ დავალება მომცეს, ირაკლი ალასანიასთვის უნდა მემუშავა სამეგრელოში.

ბაჩანა ახალაიამ და კუდ-ის ყოფილმა უფროსმა ლევან ქარდავამ მიმიყვანეს მოდულის შენობაში ციხის უფროსის მედიკო ალანიას თანხმობით და მხარდაჭერით. სამჯერ გამიყვანეს და მიხსნიდნენ, რა უნდა მეთქვა, რა უნდა გამეკეთებინა **ირაკლი ალასანიაზე**, ზურაბ ჟვანიაზე. ზურაზე საშინელები უნდა მეთქვა. ეს რომ არ გავაკეთე, ამისთვის მომისაჯეს, თორემ მართლა პასპორტების გაყალბებაზე კი არა. პასპორტის გაყალბებაზე ციხეში არ სვამენ ხალხს, ბოლოს და ბოლოს მძარცველები და მკვლელები არ ჩაუსვამთ და ჩემს პასპორტებზე დაიქცეოდა ქვეყანა?!

**მიშა მაჭავარიანმა** წინა ღამით დავალება მომცა, არ დავეთანხმე და მეორე დილას დამიჭირეს.

**– ირაკლი ალასანიაზე რა კუთხით უნდა გემუშავათ?**

– მეუბნებოდნენ: სააკაშვილის შემდეგ პრეზიდენტი ირაკლი ალასანია უნდა იყოსო.

**ივანიშვილს რომ შევხვდი, იმ დღეს, ირაკლი ალასანია ედგა გვერდით, მივედი და ვუთხარი: თუ ვინმე პირველი გიღალატებთ, ეს იქნება ირაკლი ალასანია-მეთქი.**

დღესაც ირაკლი ალასანიაზე სამეგრელოში ნაციონალებს რომ უთხრა რამე, თვალებს დაგთხრიან. ყოველთვის თავის კაცად მიაჩნდათ ალასანია.

2016-ში ჩვენ ისევ მოვალთო, ამბობენ და 15 სექტემბრის შემდეგ დიდი ამბები აქვთ დაგეგმილი.

სამეგრელო სავსეა ნაციონალებით, ისევ მიდის მოლაპარაკებები და შეკრებები.

თუ ისევ მოვიდნენ ესენი ხელისუფლებაში, ამ ხელისუფლებამ იკითხოს, თორემ მე არასდროს დავუჭერ მხარს „ნაცმოძრაობას“ და ისედაც თავი მაქვს გადადებული მაგათ წინააღმდეგ ბრძოლაში და ჩემნაირი ბევრია სამეგრელოში.

დიახ, აკეთებს საქმეს „ქართული ოცნება“, მაგრამ არ ჩანს. პიარი არ აქვთ.

პატარა ამბავია? შედარებით სიმშვიდე რომ არის ქვეყანაში. ჯანდაცვა, ათი წლის მოუხნავი მიწები, C ჰეპატიტთან დაკავშირებიული ამბები, მუნიციპალიტეტებში რაც ხდება,. ბროშურები წამოვიღე *(მაწვდის ბროშურებს – ი. კ.)*. გუბერნია მშვენივრად მუშაობს. ლევან შონია მე არ შემითანხმებს, ცხადია, თავის მიზნებს და გეგმებს, მიუხედავად იმისა, რომ 25 წელიწადია ვიცნობ, მაგრამ კეთდება საქმე. თუმცა კიდევ ვიმეორებ, ხალხმა არ იცის ამის შესახებ.

ციხეში გაუპატიურებები არ ხდება, ხალხს არ იტაცებენ, უკანონოდ არ აპატიმრებენ, არ ამცირებენ, ეს ცოტა საქმე არაა მას შემდეგ, რაც 9-წლიანი უბედურება გავიარეთ.

მიხარია, რომ ირაკლი ღარიბაშვილი ხშირად დადის სამეგრელოში. 9 წლის განმავლობაში მთავრობის წარმომადგენლები სამეგრელოში ხალხის დასატერორებლად ჩამოდიოდნენ.

ახლა კი, თუ ნებას დამრთავთ, მინდა ბიძინა ივანიშვილს მივმართო:

– არაფერს არ გთხოვთ, პირიქით, თქვენ უნდა გთხოვდეთ იმის გამო, რომ იმ საშინელ რეჟიმს გადაგვარჩინეთ. ბატონო ბიძინა, ოფიციალურად დაბრუნდით პოლიტიკაში და საბოლოოდ დაუსვით წერტილი ნაციონალების ბოგინს ამ ქვეყანაში ირაკლი ღარიბაშვილთან ერთად. არ აპატიოთ ნაციონალებს ხალხის გლეჯა და ძარცვა!

ამჯერად მეტს არაფერს ვიტყვი, დაველოდები ხელისუფლების რეაქციას. თუ არაფერი შეიცვალა, ისეთ ინფორმაციებს მოგაწვდი, რასაც აქამდე არ ვამბობდი და თქვენს მკითხველებს კი არა, მთელ საქართველოს გავაოცებ, ისეთ ამბებს ავხდი ფარდას.

**ირანდა კალანდაძე**
593 561 118
**ანაკლია. 17 აგვისტო**

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# მოგზაურობა საქართველოს ეროვნულ ბოტანიკურ ბაღში

მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, წავკისის ხეობაში, სოლოლაკის ქედზე განფენილი საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღი ოთხ საუკუნეს ითვლის. ალბათ, ცოტამ თუ იცის, რომ „სამეფო ბაღად“ წოდებული ბაღი მეფეთა საკუთრება იყო. დაახლოებით ორი საუკუნის წინ ბაღში სამკურნალო მცენარეების მოყვანა დაიწყეს, საბაღო სამუშაოებში კი ხალხური მედიცინით დაინტერესებული პირები მონაწილეობდნენ. სწორედ ამან განაპირობა ის, რომ სამეფო ბაღს „საათფთიაქო ბაღი“ დაერქვა.

ამ ყველაფერმა მსოფლიო ბოტანიკური ბაღების, კავკასიისა და სხვადასხვა კუთხის მეცნიერების დაინტერესება გამოიწვია. გეტყვით იმასაც, რომ ბოტანიკური ბაღის სრულფასოვან სამეცნიერო დაწესებულებად ჩამოყალიბებასა და საქართველოში ბოტანიკის გაძლიერებაში დიდი წვლილი მიუძღვის ბაღის პირველ დირექტორს, ადოლფ ქრისტიან როლოვს, რომელიც გერმანელი ტყვე გახლდათ. რაც შეეხება ბაღის ფართობს, ამჟამად ბაღის ფართობი 96-98 ჰექტარია. ბოტანიკურ ბაღში სამეცნიერო კუთხით განსხვავებული მიმართულებებია. ბოტანიკურ ბაღში შექმნილია საკოლექციო ნაკვეთები, სადაც საქართველოს და კავკასიის მნიშვნელოვანი სახეობებია დაცული. მათ შორისაა ბაღის კავკასიის იშვიათი, გადაშენებადი, ენდემური და სამკურნალო მცენარეების განყოფილება, რომლის იშვიათი, გადაშენებადი და ენდემური მცენარეების ნაკვეთზე საქართველოსა და კავკასიის ის იშვიათი სახეობები ხარობს, რომელთა დიდი ნაწილიც საქართველოს წითელ ნუსხაშია შეტანილი და საქართველოში ბუნებრივად მხოლოდ რამდენიმე ადგილას იზრდება.

ვესაუბრებით საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის დირექტორს, ქალბატონ **ნინო გოცაძეს**.





— ბოტანიკას ამ ბოლო წლებში ნაკლები ყურადღება ექცევა ქვეყანაში და ბოტანიკური ბაღიც რატომღაც უყურადღებოდ იყო დარჩენილი. ძალიან ბევრი რამ არის გასაკეთებელი, გასაახლებელია მცენარეების დიდი ნაწილი. ხმობა აქვს დაწყებული რამდენიმე ასეულ ხე-მცენარეს, აუცილებელია მათი ჩანაცვლება. გარდა ამისა, საკოლექციო ნაკვეთებზე დაცულია საქართველოს სხვადასხვა რაიონებიდან და რეგიონებიდან ინტროდუცირებული სახეობები. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მკვეთრად განსხვავებული გარემოდან ინტროდუცირებული მცენარეთა ნაწილი ძნელად ეგუება ბაღის პირობებს, დროთა განმავლობაში კნინდება და საჭიროებს ახლით ჩანაცვლებას. რამდენადაც ბაღის ერთერთი უმთავრესი მიზანი სახეობრივი მრავალფეროვნების შენარჩუნებაა, ეს პროცესები უწყვეტად მიმდინარეობს.

მოსაწესრიგებელია ინფრასტრუქტურაც. ვცდილობთ ყველაფერი მაქსიმალურად სწრაფად გავაკეთოთ, თუმცა ძალიან ბევრი ბიუროკრატიული საფეხურია, რომელიც დროში გვაფერხებს. იმდენად ბევრი სამუშაოა, რომ ბაღის ბიუჯეტი ყველაფრის ერთად გასაკეთებლად არ არის საკმარისი. მსოფლოს სხვა ბოტანიკური ბაღებს რამდენიმე ათეული მილიონი აქვთ დაფინანსება, საკუთარი შემოსავლები კი კიდევ უფრო მეტი. მათ იმის ფუფუნება აქვთ, რომ ყველაფერი უმაღლეს დონეზე გააკეთონ. სამწუხაროდ, ჩვენ ამის საშუალება არ გაგვაჩნია, მაგრამ მწირი ბიუჯეტის ფარგლებში ვცდილობთ ეტაპობრივად, შეძლებისდაგვარად მოვაგვაროთ პრობლემები.

ერთ-ერთი პროექტი სარიტუალო ორანჟერეის გაკეთებაა. ამისთვის ფართობი გამოყოფილი და გასუფთავებულია. ძალიან სასიამოვნო ინტერიერი ექნება სარიტუალო ორანჟერეას.

მეორე მიმდინარე პროექტი, ბავშვებისთვის საკვირაო სკოლის მოწყობაა. შენობასთან, რომლის აშენებაც დაგეგმილია ეკოსკოლისთვის, იქნება პატარა სათბური, სადაც სკოლის ბავშვები დარგავენ, დათესავენ, მოიყვანენ ბოსტნეულს, დაამზადებენ ჰერბარიუმებს, გირჩებისგან და მცენარეული მასალებისგან სხვადასხვა ფიგურებს და სხვ. ამასობაში ბოტანიკას, მიწასთან მუშაობას, ბუნების სიყვარულსა და მცენარეების მოვლასაც ისწავლიან. ბაღში უკვე ფუნქციონირებს „ეკოსკოლა“, თუმცა ამ სამუშაოებს ბავშვები ჯერ ღია ცის ქვეშ და მათთვის სპეციალურად გამოყოფილ სამუშაო ოთახში ასრულებენ. ნებისმიერი სკოლის მოსწავლეს და მსურველს აქვს შესაძლებლობა, მოვიდეს და გაკვეთილებს დაესწროს.

ჩვენ ვთანამშრომლობთ მსოფლიოს ქვეყნების სხვადასხვა ბოტანიკურ ბაღებთან და ისინი ყოველთვის ძალიან კეთილგანწყობილები არიან ჩვენს მიმართ. ხშირად გვთავაზობენ თავიანთ პროგრამებს. ანალოგიურად, ჩვენც ვთავაზობთ კავკასიის ფლორით დაინტერესებულები, ჩამოვიდნენ და ადგილზე გაეცნონ საქართველოს ფლორას. მსგავსი ტიპის თანამშრომლობა გერმანიასთან, ინგლისთან, ნიუ-იორკის ბაღთან ძალიან ინტენსიურად ხდება, ასევე მჭიდრო კავშირებია აზერბაიჯანთან და სომხეთთან. ეს ყველაფერი არც თუ ისე ხშირი ფუფუნებაა, რომ ყოველწლიურად ხდებოდეს, მაგრამ 2-3 წელიწადში ერთხელ მაინც ვახერხებთ ამ პროგრამის განხორციელებას.

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია გვირაბი, რომელიც ქალაქს ასათიანის ქუჩით ბოტანიკურ ბაღთან პირდაპირ აკავშირებს. 600-მეტრიანი გვირაბი, რომელიც ახლა დაკეტილია, თავდაცვის სამინისტროს ეკუთვნის. მოსახლეობის და პირადად ჩემი ძალიან დიდი დაინტერესებაა, რომ ეს გვირაბი გაიხსნას. გარდა იმისა, რომ გაცილებით მოსახერხებელია ქალაქიდან ბაღში გვირაბით შემოსვლა, გვირაბის გახსნა დამთვალიერებლების რაოდენობას მნიშვნელოვნად გაზრდის. ეს არამარტო ბაღის კეთილმოწყობას შეუწყობს ხელს, არამედ აუმაღლებს მოსახლეობას ბოტანიკური ბაღის მნიშვნელობის გაგებას. გვირაბის თემის განხილვა თავდაცვის სამინისტროსთან და მერიასთან მიმდინარეობს. რამდენად მოგვარებადია ეს საკითხი, დარწმუნებით ვერ ვიტყვი, ეს მხოლოდ ჩვენ სურვილზე არ არის დამოკიდებული.

საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღი ბოტანიკოსებისთვის ნამდვილი მექაა. აქ, კავკასიისა და საქართველოს ფლორის ენდემური, იშვიათი, გადაშენებადი, სამკურნალო და დეკორატიული სახეობებია დაცული. ბაღის ტერიტორიაზე დაცულ ნაკვეთებზე ნახავთ საქართველოს იმ სახეობებს, რომლებიც "წითელ წიგნსა" და "წითელ ნუსხაშია" შეტანილი. ეს მცენარეები განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს და საჭიროა მათი დაცვა, რომ არ მოხდეს სახეობების გადაშენება და განადგურება. არადა, ეს პროცესი სწრაფად მიმდინარეობს და ბუნებრივ პირობებში მცენარეები აღდგენას ვეღარ ასწრებენ. ამის მიზეზია დღევანდელი ეკოლოგიური პირობები: ღვარცოფები, საქონლის გადამეტებული ძოვება, მშენებლობები. მნიშვნელოვან საფრთხეს წარმოაგენს ე.წ. ინვაზიური მცენარეები, რომლებიც ბუნებიდან სდევნის ადგილობრივ სახეობებს, ამის გამო შემცირდა ბუნებაში მათი სიმჭიდროვე და რაოდენობა.

ბაღში წარმოდგენილია კავკასიისა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონში გავრცელებულ მცენარეთა ფართო სპექტრი: მეზოფიტი (ხმელეთის), ჰიდროფიტი (წყალში მყოფი), ქსეროფიტი (მშრალი ადგილსამყოფელის), როგორც ბალახოვანი, ისე მერქნიანი მცენარეები. მათი ყვავილობა ადრე გაზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე გრძელდება. გაზაფხულის პირველი მახარობლებია: ენძელა, ყოჩივარდა, ია, თეთრყვავილა, ფურისულა, ხარისძირა, გლობულარია, ბეწყვავილა, იორდასალამი, მაჩიტა, ცისფოლიო და მრავალი სხვა.

გარდა ადგილობრივი ფლორის წარმომადგენლებისა, ბაღის ტერიტორიაზე ინტროდუცირებულ მცენარეთა ფართო სპექტრია წარმოდგენილი. აქ თავმოყრილია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან ინტროდუცირებული სახეობები, რომელთა შემოტანა ბაღში საუკუნეზე მეტია ხდება. საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღი მსოფლიოს ბოტანიკური ბაღების ასოციაციის წევრია და ჩართულია „თესლების გაცვლის“ პროგრამაში, რომლის ფარგლებშიც ხდება სხვადასხვა ქვეყნებიდან მცენარეთა თესლების გამოწერა. ანალოგიურად, ყოველწლიურად, ბაღიდან იგზავნება მცენარეთა ადგილობრივი სახეობების თესლები სხვადასხვა ქვეყნებში. ასეთი სახით ხდება ბაღის მცენარეთა მრავალფეროვნების და არაადგილობრივი ფლორის კოლექციების გაზრდა.

ბევრმა არ იცის, რომ იასამნის 75-ზე მეტი ჯიში საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის საკოლექციო ნაკვეთში - სირინგარიუმშია დაცული. სირინგარიუმის გაშენება ბაღის ტერიტორიაზე 1970 წელს დაიწყო. სახელწოდება იასამნის ლათინური დასახელებიდან (შყრინგა ვულგარის) მოდის. ჯიშები ერთმანეთისგან განსხვავდება ყვავილისა და ყვავილედის სიდიდით, ფორმით, შეფერილობითა და ყვავილობის ვადებით. ყვავილების შეფერილობა - თეთრი ფერიდან მუქ ლილისფრამდე ვარირებს. ცნობილია ძლიერ ბუთხუზა, ნახევრად ბუთხუზა და მარტივყვავილებიანი ჯიშები.

დაცული საკოლექციო ნაკვეთების გარდა საქართველოს ეროვნულ ბოტანიკურ ბაღში ფუნქციონირებს ტროპიკული და სუბტროპიკული მცენარეების ორანჟერეა, რომელსაც დიდი ხნის ისტორია აქვს. 1872 წელს საფრანგეთში ორი ორანჟერეის მშენებლობა შეუკვეთეს. ერთი კონსტრუქცია საგანგებოდ წყალმცენარისთვის - ვიქტორია კრუციანასთვის იყო განკუთვნილი (40 კვმ),



ეს ორანჟერეა ახლა განადგურებულია. მეორე კი - ჩვეულებრივი ქოთნის მცენარეებისთვის. ბოტანიკური ბაღის ისტორიაში ყველაზე რთულ პერიოდში, გასული საუკუნის 90-იან წლებში, უშუქობისა და გათბობის გარეშე, მოუვლელობის გამო ორანჟერეაში მცენარეთა დიდი კოლექცია განადგურდა.

დღეს ორანჟერეაში ტროპიკულ და სუბტროპიკულ მცენარეთა 90 ოჯახის 300 გვარში გაერთიანებული 100 სახეობა და 600 კულტივარია წარმოდგენილი.

ინფრასტრუქტურის განვითარება ბოტანიკური ბაღისთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს. განსახორციელებელი პროექტების შესახებ ბოტანიკური ბაღის დირექტორის მოადგილე **გოგი ლორთქიფანიძე** გვესაუბრა: ბაღის ახალი ხელმძღვანელობა გასული წლის ოქტომბერში დაკომპლექტდა. დაგვხვდა ფაქტობრივად განადგურებული ინფრასტრუქტურა. სერვისებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. პირველი რაც გავაკეთეთ იყო ის, რომ სავალი გზის 4000კვ.მ-ზე დაიგო ასფალტის საფარი, მოვაწესრიგეთ ელექტრო და წყალგაყვანილობის სისტემა, კანალიზაცია, რასაც საკმაოდ დიდი ძალისხმევა დასჭირდა. 600 ტონამდე საამშენებლო და საყოფაცხოვრებო ნაგავი გავიტანეთ. რაც შეეხება მიმდინარე პროექტებს: დაიბეჭდა საინფორმაციო ბუკლეტები, შემოსასვლელში დაიდგა საინფორმაციო დაფები. სულ ახლახანს გადმოგვეცა ვიზიტორთა სახლი, სადაც მალე 50 ადგილიანი კაფე-ბარი გაიხსნება. ფუნქციონირებს საგამოფენო სივრცე და საკონფერენციო დარბაზი. მოწესრიგდა მუშათა გასახდელები და სასადილო ოთახი. ბაღის შემოსასვლელში დგას ორსართულიანი შენობა, სადაც ისტორიულად სასტუმრო იყო განთავსებული. გვინდა ეს ტრადიცია აღვადგინოთ და ბაღში ჩამოსული სტუმრებისთვის, ჩვენი პარტნიორებისთვის მოსასვენებელი ოთახები გავაკეთოთ. პირველ სართულზე დაგეგმილი გვაქვს ყვავილების მაღაზის მოწყობა, სადაც ჩვენი სანერგეების და ორანჟერეის ყვავილები გაიყიდება. რაც მთავარია მყიდველები მიიღებელ კვალიფიციურ კონსულტაციას. შენობა გარემონტდა, ახლა მიმდინარეობს მისი კეთილმოწყობის სამუშაოები.

საკმაოდ საინტერესო პროექტია ეკო-სკოლის მშენებლობა. ვამზადებთ საკონკურსო წინადადებას ახალი ორანჟერეის ასაშენებლად, რათა არსებული უფრო დიდ სივრცეში გადავიტანოთ. გვინდა აღვადგინოთ ისტორიული ფრანგული ორანჟერეა. ფოტოარქივში აღმოვაჩინეთ ძველი საჩაიე, რომლის აღდგენასაც რეტროსტილში ვგეგმავთ და შემოსასვლელში დავდგამთ. მალე მოვაგვარებთ პარკირების სისტემას ვიზიტორებისთვის და აქ მოსვლას მოსახერხებელს გავხდით.

მოკლედ რომ ვთქვა, ძნელად მეგულება თბილისში ადგილი, რომელსაც ამდენი ბუნებრივი რესურსი ჰქონდეს დასვენებისა და გართობისთვის, როგორიც ბოტანიკურ ბაღს გააჩნია, მაგრამ ყველაფერს მოწესრიგება და მაღალი სერვისით მიწოდება სჭირდება, რაც დროსა და ძალისხმევას მოითხოვს.

ექსკურსია ბოტანიკურ ბაღში დამთავრდა. ნანახმა დაგვარწმუნა, რომ სულ მალე თბილისის ეს ულამაზესი ადგილი გამრავალფეროვნებული, თანამედროვე და კომფორტული სერვისით აღჭურვილი მიიზიდავს დამთვალიერებელს.

**ანა ვადაჭკორია**





# ხაზარაძის სახით აჩრდილი დადის ანაკლიაში, აჩრდილი სააკაშვილისა!

## „ანაკლია-პორტის“ პროექტები საჯარო განხილვის საგნად უნდა იქცეს!

მრავალწლიანი სამზადისის შემდეგ ათასწლეულის პროექტის — **„ახალი აბრეშუმის გზა“** და მისი უმნიშვნელოვნესი ნაწილის — **„ანაკლია-პორტის“** მშენებლობა სასტარტო პოზიციაზე გადადის.

ბუნებრივია, ინტერესიც გაიზარდა ამ პროექტთან დაკავშირებით და, როგორც მოსალოდნელი იყო, პირველი ინტრიგებიც გაჩნდა!

მინდა თავიდანვე განვმარტო, რომ ერთად აღებული ფოთის და ბათუმის პორტების, სუფსის და ყულევის ტერმინალების შესაძლებლობები (მათი განვითარების პერსპექტივით) სახსენებელიც კი არ არის, **„ახალი აბრეშუმის გზის“** პროექტის ანაკლიაში დაგეგმილ უმნიშვნელოვანეს პორტთან შედარებით!

კონკრეტულად:

საუკუნენახევრის წინ აშენებულმა ფოთის პორტმა დიდი ხანია ამოწურა თავისი შესაძლებლობები. კარგი პატრონის ხელში იგი მუზეუმად უნდა გადაკეთდეს და იქ მხოლოდ ტურისტული გემები უნდა უშვებდნენ ღუზას.

ბუნებრივია, თანამედროვე მოთხოვნები პორტებსაც ეხება და მისი მხოლოდ ტექნიკური აღჭურვილობის განახლება არ არის საკმარისი მეგასაზღვაო ლაინერების მისაღებად, რადგანაც მათ ორჯერ მეტი სიღრმის ნაპირი სჭირდება, ვიდრე დღევანდელ ფოთის პორტს გააჩნია.

პორტში შემოსული ტვირთების დამუშავება სწრაფად მოძრავ სატრანსპორტო საშუალებებს, შესაბამის ტერიტორიას და შიდა და გარე საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობას მოითხოვს.

წყლის სიღრმეზე რომ არაფერი ვთქვათ (რაც გადამწყვეტია ღრმაწყლოვანი პორტის ასაშენებლად!), ნახევარი ფოთი უნდა გაასახლო, თანამედროვე სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა პორტთან რომ დააკავშირო.

ცნობილია, რომ ფოთის პორტი რამდენჯერმე გაიყიდა ბოლო 20 წლის განმავლობაში. მას, ამჟამად, რუსები (rosnefti) და მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი გადამზიდავი კომპანია **„მაერსკი“** ფლობენ. რუსების მიერ ფოთის პორტის ნაწილის შესყიდვაზე ბევრი დაიწერა. ამ ზაფხულზე გერმანიაში ყოფნისას ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ — **„მაერსკმა“ ფოთის პორტის კონტეინერების ტერმინალი 300 მილიონ დოლარად შეიძინა.**

ბუნებრივია, არც რუსებს და არც ევროპელ **„მაერსკს“** ხელს არ აძლევს ახალი კონკურენტის გამოჩენა. თან ისეთის, რომელსაც შავი ზღვის აუზში ტოლი არ ეყოლება და ყველა ზომას მიმართავენ ანაკლია-პორტის მშენებლობის ჩასაშლელად.

**ვინ უნდა ააშენოს „ანაკლია-პორტი“?**

**ვის მიანიჭებს უპირატესობას საქართველოს სამთავრობო და მოწვეულ უცხოელ ექსპერტთა სატენდერო კომისია?**

წელიწადი მიილია, რაც ეს შეკითხვები ისმის და უამრავი ინტრიგაც იხლართება ამ უაღრესად მნიშვნელოვანი საქმის გარშემო, რომელმაც საქართველოს ეკონომიკა უნდა გადაარჩინოს და არ გადავაჭარბებ თუ ვიტყვი, — **ქვეყანა უნდა იხსნას გაკოტრებისგან!**

პროექტთან დაკავშირებით ინტერესი თორმეტმა საერთაშრისო და ადგილობრივმა კომპანიამ გამოხატა, რომელთაგან, ერთწლიანი სატენდერო მარათონის შემდეგ ბოლო ეტაპზე მხოლოდ 2 კომპანია მონაწილეობს.

წინასწარი გათვლებით, პორტის მაქსიმალური ტვირთბრუნვა, მთავრობის დაკვეთით, 100 მილიონი ტონის უნდა იყოს. მშენებლობა შვიდ ეტაპადაა დაყოფილი. პირველი სამი ეტაპი მშენებლობის დაწყებიდან 12 წლის ვადაში არანაკლებ 40 მლნ ტონა ტვირთის გამტარუნარიანობას უზრუნველყოფს (მესამე წელს - 7 მლნ ტონა, მეშვიდე წელს - 20 მლნ ტონა და მეთორმეტე წელს არანაკლებ 40 მილიონი ტონა).

პორტის გარდა ანაკლიაში დაგეგმილია ლოჯისტიკური და სამრეწველო ზონის განვითარება, ახალი დასახლება ოცი ათას მოსახლეზე, საერთაშორისო აეროპორტისა და თხევადი გაზის ტერმინალის მშენებლობა.

გეგმის მიხედვით, პორტის მშენებლობა 2016 წლის პირველ ივლისს უნდა დაიწყოს.

**„ხაზარაძე და კონტი ჯგუფი“-ს და კონსორციუმ — „ანაკლია პორტი და ეკო პარკი“-ს მიერ წარმოდგენილი წინა საპროექტო მოსაზრებების ანალიზი:**

აფხაზეთის დაკარგვის შემდეგ საქართველოს იურისდიქციაში დარჩენილი და კონტროლირებადი შავი ზღვის სანაპირო ზოლი 90 კილომეტრამდე შემცირდა. რაც კიდევ უფრო სამწუხაროა, ამ 90 კილომეტრიდან მხოლოდ მესამედია საკურორტოდ და ტურიზმის განვითარებისთვის ვარგისი. ამ მხრივ, ანაკლია-განმუხურის სანაპირო ზოლი ერთ-ერთი საუკეთესოა.

საკურორტო-ტურისტული ღირსებების გარდა დიდი ხანია ცნობილია ანკლიის კანიონი, რომელიც შავი ზღვის აუზში ღრმაწყლიანი პორტის აშენების საუკეთესო პირობას ქმნის. მრავალწლიანი სამზადისის შემდეგ მივადექით იმ მომენტს, როცა ანაკლიაში მეგაპორტის დაპროექტება და მშენებლობა უნდა დაიწყოს.

მათ მიერ წარმოდგენილ პროექტებს ერთმანეთს რომ ვადარებ, მათ შორის არა მარტო დიდი განსხვავებაა, ისინი ერთმანეთის ანტიპოდია, რაც მარტივად, სულ რამდენიმე წინადადებაში შეიძლება გამოიხატოს:

**1.„ხაზარაძე და კონტი ჯგუფი“-ს მიერ წარმოდგენილი წინა საპროექტო მოსაზრება:** ყველა ზემოთჩამოთვლილ მოთხოვნებს ეწინააღმდეგება და იგი, პროექტის დაწყებამდე დიდი ხნით ადრე, ადგილობრივი მოსახლეობის საპროტესტო განწყობას იწვევს, რაც მოსახლეობაში მაცდური და პროვოკაციული ინფორმაციების გავრცელებასთან არის დაკავშირებული.

ამ თემაზე ქვემოთ მოგახსენებთ. აქ კი კონკრეტულად იმ ხარვეზებზე თუ შეგნებულად დაშვებულ შეცდომებზე:

ა). **„ხაზარაძე და კონტი ჯგუფი“**-ს მიერ წარმოდგენილი წინა საპროექტო მოსაზრება ზღვის ნაპირის ოთხ კილომეტრ, საკურორტო ზოლს იკავებს.

ბ). ასაშებელი პორტის პროექტი პირდაპირ დასახლებულ ტერიტორიაზეა დამიზნებული, რაც ორასამდე ოჯახის გასახლებას მოითხოვს. რაც ყველაზე გასაკვირი და საეჭვოა — **იგი სააკაშვილისეულ „ლაზიკა-პორტს“ იმეორებს!**

გ). ექსპერტების დასკვნით, წარმოდგენილი კონცეფცია ვერანაირად ვერ გაცდება წელიწადში 30 მილიონ ტონა ტვირთბრუნვას და მას შემდგომი განვითარების პერსპექტივა არ გააჩნია!

**2. კონსორციუმ „ანაკლია-პორტი და ეკო-პარკი“-ს მიერ წარმოდგენილი წინა საპროექტო მოსაზრება:**

ა). ზღვის ნაპირის მხოლოდ 1400 მეტრს იკავებს.

ბ). საერთოდ არ ეხება დასახლებულ ტერიტორიას.

გ). წარმოდგენილ კონცეფციას გააჩნია გარანტირებული შემდგომი განვითარების პერსპექტივა და იგი გაანგარიშებულია წელიწადში 100-120 მილიონ ტონა ტვირთბრუნვაზე.

დ). კონსორციუმ **„ანაკლია-პორტი და ეკო-პარკი“**-ს მიერ წარმოდგენილი წინა საპროექტო მოსაზრების ტექნიკურად გადაწყვეტა მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მიერ შექმნილი დოკუმენტაციის თანხლებით, ეჭვს არ იწვევს. დასაბუთებულია მისი ეკოლოგიურად გამართულობა და თანამედროვე, მსოფლიო სტანდარტებთან შესაბამისობა.

მიმდინარე წლის დასაწყისში ანაკლიაში მეორედ გამოჩდა შპს „გეოგრაფიკის“ მიწის ამზომველთა ჯგუფი (პირველად ისინი 2013 წლის იანვარში ესტუმრნენ ანაკლიას) და ადგილობრივ მოსახლეობას განუცხადეს, რომ ანაკლიაში პორტის ასაშენებელი მიწების ასაზომად არიან ჩამოსულნი.

როგორც ზემოთ ვიხილეთ, კონსორციუმ, „ანაკლია-პორტი და ეკო-პარკი“-ს მიერ წარმოდგენილი წინა საპროექტო მოსაზრების მიხედვით, არც ერთი ადგილობრივი ოჯახის გასახლება არ იგეგმება.

ლოგიკურია, აქ ჩნდება კითხვა: **ვინ გადაწყვიტა ანაკლიის მოსახლეობის მიწების შესყიდვა და რომელი პროექტი მითხოვს ადგილობრივი მოსახლეობის გასახლებას?**



ყოველივე ამის შემდეგ დაინტერესებული და საქმეში ჩახედული მკითხველი უმალვე გაიხსენებს ხუთი წლის წინ საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის მიერ აკვიატებულ — **„ლაზიკა-პორტის“ და 500.000 მოსახლეზე ქალაქი „ლაზიკას“ აშენების გახმაურებულ იდეას.**

ბოლო მეოთხედი საუკუნის მანძილზე საქართველოს თითქმის განახევრებული მოსახლეობის პირობებში, **სად უნდა მოეძია საქართველოს ჭკუამხიარულ პრეზიდენტს ანაკლიის მიდამოებში ჩასასახლებელი ნახევარი მილიონი ადამიანი? ეს მრავალთათვის სასაცილო და მხოლოდ მცირეთათვის თავსატეხი და ავისმომასწავებელი აღმოჩნდა.**

მაშინვე ითქვა, უცხო ტომის ხალხის ჩამოსახლებას აპირებსო პრეზიდენტი სააკაშვილი, რაც მალევე დაკონკრეტდა და სახელიც გამჟღავნდა: **„სირიაში მცხორები სომხების ჩამოსახლებას აპირებენ „ლაზიკა“ ქალაქშიო!“**

—ამბობენ, ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-ან წლებში, ქალაქ სოჭში, იმდროინდელი სსრკ-ს მთავრობის წარმომადგენელთა საიდუმლო შეხვედრაზე იქნა განხილული თურმე სირიის ქალაქ ალეპოდან სომხების ჩამოსახლების საკითხი.

**ღვთის მადლით და ქვეყნის მოსახლეობის დიდი უმრავლესობის ძალისხმევით, ნაცმოძრაობის და მისი უცხოელი მხარდამჭერების ვერაგული გეგმა 2012 წლის პირველ ოქტომბერს ჩაიშალა, მაგრამ, როგორც ჩანს, მამუკა ხაზარაძე და „კონტი—ჯგუფი“ ისევ აპირებენ ქვეყნისთვის უღრესად სახიფათო ამ ჩანაფიქრის განხორციელებას. რასაც, დარწმუნებული ვართ, საქართველოს ხელისუფლება არ დაუშვებს.**

ვფიქრობთ, ყველაზე საუკეთესო გამოსავალი შექმნილ სიტუაციაში ის იდეაა, რაც ბატონმა **თემურ ქარჩავამ** ამასწინათ „ასავალ-დასავალის“ ფურცლებიდან შემოგვთავაზა: — **სანამ სამთავრობო კომისია გადაწყვეტილებას მიიღებდეს, მოხდეს ორივე პროექტის საჯარო განხილვა.**

დავით ქობალია
593 510171

## საქართველოს დიასპორის სამინისტროს და „საერთო გაზეთის“ ერთობლივი პროექტი

# მგალობელი შაშვის კინოენა და რეჟისორის უჩვეულო თავგადასავალი



ოთარ იოსელიანი

მისი ფილმების რეტროსპექტივა მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში იმართება და უამრავი კინომოყვარული მოუთმენლად ელის საქვეყნოდ აღიარებული და სახელგანთქმული რეჟისორის ნამუშევრებს. მიუხედავად სოლიდური ასაკისა (უკვე 81 წლისაა), ისევ სრულმეტრაჟიან ფილმს იღებს. არც ისე დიდი ხნის წინ გადასცეს კიდევ ერთი საერთაშორისო პრემია — „ოქროს ლეოპარდი“ მსოფლიო კინემატოგრაფში შეტანილი წვლილისთვის.

„გიორგობისთვე“, „იყო შაშვი მგალობელი“ და „პასტორალი“ — თავისთავად იკინძება ტრილოგიად და ერთგვარი „ძველი აღთქმაა“, რაც რეჟისორმა დიდ საბჭოთა კინემატოგრაფში შექმნა. შეიძლება ითქვას, რომ „გიორგობისთვეში“ პირობითად შექმნილია სახლის მოდელი, „შაშვში“ — ქალაქის, ხოლო „პასტორალში“ — მსოფლიოს მოდელი.

ოთარ იოსელიანი არის არა მარტო თანამედროვეობის ერთ-ერთი ყველაზე დიდი რეჟისორი და ავტორი კინოშედევრებისა, იგი კამერტონია — გემოვნების სფეროში, ადამიანური ურთიერთობების სფეროშიც... ისეთი კამერტონია, რომლის ხმა უფრო დიდ შთაბეჭდილებას ახდენს მსმენელზე, ვიდრე რომელიმე სიმფონია.

ბატონ ოთარს კატეგორიულად არ უყვარს იუბილეების აღნიშვნა და საკუთარ წლოვანებაზე ლაპარაკი, მიუხედავად იმისა, რომ ასაკი მის გარეგნობას დიდად არც დასტყობია:

**„30 წლიდან მოყოლებული დაბადების დღეები არ აღმინიშნავს. რა არის სასიხარულო იმაში, რომ ჩვენთვის დარჩენილ სიცოცხლეს წლები აკლდება. ამიტომაც ასაკზე არ ვფიქრობ და არც სხვას ვურჩევ ამას. როცა ვინმეზე გავიგებ, რომ 40 წლისაც არ არის, მიჩნდება სურვილი ვკითხო: „არა გრცხვენია?“ თუმცა ეს ემოცია მალევე გამივლის ხოლმე“.**

### „უცხო საბჭოთა ხელოვნებისთვის“

იოსელიანის ახლო მეგობრები ამბობენ, ოთარი რომ არ წასულიყო საფრანგეთში, კაცმა არ უწყის, რა დაემართებოდაო. ამ მოსაზრებას ბატონი ოთარი ახლა არ ეთანხმება, არ მოსწონს, როცა შემოქმედ ადამიანს წამებულად წარმოაჩენენ:

**„თვალი გადავავლოთ კაცობრიობის ისტორიას, რამდენი იყო დევნილი, მშიერი, ცხოვრებაგამწარებული შემოქმედი. ამის ფონზე საკუთარ გასაჭირზე ლაპარაკი მეტისმეტად უხერხულია. საქართველოში ხელს არავინ მიშლიდა. გადავიღე ის, რისი გადაღებაც მსურდა“.**

ახლა, ათეული წლების შემდეგ ამბობს ამას, მაგრამ ფაქტებს ვერ გავექცევით — საქართველოში მისი ფილმების ჩვენების შემდეგ რეჟისორის წინააღმდეგ კამპანია ააგორეს — უწუნებდნენ მხატვრულ დონეს, პერსონაჟებისთვის შერჩეულ მსახიობებს, ყველაფერს, რაც ცხოვრებაზე მისი შეხედულებების კინემატოგრაფიულ ენაზე გამოხატვას გულისხმობდა. წლების წინ ამას თვითონაც აღიარებდა ერთ-ერთ ინტერვიუში:

**„პარადოქსულ ფილმებს ვიღებდი, რაც მოსკოვს ძალიან აღიზიანებდა. რასაკვირველია, საქართველოს ხელმძღვანელობა ემორჩილებოდა ცენტრალურ მთავრობას. მალევე გაირკვა, რომ „პასტორალის“ შემდეგ კინემატოგრაფში ჩემი ადგილი აღარ დარჩა. ეს არ იყო ანტისაბჭოთა ფილმები, მაგრამ ისეთ განწყობას ქმნიდნენ, თითქოს საბჭოთა ხელისუფლება საერთოდ არ არსებობდა. „გიორგობისთვე“, „იყო შაშვი მგალობელი“, „პასტორალი“ აბსოლუტურად სისტემის გარეთ იდგა. მოსკოვი უპირატესობას ანიჭებდა მსუბუქ ქართულ კომედიებს, ჩემმა ფილმებმა კი ძალიან გააღიზიანა. მიუხედავად ამისა, საბჭოთა მოხელეები ჩემს ნამუშევრებს ფესტივალებზე გზავნიდნენ, უცხოეთში უშვებდნენ იმის საჩვენებლად, თითქოს ჩვენში დემოკრატია იყო. რამდენიმე ფილმის შემდეგ მითხრეს, კინოს აღარ გადაიღებთო (უცნაური ვითარება იქმნებოდა ხოლმე — რაც უფრო იკრძალებოდა შენი ფილმები, მით უფრო დიდი პატივისცემით სარგებლობდი. და ასე იყო ყველაფერში, მათ შორის — ლიტერატურაშიც...). მაშინ ედუარდ შევარდნაძეს ვთხოვე, რომ უცხოეთში მუშაობის უფლება მაინც მოეცათ. იძულებითი მივლინება გამოვიდა, მაგრამ მადლობა ღმერთს, რომ ასე მოხდა — ფილმების გადაღება ეკონომიკური და კინემატოგრაფიული წნეხის პირობებში სრულიად უიმედოა. წავედი და გადავიღე „მთვარის ფავორიტები“, „ბასკების ქვეყანა“, „შვიდი პიესა შავ-თეთრი კინოსთვის“. როცა დავბრუნდი, ეგრეთ წოდებული „პერესტროიკის“ ხანა დამხვდა...“**



პრაქტიკულად, ამავე პერიოდიდან დაიწყო კინემატოგრაფის ნგრევა, კინო აღარავის სჭირდებოდა, რადგან საბჭოთა კავშირში მას მხოლოდ და მხოლოდ პროპაგანდისთვის იყენებდნენ და როცა ამის საჭიროება აღარ იყო, კინოსტუდიებს დაფინანსება შეუწყვიტეს...

**„ისევ საფრანგეთში წავედი, რადგან „გოსკინომ“ და მისმა იმდროინდელმა ხელმძღვანელმა ერმაშმა პროფესიით მუშაობა ამიკრძალეს. და გადავიღე „პეპლებზე ნადირობა“. სულ მალე საქართველოში შემაძრწუნებელი მოვლენები მოხდა: აფხაზეთის ომი, ხელისუფლებაში გამსახურდიას მოსვლა, სამოქალაქო ომი — მართალია მინიატიურული, მაგრამ მძვინვარე. ხელისუფლებას კინემატოგრაფზე ზრუნვის თავი აღარ ჰქონდა. არადა, საქართველოში კინემატოგრაფი იყო სერიოზული და შეიძლება ითქვას, ერთადერთი ინტელექტუალური ძალა, რომელიც მოსახლეობას სულიერ საზრდოს აწვდიდა. ჩემი კოლეგები სამუშაოს გარეშე დარჩნენ, რის გამოც იტანჯებოდნენ. ელდარ შენგელაია, ლანა ღოღობერიძე პოლიტიკით დაკავდნენ, რადგან კინოს ვერ იღებდნენ. პოლიტიკა საზიზღრობაა. ამ საქმეს ვერ შევძლებდი და პროფესიის გამოცვლაც არ მინდოდა. ფილმებს ვიღებ და მივემგზავრები იქ, სადაც ამის გაკეთება შემიძლია. მაგრამ სადაც არ უნდა ვიყო — პარიზში, მოსკოვსა თუ თბილისში, — ზუსტად ისე ვიღებ ფილმებს, როგორც ჩემს ქვეყანაში გადავიღებდი“.**

### „მისი“ პარიზი

„მთვარის ფავორიტები“ — რეჟისორის სრულმეტრაჟიანი მეოთხე, მაგრამ საფრანგეთის პერიოდის პირველი ფილმია და მასში შეჯამებულია წინა სურათების აღმოჩენები... სწორედ იმ მეცნიერის მსგავსად, რომელმაც სამყაროს კანონები აღმოაჩინა და ახლა სხვა არა დარჩენია რა გარდა იმისა, რომ თავისი დასკვნების სიწორე შეამოწმოს.

**„ქართულ და ფრანგულ კინემატოგრაფს შორის ყოველთვის არსებობდა ხიდი — ერთ მხარეს იყვნენ რენე კლერი, ჟან-ლიუკ გოდარი, ფრანსუა ტრიუფო და მეორე მხარეს — შენგელაია, რონდელი, ფარაჯანოვი. ჩვენ თითქმის ერთნაირი კრიტერიუმები, ესთეტიკური განწყობა, ტემპერამენტი და ცხოვრებიაზე საერთო შეხედულებები გვაქვს“.**

### „მიყვარს გრეტა გარბო, ჰომეროსი და საქართველო“

თითოეულ ფილმს ჯერ ქაღალდზე ქმნის, შავი ტუშითა და თეთრი ქაღალდით. შესანიშნავად ხატავს გმირების გადაადგილებას, მათ სამყოფელს, ჟესტებს, გამოხედვებს... ამ ნახატების დიდი ნაწილი ერთხელ უკვე გამოიფინა ლეგენდარულ „ნაშჩოკინის სახლში“. გამოფენის გახსნაზე, 2008 წლის მარტში, როცა ნამდვილი ზამთრის ამინდი იდგა, შეუსაბამოდ ჩაცმული ჩავიდა — თავისი ფეტრის კეპითა და თხელი პალტოთი. გაცივდა, ტემპერატურამ აუწია, მაგრამ ინტერვიუებზე უარი არ უთქვამს — სიტყვის კაცია: თუ რამეს დაგპირდება, აუცილებლად შეასრულებს. ერთ-ერთი ყველაზე პარადოქსული, საინტერესო მოსაუბრეა და თანაც ისეთი, დასმულ შეკითხვაზე პასუხს ვერასდროს რომ ვერ გამოიცნობთ.

რეჟისორი ამბობს, რომ **„მისი საყვარელი მსახიობი გრეტა გარბოა, რომელიც დროულად წავიდა კინოდან და ამით ყველაზე სწორი და მამაცური გადაწყვეტილება მიიღო“**. საყვარელ პოეტთაგან ასახელებს ორს — ბრძენ მოხუც ჰომეროსსა და კადნიერ ჭაბუკ არტურ რემბოს. რატომ მაინცდამაინც მათ?

**„იმიტომ, რომ ორივე პოეტი მხოლოდ იმიტომ წერდა ლექსებს, რომ მათ სხვანაირად არ შეეძლოთ. პოეზია მათთვის იყო ჰაერი, საკვები, გულისცემა...“**

ოთარ იოსელიანი საქართველოს უწოდებს **„უცნაურ, უცნაურ, გამოუცნობ, გამოუცნობ ქვეყანას: ქართველისთვის ძვირფასია მისი ცხოვრების ბედნიერი მომენტები, რადგანაც ადრე შეიმეცნა უბრალო ჭეშმარიტება — ამქვეყნად ყველაფერი ცუდად მთავრდება. მეც ასეთივე ბედნიერი და გამგები ქართველი ვარ! თუმცა არ მსურს, ყველაფერი დასრულდეს“, —** არცთუ ირონიის გარეშე აღნიშნავს იგი. **„თბილისში ყოფნისას გავიგონე, როგორ მიმართავდა ერთი მეორეს: გამარჯობა, ჩემო საყვარელო, როგორ ბრძანდებით? ჩემო ძვირფასო, როგორ მომენატრე... ძველი თბილისელი იყო, რომელმაც ბევრი რამ გადაიტანა და მაინც ყველაფერს გაუძლო. ახლა ემილ ზოლა ან გი დე მოპასანი რომ აღმოჩნდნენ პარიზში, გული გაუსკდებოდათ. და უთუოდ გაუხარდებოდათ, რომ შემორჩნენ ისეთებიც, რომლებიც შეუპოვრად და ჯიუტად იცავენ მათთვის მემკვიდრეობით გადაცემულ ცხოვრების წესს“.**

### თავადი აფხაზეთიდან

თავის ფილმებში ფავორიტად მიიჩნევს ოთხსაათიან დოკუმენტურ ფილმს „საქართველო ერთია“. სჯერა, რომ მისი სამშობლო განუყოფელი მთლიანობაა და აღიზიანებს შეკითხვა, დაუბრუნდება თუ არა აფხაზეთი საქართველოს:



**„აფხაზეთი ჩემი საგვარეულო ადგილ-მამულია. მე აფხაზი თავადების შთამომავალი ვარ. ყველანაირი საბუთი ხელთ მაქვს. ქართველებსა და აფხაზებს შორის კონფლიქტში რუსეთის ადმინისტრაციაა დამნაშავე. გაგრა, სოხუმი, ახალი ათონი, ოჩამჩირე — საუკეთესო ადგილებია, სადაც შეიძლება აგარაკების მოწყობა, რასაც აკეთებს კიდეც სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი თავისი გენერლებისა და მაღალჩინოსანი სამხედროების სახით. დიდი სურვილი აქვთ, მოიწყონ თავიანთი „რივიერა“, ჰოდა მიიტაცეს კიდეც ეს უმშვენიერესი მხარე. საბჭოთა კავშირს გამოეყო საქართველო და მოინდომეს წაეგლიჯათ მისი ნაწილი მაინც. როცა აფხაზეთში ნახევარ მილიონამდე ქართველი ცხოვრობდა, აფხაზი 70 ათასი იყო. ახლა? მკვიდრი მოსახლეობა იქ აღარ არის, რუსეთის ხელისუფლება მას ბოლომდე ამოძირკვავს. ასიმილაციას კი არ მოახდენს, გააქრობს. აფხაზეთი აღარ არსებობს“.**

### რეჟისორის წარმატების საიდუმლო

**„კინემატოგრაფი თავშესაქცევი და სახალისო საქმიანობაა, და მეც ვცდილობ, ფილმების გადაღებას სერიოზულად არა, თუმც კი დიდი სიყვარულით მივუდგე, არ ვიფიქრო იმაზე, რომ ვინმეს მოეწონოს ან შემოსავალი მომიტანოს. და კიდევ — არასოდეს ვიღებ ფილმებს მათთვის, ვინც დასვენების დღეებში ბაზარში დადის იმის ნაცვლად, რომ წიგნი იკითხოს ან გამოფენაზე იაროს“.**

ფრანგულად აქცენტით ლაპარაკობს და არ ცდილობს ამის გამოსწორებას. ემიგრაციაშიც და სამშობლოშიც ურთიერთობისთვის იყენებს ყველასთვის გასაგებ კინოენას. რკინის ფარდის აქეთაც და ლიბერალურ საფრანგეთშიც იღებს ერთსა და იმავე ფილმს. მისი „მგალობელი შაშვი“ ისევ მღერის სევდიან და იმავდროულად ოპტიმისტურ ქართულ სიმღერას.

მოამზადა
**ელზა ნაბახტეველმა.**



# `saerTo gazeTis~ iuridiuli konsultacia



***„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი***
***მთვარისა კევლიშვილი.***
**ტელ.: 2 79 63 91;**
**0 790 60 64 69;**
**5 93 78 64 69**

* * *

**- რა წარმოადგენს სახელმწიფო საიდუმლოებას?**

- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 274-ემუხლის მიხედვით, სახელმწიფო საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაცია განისაზღვრება სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ კანონმდებლობით.

* * *

**— როგორ ხდება საჯარო ინფორმაციის გაცემა და ამ ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმა სამართლებრივად?**

— საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-40 მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, საჯარო დაწესებულება ვალდებულია გასცეს საჯარო ინფორმაცია, მათ შორის, ელექტრონული ფორმით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია, დაუყოვნებლივ ან არა უგვიანეს 10 დღისა, თუ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე პასუხის გაცემა მოითხოვს:

ა) სხვა დასახლებულ პუნქტში არსებული მისი სტრუქტურული ქვედანაყოფიდან ან სხვა საჯარო დაწესებულებიდან ინფორმაციის მოძიებასა და დამუშავებას;

ბ) მნიშვნელოვანი მოცულობის ერთმანეთთან დაუკავშირებელი ცალკეული დოკუმენტების მოძიებასა და დამუშავებას;

გ) სხვა დასახლებულ პუნქტში არსებულ მის სტრუქტურულ ქვედანაყოფთან ან სხვა საჯარო დაწესებულებასთან კონსულტაციას.

ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ საჯარო ინფორმაციის გაცემისათვის საჭიროა 10-დღიანი ვადა, საჯარო დაწესებულება ვალდებულია მოთხოვნისთანავე აცნობოს ამის შესახებ განმცხადებელს.

ამავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნება არ ათავისუფლებს საჯარო დაწესებულებას იმავე ან სხვა საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შემთხვევაში მისი დადგენილი წესით გაცემის ვალდებულებისგან.

- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 41-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, საჯარო დაწესებულების უარი საჯარო ინფორმაციის გაცემაზე განმცხადებელს უნდა ეცნობოს დაუყოვნებლივ.

2. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შემთხვევაში საჯარო დაწესებულება ვალდებულია გადაწყვეტილების მიღებიდან 3 დღის ვადაში პირს წერილობით განუმარტოს მისი უფლებები და გასაჩივრების წესი, ასევე მიუთითოს ის სტრუქტურული ქვედანაყოფი ან საჯარო დაწესებულება, რომელთანაც წარმოებდა კონსულტაცია ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის გადაწყვეტილების მიღებისას.

# გილოცავთ!



„ყოველთვის შეძლებისდაგვარად ვცდილობდი ვყოფილიყავი საზოგადოებრივი ცხოვრების აქტიური წევრი. არ შემიძლია გულგრილად ვუყურო, როცა ვხედავ თუ როგორ მიექანება ჩვენი ქვეყანა უკან-უკან.

ასე ვზრდიდი ჩემს შვილებსაც. განსაკუთრებით მგავდა ამ თვისებით უმცროსი შვილი — ირაკლი, სადაც საჭიროებას ხედავდა სამშობლოსთვის, იქეთკენ გარბოდა.

იგი, ჩემს უფროს შვილთან — მამუკასთან ერთად დაიღუპა 1992 წელს აფხაზეთის ომში“, — მახსოვს თვალცრემლიანი რომ გვიყვებოდა ამას ბატონი ანზორ დანელია, კაცი, რომელსაც მთელი ცხოვრების განმავლობაში ერთი წუთითაც არ დაუსვენია ქვეყნის სამსახურში.

ორი ვაჟკაცი შვილის სამშობლოსთვის შემწირველი მამა ახლაც აქტიურად არის ჩართული საზოგადოებრივ ცხოვრებაში. იგი უკომპრომისო იყო ნაციონალური რეჟიმის მიმართ. არ ურიგდება სამართლიანობის აღდგენის შეფერხებას დღესაც.

ბატონ ანზორ დანელიას, პატრიოტ კაცს, გულმხურვალე მამულიშვილს, „საერთო გაზეთის“ ერთგულ მეგობარს 80 წელი შეუსრულდა.

ვულოცავთ!

დიდხანს სიცოცხლეს და ჯანმრთელობას ვუსურვებთ.

„საერთო გაზეთი“



# ლევან კობიაშვილი: ქართულ ფეხბურთში რეფორმები აუცილებელია!

რა გვაქვს დღეს ქართული ფეხბურთის სასახელოდ? სამწუხაროდ, არაფერი და თავსაც ვერაფრით ვინუგეშებთ. რატომ მივიდა აქამდე ჩვენში სპორტის ეს ულამაზესი სახეობა, ბევრი მიზეზი არსებობს.

უდანაშაულობის პრეზუმფციას ნამდვილად არ დავარღვევთ, თუ ვიტყვით, რომ ქართულ ფეხბურთში არსებულ მძიმე ვითარებაში დამნაშავე ფეხბურთის ფედერაციაა! შესაძლოა, მავანს ეს განცხადება ზედმეტად რადიკალურად მოეჩვენოს, მაგრამ ფაქტები ჩვენს მხარეზეა. სსფ აცხადებს, რომ კლუბების საქმიანობაში არ ერევა. დავუშვათ, ეს ნამდვილად ასეა. მოდით, ვიკითხოთ თუ საიდან უნდა მიიღონ კლუბებმა შევსება? რა მდგომარეობაა ბავშვთა ფეხბურთში, ვინმეს აინტერესებს? სამწუხაროდ, ყველაფერი თვითდინებაზეა მიშვებული.

დღეს საქართველოში საფეხბურთო სკოლების აბსოლუტური უმრავლესობა ფასიანია. ნიხრები, მართალია, განსხვავებულია. თვეში გადასახადი 40 ლარიდან იწყება და 100 ლარს აღწევს. მოდით, ახლა ვიკითხოთ, რამდენ ოჯახს შეუძლია იხადოს თანხა და საერთოდაც, რამდენი ნიჭიერი ბავშვია ქუჩაში დარჩენილი. სამწუხაროდ, ბევრი იმედისმომცემი ბავშვი უსახსრობის გამო ვერ ახერხებს ფეხბურთში ვარჯიშს. კიდევ უფრო სამწუხარო ის გარემოებაა, რომ ქუჩაში მარტივი ტიპის მოედნებზეც აღარ თამაშობენ ფეხბურთს ბავშვები.

წელს ახალგაზრდა ძმებმა სანდრო და ზუკა კუტალაძეებმა თანამოაზრეებთან ერთად ჩამოაყალიბეს ბავშვთა გუნდი „ერა“. სფფ-ში მათ წამოწყებას გულგრილად შეხვდნენ და, ფაქტობრივად, არც დაინტერესებულან მათი საქმიანობით.

საიდან მიიღოს შევსება ქვეყნის პირველმა ნაკრებმა გუნდმა თუ არ გაიზარდა მომავალი თაობა? კიდევ უფრო შემაშფოთებელი ის გარემოებაა, რომ რეგიონებში საერთოდ ჩამკვდარია ბავშვთა ფეხბურთი. იქნებ არც ეს ეხება სფფ-ს?

მწვრთნელთა საკითხი, ვგონებ, ერთ-ერთი მტკივნეული და ლამის გადაუჭრელი პრობლემაა საქართველოში. მწვრთნელს, იმის გარდა, რომ სპორტის სახეობა კარგად იცოდეს, იგი პედაგოგი, აღმზრდელი, მაგალითის მიმცემი უნდა იყოს თავისი შეგირდებისთვის. ის გარემოება, რომ პიროვნება ოდესღაც სპორტსმენი იყო, სულაც არ ნიშნავს, რომ შეძლებს მწვრთნელობას.

საყოველთაოდ ცნობილ ქართველ ფეხბურთის სპეციალისტს ანდრო ჟორდანიას „დიდი ფეხბურთი“ არ უთამაშია, მაგრამ მისი დონის მწვრთნელს მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყანა დღესაც ინატრებდა. რამდენი ცნობილი ფეხბურთელი დააფრთიანა, ახლა ჩამოთვლას არ შევუდგებით, მაგრამ ერთი კი აუცილებლად სათქმელია, იგი უდიდესი სელექციონერი-მწვრთნელი იყო.

დღეს რა მდგომარეობაც არის, ყველა კარგად ხედავს. სელექციური მუშაობა კი არა, ჩვენი გუნდები (პირველ რიგში, ნაკრები) რა სისტემით, რა ტაქტიკით თამაშობენ, გაურკვეველია. სელექციური მუშაობის ნაცვლად კლუბებში უცხოეთიდან ჩამოგვყავს ასაკოვანი მოთამაშეები, რომლებიც ჩვენს სპორტსმენებს გზას ულობავენ. ამიტომაც დაკარგა მაყურებელი ქართულმა ფეხბურთმა. იმიტომაც აქცია ზურგი გულშემატკივარმა, რომ საქართველოს ჩემპიონატი გაურკვეველ სიტუაციაში და ვადებში მიმდინარეობს. ფეხბურთის ქართველ მოყვარულებს მოენატრათ ფეხბურთის, ნამდვილი ფეხბურთის ხილვა ჩვენს სტადიონებზე. ამის დასტურად 11 აგვისტოს ევროპის სუპერთასის ფინალური მატჩი გავიხსენოთ. ბილეთების ფასის მიუხედავად, იმ თამაშს უფრო მეტი მაყურებელი დაესწრო, ვიდრე ჩვენი ნაკრების თამაშებს.

ქართულ ფეხბურთში ვითარება სასწრაფოდ შესაცვლელია. ამის საშუალება 3 ოქტომბერს დანიშნული საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნებზე იქნება შესაძლებელი. ისიც იმ შემთხვევაში თუ სსფ-ში რაღაც მაქინაციებს ადგილი არ ექნება. სპორტის ამ სფეროში შექმნილი კრიტიკულ სიტუაციაზე, ისიც მეტყველებს, რომ ცნობილმა ქართველმა ბიზნესმენმა და ქველმოქმედმა **რომან ფიფიამ** განაცხადა, რომ, თუ ფედერაციაში კვლავ ძველი, მოქმედი ფუნქციონერები დარჩებიან, უარს იტყვის ფეხბურთის დაფინანსებაზეო.



კანდიდატი, რომელიც სსფ-ს ღირსეულად წაუძღვება, გვყავს. ესაა ცნობილი ქართველი ფეხბურთელი **ლევან კობიაშვილი**. შეგახსენებთ, რომ მან საქართველოს ნაკრებში და სხვადასხვა კლუბებში მარცხენა ნახევარმცველის პოზიციაზე 100 მატჩი ჩაატარა და 12 გოლი გაიტანა. გერმანიის ბუნდესლიგაში ლევან კობიაშვილმა 351 თამაშში მიიღო მონაწილეობა და 32 გოლი გაიტანა. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ არაგერმანელისთვის 351 მატჩის ჩატარება ბუნდესლიგაში ერთ-ერთი საუკეთესო მაჩვენებელია. მუშაობდა ბერლინის „ჰერტას“ კლუბში და საქართველოში საქმის გასაკეთებლად, ქართული ფეხბურთის ჩიხიდან გამოსაყვანად ჩამოვიდა.

ლევან კობიაშვილი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში დღემდე არსებულ „კარჩაკეტილ“ ცხოვრებას არ აპირებს. პირიქით, იგი მზადყოფნას გამოთქვამს, ითანამშრომლოს ყველა იმ პირთან, ვისაც სურს ქართული ფეხბურთის აღორძინება.

ლევან კობიაშვილის ერთ-ერთ დადებით მხარედ უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ წინასწარ დაპირებებს არ გვაძლევს. თურმე იმდენად არის ჩაკეტილი დღევანდელი სსფ-ის მუშაობა, მისთვისაც, როგორც საქართველოს ყოფილი მოთამაშისთვის და დღეს ფედერაციის პრეზიდენტობის კანდიდატისთვის, როგორც ჩვენთვის, ჟურნალისტებისთვის, ორგანიზაციაში მიმდინარე საქმიანობა უცნობია. ამიტომაც ამბობს, ჯერ შევისწავლოთ, რა სიტუაციაში ვართო. ბავშვთა ფეხბურთზე, ეროვნული ნაკრების მომავალზე თავისი ხედვები აქვს. გერმანიაში მოღვაწე მოთამაშე და ფუნქციონერი არ გამორიცხავს იქაური გამოცდილების აქ გადმოტანას.

„საქართველოში ჩამოვდივარ საქმის გასაკეთებლად, ჩემი ქვეყნის დასახმარებლად, ფეხბურთის ასაღორძინებლად და არა იმისთვის, რაღაც ოფისის ოთახი, კაბინეტი დავიკავო“, – გულწრფელად განაცხადა ჟურნალისტებთან დახურულ შეხვედრაზე. საღამო გაცნობით ხასიათს ატარებდა. თუმცა იშვიათია, ჟურნალისტი მას პირადად არ იცნობდეს მისივე უშუალობის გამო. არც იუმორია მისთვის უცხო, ამიტომაც ხოგიერთ შეკითხვას ხუმრობითაც პასუხობდა.

სამწუხაროა, მაგრამ კიდევ ერთხელ დავინახეთ „რუსთავი-2“-ის პროვოკაციული ქმედებები. თუმცა მალე აშკარად გამოჩნდა, საიდანაც უბერავდა „სიო-ქარი“. ლევან კობიაშვილს ადანაშაულებენ კახი კალაძესთან მეგობრობაში. ადამიანი აშკარად გაოცებულია და ჩვეული გულწრფელობით ამბობს: „...ხალხო, კახის ბავშვობიდან ვიცნობ, ვმეგობრობ. ერთად ვთამაშობდით გუნდში თუ ნაკრებში. იმის გამო, რომ თანამდებობაზეა, რატომ დავკარგო? ის ჩაერევა ჩვენს საქმიანობაში თუ მისი წინადადება, საქმე წაადგება ქართულ ფეხბურთს“. მისივე სიტყვებით, ყველა ვეტერან და მოქმედ ფეხბურთელს პატივს სცემს, მათ შორის, რეზო არველაძეს.

ქართული ფეხბურთის განვითარებაზე, ვიმეორებთ, ლევან კობიაშვილს თავისი აზრი და ხედვა აქვს. აქვე სათქმელია, რომ პრობლემის გადაჭრას მხოლოდ სიტუაციის შესწავლის და გაანალიზების შემდეგ გეგმავს.

გავრცელებულ ხმებზე, თითქოს ის იმუქრება, სფფ-ის პრეზიდენტად გახდომისთანავე ყველა თანამშრომელს დაითხოვს სამსახურიდან, ნამდვილად აღშფოთდა და განაცხადა: „... ყველა თავისი პროფესიონალიზმით და საქმიანობით გადაწყვეტს, დარჩეს თუ არა სამსახურში“.

დიახ, ლევან კობიაშვილი ამბობს, რომ ქართულ ფეხბურთში საჭირო და აუცილებელია ცვლილებები, რეფორმა, რაც, ალბათ, არ სურს მის კონკურენტ რეზო არველაძეს, თუნდაც იმ სიტყვებიდან გამომდინარე, როდესაც თქვა „ძველ, დაწყებულ გზას გავაგრძელებთო“.

დაბოლოს, ქართული ფეხბურთის განვითარება მომავალ, 3 ოქტომბრის არჩევნებზეა დამოკიდებული, აშკარაა. ამიტომაც აუცილებელია მისი სამართლიანი და ობიექტურად ჩატარება. ამისთვისაც უნდა ვიბრძოლოთ საზოგადოებამ, რათა ავირჩიოთ ღირსეული ადამიანი. ჩვენი რედაქცია ღიად უჭერს მხარს ლევან კობიაშვილს, რომელიც მართლაც ღირსეულ კანდიდატად მიაჩნია.



**გია ბურდული**
551 71 27 07